

[illegible]

[illegible]

[illegible]

კვალის პრემია

ჩვენი ძველი გმირები

თხზულება გ. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР
20364

ტფილისი
Типографія Григ. Чарквіани. ☒ სტამბა გრიგოლ ჩარკვიანისა.

Дозволено цензурею, 24-го октября 1897 года.

წინასიტყვაობა.

„ჩვენი ძველი გმირები“, ანუ ისტორიული დასურათება საქართველოს კერპთაყვანისმცემლობის დროისა, პირველათ დაისტამბა 1891 და 1892 წლებში. ამ სტატიებმა თავის დროს გამოიწვიეს საკმაო მითქმა-მოთქმა. ზოგიერთ ჩვენ ისტორიის მოყვარულ მწერალთაგანს ამ სტატიების კითხვის დროს ღიმილი ეპარებოდა სახეზე. ეს ჩვენი ძველი დროის ისტორიული სურათები ზღაპრათ მიაჩნდათ. არც მე ვეოფ უარს, რომ ბევრს რასმე ამ ჩემ ისტორიულ სურათებში

ზღაპრული ხასიათი აქვს, რადგან ნამდვილი ისტორიული კრიტიკის დარჯაკში გატარებული არ არის და ჯერ კიდევ დ. დი ხანი გაივლის, სანამ ამ ჩვენ ისტორიულ სანას ბნელი ზეწარი გადაესდება და დღის სინათლეზე გამოჩნდება ის კულტურული ცხოვრება საქართველოს ერისა, რომელიც მჭიდროთ იყო დაკავშირებული უძველეს ასურეთ-ბაბილონის და ეგვიპტის ისტორიულ ცხოვრებასთან; მაგრამ ის, რაც ამ მეცხრამეტე საუკუნის გასულს აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევართა თვალწინ დაგვიხატეს, როგორც მაგალითათ ლეარდის, ბოტის, ოპპერტის, სმიტის, რასამის, შპიგელის, შრადერის არხეოლოგიურმა გამოკვლევამ ასურეთ-ბაბილონის ისტორიაზე, აგრეთვე რავლინსონის, სარჩეკის, ვინკლერის და სტორმეიერის სოლისებური ზეწარწერების განხილვამ, ლენორმანის და მასპეროს ისტორიულმა დასურათებამ ძველი ასურეთ-ბაბილონის კულტურული ცხოვრებისა,

საკმაო მასალა მოგვცა, რომ მე უძველესი ჩვენი ისტორიული ეპოქის შესახებ შედარებითი მეთოდი მესმარა და, ამასთანავე, რაც ამ ოცდა-ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი ქართული მითების, ზეპირ-გადმოცემების და ლეგენდების ძესახებ მასალა შეიკრიბა, ყველა ისინი განმეხილა და ამ საერთო ისტორიულ-მითოლოგიურ წყაროზე დამემყარებინა ჩემი ისტორიული სურათების შეთხზვა. თვით ჩვენ მატიანეში საკმაოთ ნათლათ მოთხრობილია ლეგენდარული ბრძოლა ნიმროდისა ჭაოსთან და ქართლოსთან; ნიმროდი, ანუ ასსური, აღმოსავლეთის საისტორიო მეცნიერებაში აღსარებულია, როგორც დამაარსებელი ასურეთის სახელმწიფოსი. მაშასადამე მისი თანამედროვე ქართლოსი ეოფილა. ამგვარათ ჩვენი ძველის-ძველი ისტორიაც იმავე ეპოქიდან იწყება. ამ გარემოებას საკმაო ნათელს ჭფენს სოლისებური ზეწარწერები, რომელნიც, დიდი ხანი არ არის, რაც ვანის გარე-

მო ადგილებში უნახავთ და რომელთა ენა, ალაროდიულათ წოდებული, ჰირმძო ქართულ ენათ არის ნაცნობი აღმოსავლეთის მკვლევართა მიერ. აქედან ცხადია, რომ ქართველთა ტომი იმ უძველეს სანაში ეოფილა ფრიად მლიერი და გაძრავლებული, ჭკერია. აზიაში დიდი ალაგი ასლანდელ სპარსეთიდან დაწყებული მთელი ჩრდილოეთის ნაწილი მესოპოტამიისა, მველი კაპადოკია, ანუ აღმოსავლეთის ნაწილი მცირე აზიისა და ჰონტის ქვეყანა სამსუნის ქალაქამდე მთელი კავკასიის ქვეყნებითურთ. ჰირველი ბრძოლის კვალი მოსული ხალხებისა ჩანს თვით ნიმროდის ანუ ასსურის ბრძოლაში ჭაოსთან და ქართლოსთან. ამ დროიდან იწყება განუწყვეტელი ომები საძხრეთით კერძო მოსული სხვა და სხვა ტომის ხალხე ისა ქართველებთან, რომლებიც თანდათან ძლეულან მათგან ხანგრძლივ ისტორიულ კულტურულ მოძრაობაში, გაძოდენილან თავის ჰირველ ადგილ-სამეოფიდან და შეფარებიან კავკასიის

მთათგრესილებს. მიუცილებლათ, როგორც უძველესი ხალხი, საქართველო ამ ისტორიულ მოძრაობაში თან წამოიღებდა თავის სარწმუნოებას, მითებს, ლეგენდებს, ღმერთებს და საპოლიტიკო-საზოქალაქო წეს-წყობილებას. იეზეკიილ და დანიელ წინისწარმეტყველების მოწმობით ქართველი ტომის ხალხებს ჰქონიათ ვაჭრული ურთიერთობა ასურეთთან, ებრაელებთან, ფინიკიელებთან და ეგვიპტიელებთან; ამას ამტკიცებენ როგორც ასურეთის სოლისებური ზეწარწერები, აგრეთვე ეგვიპტურიც. ასლა ეჭვს გარეშეა, რომ ასურეთის მეფეთა სარიუკინს ანუ სარგონს და ასურმენოპალს მთელი სამხედრო ექსპედიციები გაუმართავთ ქართველთა მეფეების წინააღმდეგ მეცხრე და მეშვიდე საუკუნოებში ქრისტეს მოსვლამდის. შემდეგ როდესაც ეგვიპტე და ასურეთი დასცეს ასამენიდებმა, სპარსეთის დინასტიამ, მსოფლიო ისტორიიდან ვიცით, რომ საქართველო იმათ

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებათ ითვლებოდა; ეოველივე ეს თვალსაჩინოთ გვისაუბავს იმ ისტორიულ გარემოებას, რომ უძველესი საქართველო მჭიდროთ ეოფილა კულტურით დაკავშირებული ასურეთ-ბაბილონთან და სპარსეთ-ეგვიპტესთან. ზოგი მითები, რწმუნებანი, კერპები, წესი კერპთაყვანის-მცემლობისა, საზოგადო წესწეობილება ამ ქვეყნებში საერთო ეოფილა. ამას თითქმის ზედმიწევნით ამტკიცებს თვით ჩვენი ძველი მითოლოგიური და ლეგენდარული ნაშთები. ათასაზეთის ღმერთია ანცას, და მის მსახურებს ბევრი საერთო აქვთ ასურეთ-ბაბილონის ღმერთთან, ანაიტთან; ჩვენ კერპს ბოჩოს ასურეთელ ბაალთან და ფინიკიელ მელკარტთან; სვანურ ღმერთას დალს და ქართული თინას — საბერძნეთის ღმერთასთან დიანასთან; ფშავ-ხევსურის და ინგილოს გმირს კოპალეს — ძველ ჰელლინურ ღმერთთან, აპოლონთან. ქართველ გმირს, ამირანს — პრომეთეოსთან, ქართველ

ძველ საკერპო ღმერთს — არმას — სპარსულ ღმერთთან იარმუზდთან და სხვ. ყოველივე ესენები და მრავალი ქართული ლეგენდები, რომელიც ჩვენ სელთა გვაქვს, ძალიან ემსგავსებიან ელლინურს და ძველ აღმოსავლეთის ზნე-ჩვეულებების და ღმერთ-ძსახურების წეს-რიგს. მაშასადამე აქ არაფერი გასაკვირველი არა არის რა, თუ ჩვენ შედარებითი მეთოდის ძალით ჩვენი უძველესი კულტურის ისტორიული სურათები დავუახლოვეთ იმ დროის ეგვიპტურ და ასურეთ-ბაბილონის კულტურულ სურათებს. ლენორმანისა და მასპეროს გამოკვლევათა შემდეგ ცხადათ ჩნდება, რომ ხასიათი მიცვალებულის პატივისცემისა, რაც ეგვიპტეში და ასურეთში ყოფილა, აგრეთვე ქალის გათხოვე`ის წესი, შელოცვები სატკივრებისა იგივე ყოფილა ჩვენშიაც და დღემდე სელუხლებლათ შენახულა, მაგალითათ იმერეთის მთის ხალხებში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, აფხაზეთში და გურია-სამე-

გრელობი. თვით საერო მწერლობას იმ სა-
ნისას, რომელსაც ეწოდება ჩვენი ოქროს სა-
უკუნე, მაგალითად დავით-აღმაშენებელის და
თამარის დროები, ბევრი რამ დაუცავს ჩვენი
უძველესი ზნეჩვეულების და კულტურის ამბე-
ბი. გადავიკითხოთ „ამირან-დარეჯანიანი“,
„ვის-რამიანი“, „ვეფხის ტყაოსანი“, „ყარა-
მანიანი“ და დავრწმუნდებით, რომ საშუალო
საუკუნო რაინდულ ცხოვრების აწერილობა-
სთან ერთად მარგალიტებივით გამოსჭვერს
უძველესი ჩვენი კერპთაყვანის-მცემლობის კულ-
ტურის მომასწავებელი ამბები, რომელთაც გა-
დავუავარ უძველეს ასურეთ-ბაბილონის ეო-
ფა-ცხოვრებაში. ეოველივე ამით ვისარგებლე
და რამდენათაც შემწევდა ჩემი ცოდნა ფანტა-
ზიის გამოსატულებასთან ერთად — დავსტე
კულტურული მოძენტი ჩვენი კერპთაყვანის-
მცემლობის სანასი.

თუ რომ ამ წვლილით ცოტაც არის გა-
ეოთობა მკითხველი და აღეძრება გულში

უკეთესი იმედები მომავლისადმი, ფრიად ბედ-
ნიერათ ჩავთვლი ჩემ თავს.

სურათები შესამებით იმ დროისა გადმო-
ღებულია მასხეროს თხზულებიდან, სახელათ
,,ეგვიპტე და ასურეთი''.





ჩვენი ძველი გმირები

I.

ვაისის დილა იყო. სამეფო პალატნი სამთავროს მახლობლათ გაბრწყინდენ ამომავალი მზის სხივებით. წიწამურის სერებზე დიდებულ მოოქროულ არმაზს ამოღებული მახვილი ეჭირა და ზედ ალმასის შუქი დაკრთოდა. ის იდგა მკლავ-გამართული, თითქოს ჰსურს ჩაბნელებულ არაგვის ხეობას დაჰკრას ელვარე მახვილი და გაჰ-

ფანტოს წყეული არიმანის ჯარები მზის შუქის შემწეობით.

— ოჰ, დიდებულო, არმაზ, შენ მოგვივლინე ნათელი, რომ ვიხსნათ თავი სამწუხარო ღამის ტყვეობისაგან, მოგვეც მხიარულება და მოგვაშორე თავიდან ბნელეთის ავი სულები, გამოაბრწყინე ნათელი და გაჰფანტე არიმანის მიერ მოვლენილი ავი სულებიო. — ლოცულობდა ხალხი თავის სახლების შექვითკრულ ბანებზე.

მზეს უკვე მოევლო შვენიერი მტკვრის და არაგვის ჭალები, ცისარტყელასავით აეპრიალებინა, აენთო დანამული მთა და ბარი.

ეს მაშინ იყო, როდესაც მცხეთა ითვლებოდა პირველ დიდებულ ქალაქათ არამც თუ საქართველოში, მთელ აღმოსავლეთის ქვეყნებშიაც, როცა თფილისი ჯერ კიდევ ძრავინ იცოდა და ჯერ მისი ხსენებაც არ იყო ქვეყანაზე, როცა დღევანდელი ქალაქის მაგიერათ უდაბური ტყეები იყო სავსე სხვადა-სხვა ველური ოთხფეხი ცხოველებით და ფრინველებით. ამპარტავანი არწივი შეჰხაროდა ამ საკლავის სიმდიდრეს და ბუდეს იკეთებდა იქ, საცა დღეს წმინდა დავითის ეკლესია მერცხლის ბუდესავით არის მიწებებული ფრიალო კლდეზე.

იმ დროს საქართველოს ხალხი ქრისტე-ღმერთის მაგიერათ თაყვანს სცემდა მზეს, მთვარეს და

ვარსკვლავებს, ეშინოდა ღამის სიბნელისა, რადგან ჰფიქრობდა, რომ ღამე იყო ავსულების ღმერთი — სახელათ ა რ ი მ ა ნ ი. ქართველებს რწამდათ, რომ რაკი დაღამდებოდა, წყეული არიმანი, ღმერთი ბნელეთისა, ავსებდა კაცის მჭამელ ლეევებით, კუდიანებით, ჭინკებით, პაწია ალებით და რქიანი ეშმაკებით ქვეყანას, რომ შეეწუხებინა კაცის სული. ამიტომაც მაშინდელ ჩვენ მამა-პაპებს ეშინოდათ ღამის, სიბნელის და თაყვანს სცემდენ სინათლეს, რომელიც გაფანტავდა ბნელ ღამეს და მოასვენებდა ბნელისაგან შეშინებულ ჩვენი მამა-პაპის გონებას. ამ სინათლის წარმომადგენლათ ჩვენ ძველ ქართველებს დაესახათ მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ისინი ეგონათ წმინდა სულები, ნათელი, ხორც-შესხმულები, კაცის სახიანი, ამიტომაც იმათ სურათებს აკეთებდენ სპილოს ძვლისას, ოქრო და ვერცხლისას, შეამკობდენ ძვირფასი თვლებით, როგორც შემკულია დღეს ჩვენი ძველი წმინდა ხატები.

ერთა ამისთანა სურათი სპილოს ძვლითა, ოქროთი და ვერცხლით გაკეთებული, კაცზე უდიდესი და უმაღლესი, იყო ამართული იმ სერზე, საცა დღეს ძველი ეკლესია მოჩანს, არაგვს გაღმა, მცხეთის პირ-და-პირ. ეს ძვირფასი სურათი დადგმული იყო მარმარილოს საფეხურზე, ხელ-გაწვდილი და ხმალ-ამოღებული.

ამ ხატს, ანუ სურათს ჩვენი მამა-პაპები ეძახდენ სახელათ ა რ მ ა ზ ს — ნათლის ღმერთსა — და ეგონათ, რომ ის იყო მზის სურათი, რომელსაც თაყვანსა სცემდენ და მისგან ელოდენ შემწეობას. მართლაც დილით, როცა პირველი მზის შუქი ამ არმაზის სურათს დაჰკრავდა, იგი ისე გაბრწყინდებოდა, როგორც თვითონ მზე; ხალხიც იმ დროს გამოვიდოდა მცხეთაში თავის სახლის ბანებზე და ეეედრებოდა მეტანიით (მუხლ-მოყრით) არმაზ-ღმერთს, რომელსაც დილის სინათლით გაეფანტა სიბნელე და გაერეკა ავი მაცდური სულები.

აი, ეს დრო იყო, როცა ერთ მარმარილოს დარბაზში დიდებულსა და ყველაზე უფრო ლამაზ მცხეთის ქალაქში ბატონის რძალი სანადიროთ აწყობდა თავის ერთათ-ერთ ვაჟს, ქართველების იმედს. ბატონის რძალი დაქვრივებულიყო ალექსანდრე მაკედონელის შემოსევის დროს, როცა მცხეთის ბატონს, დიდ მამასახლისს, სამარას, მთელი საქართველოს ჯარი გამოეყვანა ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ თურმე მაშინ მცხეთის ბატონმა დიდი გმირობა გამოიჩინა, მტერს შეაკვდა და ქართველები იხსნა მონაობისგან. ამისგამო მცხეთის ბატონი ძალიან შეუყვარდათ ქართველებს. იმ დროს ბატონის რძალი ოცი წლის თუ იყო და მისი შვილი, ფარნაოზი, ორი წლის, ჯერ კიდევ ძუძუს წოვ-

და. რაკი ქმარი მოუკლეს, ბატონის რძალი გადიხიზნა მთიულეთში. მთიულებმა შეინახეს ქვრივი დედოფალი და პაწია ტახტის მემკვიდრე. ისინი არაფერს ზოგავდენ მათთვის. მას და დედოფალს ბევრი მტრები აღმოუჩნდენ თვით მახლობელ ნათესაობაშიაც.

მცხეთის სამეუფო ტახტი და დიდი მამასახლისობა ხელში ჩაიგდო ფარნაოზის ბიძაშვილმა აზომ, რომელმაც პატივისმოყვარეობის გულისთვის ქვეყნის მტერთან, ალექსანდრე მაკედონელთან, საიდუმლო მოლაპარაკება გამართა: უკეთუ შენ შემეწევი და ჯარს მომახმარ, რომ მცხეთის ბატონის ტახტი მე დამრჩესო, ჩემს მომხრე ჯარს შენსკენ გადმოვიყვან და მცხეთის ბატონს ვუღალატებო

ალექსანდრე მაკედონელს იამა ამგვარი ერთგულება აზოსი, რომელმაც ჯერ თავის ბიძა, დიდი მცხეთის მამასახლისი და ქართველების ბატონი, გასცა და შემდეგ თავისი ქვეყანაც. დამარცხდა მცხეთის მამასახლისი და თან გადაატანა სიცოცხლეც. მცხეთის ტახტი აზოს დარჩა. ალექსანდრე მაკედონელმა კარგათ იცოდა, რომ ქართველებს არ მოეწონებოდათ ამგვარი მუხანათობა და კიდეც დასჯიდენ აზოს; ამისთვის იმან მისცა მას მაკედონიის ჯარი და უთხრა: ვინც გიწინააღმდეგოს, მოჰკალიო. ბატონის რძალმა ამიტომაც მოარიდა

თავისი ძუძუ-მწოვარი შვილი და გადიხიზნა მთიულეთში.

მას აქეთ გავიდა თექვსმეტი წელიწადი. ფარნაოზი დავაჟკაცდა, ის იყო ნამდვილი გმირის მოყვანილობისა. მის შვენიერ სახეს და ტანადობას ვინც შეჰხედავდა, ყველას თვალი რჩებოდა ზედ. ქართველებსაც ძლიერ უყარდათ იგი ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში ალექსანდრე მაკედონელის მიერ გამეფებული აზო ძალიან მობეზრდათ ქართველებს იმან თან-და-თან უფრო-და-უფრო დაუწყო შევიწროება ქართველებს. იგი უცხო ქვეყნის ჯარებს გაუსევდა ხოლმე სოფლებს. რომელი დიდებულიც არ მოეწონებოდა, იმას აიკლებდა და გაანადგურებდა. მაკედონელები ჩაესეოდენ ქართველებს სოფლებში. ზოგს ჭირნახულს ართმევდენ, ზოგს—პირუტყვს, საქონელს, ზოგს თეთრსა, ზოგს ცხვრის ფარებს, ზოგს—ახალგაზდა ქალებს და ზოგს ოჯახსაც გაუუპატიურებდენ, მამა კაცებს ქუდს მოხდიდენ და დედა-კაცებს—ლეჩაქს ამ ნაირი უსირცხო ქცევისაგან ქართველები მეტათ აღელდენ, თვითონ აზოს ეძახდენ ალექსანდრე მაკედონელის ყურ-მოჭრილ ყმას და ქვეყნის მტერსა. იმათ ყველას გული ფარნაოზისაკენ ჰქონდათ და ფიქრობდენ, როდის იქნება, რომ ფარნაოზი დავაჟკაცდეს, მოთავეთ გაგვიხდეს, რომ უცხო ქვეყნის ჯარები, აზოს მომ-

ხრეები, ესე იგი, აზონაურნი დავიფრინოთ ჩვენი ქვეყნიდან, თვითონ აზო და მისი ჯარი გავწყვიტოთ და მცხეთის ტახტი ისევ ბატონისშვილს ფარნაოზს დავუბრუნოთო.

ამ ფიქრში რომ იყვენ ქართველები, აზო, მცხეთის მფლობელი და ქართველების მტარვალი, სულ სხვა ხრიკებს იგონებდა. იმას ფარნაოზისა ძალიან ეშინოდა; იცოდა, რომ ის ხალხს უყვარდა და მთიულებიც აღმერთებდენ. რაკი დარწმუნდა, რომ ძალით ვერ მოიკიდებდა ხელს, ნებით მიჰყვა: დაუწყო ბატონისრძალს საჩუქრების გაგზავნა მთიულეთში და იპატიჟებდა მცხეთას მისი ქმრის დარბაზში საცხოვრებლათ; სამეუფო ულუფაც გაუჩინა.

დიდი ხანი არ იყო, რომ ბატონისრძალი თავის უფროსი ქალით და ფარნაოზით მობრძანებულიყვენ მცხეთას და დამკვიდრებულიყვენ სამეუფო მამის დარბაზში. პირველათ ისინი ძალიან პატივცემულნი იყვენ მცხეთის ბატონის აზოს მიერ, რომელიც გულში თურმე ფიქრობდა ფარნაოზის მოკვლას და ეძებდა მარჯვე დროს.

ბატონისრძალს ესმოდა ამისთანა ამბები თავის სეფისაგან და გაფრთხილებული იყო, რომ შვილს რაიმე ცუდი არ შემთხვეოდა მაკედონელის ჯარისაგან. ამისთვის ის ხშირათ ჰგზავნიდა ფარნაოზს

სხვა-და-სხვა ალაგს, თუ სანადიროთ, თუ საწვეულოთ, შინ არ აყენებდა.

ერთხელ ფარნაოზმა აიტეხა დილმის მხარეზე სანადიროთ წასვლა, რადგან მის სეფეს ექოს ალაგები: იქ ველური ტახები და ირმის ჯოგები არიანო. ბატონის რძალმაც არ დაუშალა და შეავედრა არმაზს მისი თავი. დილა ადრიანათ ფარნაოზი გამოეწყო აბჯრითა და ჩაჩქნით. ხელში აიღო მამის ნაქონი რკინის შვილდ-ისარი და გაემგზავრა; მონადირე სეფეწულებიც თან იახლა. რამდენიმე დღე დარჩენ სანადიროთ, ბევრი ნადირი მოჰკლეს. ბოლოს ფარნაოზს წამოუხტა წინ ერთი ხარლაღი ირემი, რომელიც მეტათ დიდი და შვენიერი მოყვანილობისა იყო, ზურგზე გადეფინა დიდი ბორჯღლეებიანი რქები ოც-და-ოთხი ნაყარი ტოტითა. ფარნაოზი გამოუდგა ირემს ფეხ-და-ფეხ. ირემმა მიაშურა თრიალეთის კლდეებისაკენ. მთელი დღე ჰდია ფარნაოზმა ირემს, მაგრამ მაინც ვერ მიწვდა ისრის სასროლზე. ამასობაში მან დაჰკარგა თავისი სეფე, რომელთაგან მრავალნი აქეთ-იქით დადიოდენ და დაეძებდენ მეფისწულს; მაგრამ ველარც მისი კვალი ნახეს, ვერც მის წინ წამომხტარი ირემი.

დალამდა. დალალული სეფის ჯარი დაბრუნდა მცხეთას დალონებული. ისინი ხან ფიქრობდენ, რომ მეფის წული ფარნაოზ მცხეთას წავიდოდაო, ხან

იმასაც ფიქრობდენ, ვაი თუ მცხეთას მისული არ დაგვიხვდესო? მაშინ ან ბატონის რძალს რაღა ვუთხრათ, ან ქართველებს როგორღა ვეჩვენოთო...

ირემმა განვლო სკვირეთის სივიწროვე და მიაშურა კლდე-კარს. აი, ამ მთის დაფენილზე ფარნაოზმა ესროლა ნადირს ისარი, რომელმაც გაუხვრიტა ბეჭი და იქვე დასცა.

ცა მოიღრუბლა, დაბნელდა, შეიქმნა ელვა-გრგვინვანი. დაჰკრა გრიგალმა და წვიმამ მოხეთქა ღვარით მთა-ბარი. ფარნაოზმა მოჭრა სამწვადე ბეჭის ფრთა ნეკნებიანი. გააჩინა ცეცხლი, გათალა შამფური და დაუფიცხა ცეცხლზე ირმის მწვადი ცვრიანი.

ღამე იყო ისეთი ბნელი, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა. ცეცხლი გიზგიზებს და ალმა დაიწყო ერთ მხარეს გამოქვაბულში გამოკრთომა. ფარნაოზს გაუკვირდა: ნეტამც რა უნდა იყოს, კლდის კედელში ასე რომ გამობრწყინავსო. დადვა მწვადი ცეცხლთან და მივიდა ქვაბის კედელთან სანახავათ. იმან შენიშნა, რომ აქ ქვაბის კედელი გამოშენებული ყოფილიყო ძველის-ძველათ და ქვასა და ქვას შუა სინათლე შედიოდა შიგნით; იქიდან ეს სინათლე უკან სცემდა, თითქოს იქ ბრჭყვინვარე რამ ნივთები ყოფილიყოს. იმან გამოანგრია ქვის კედელი და განცვიფრდა. თურმე ის კუთხე ქვაბისა

სულ თვალ-მარგალიტით, ოქროთი და ვერცხლით იყო გამოტენილი. ფარნაოზმა გადმონგრეული კედელი ისევ აჭერა. შემდეგ მოვიდა, დაჯდა ცეცხლა-პირას, მწვადი შეჭამა და იქვე ტკბილათ მიიძინა...

იმ ღამეს მცხეთას ბატონისრძალს სამეუფო დარბაზში არ დაუძინია. სულ იმის ფიქრში იყო, ვაი თუ ფარნაოზი მხეცებმა დაჰგლიჯესო. მისნი საყვარელნი სეფის წევრნიც ტიროდენ ფარნაოზის დაკარგვის ამბავი შეიტყო აზომ სასახლეში და გაიხარა. მეფისრძალს კი ზეთის ლამპარი არ გაუქვრია სპილოს ძვლის პაწია არმაზის ხატის წინ, რომელსაც მუხლ-მოყრით ეეედრებოდა, რომ არიმანი და მისი ბნელეთის ავი სულები შეეკრა და ფარნაოზზე არ მეიშვა სავნებლათ.

ღამე იყო საშინელი წამის-წამ მეხის ტეხა და ელვა უფრო-და-უფრო არწმუნებდა ბატონისრძალს, რომ არმაზს გაცხარებული ბრძოლა ჰქონდა რქიან დევებთან და ღამის ავ-სულებთან. იგი ესროდა მათ ელვის ისრებს და აკავებდა, რომ ფარნაოზის სვეზედი დაეფარა. ბატონის რძალი თან-და-თან უმატებდა არმაზის ხატის წინაშე მხურვალე ლოცვას, ბოლოს მეტის დაღალულობისგან მიეთვლიმა სპილოს ძვლის ტახტზე, რომელზედაც ოქრო-მკედით მოქარგული საფენები იყვენ გაშლილი.

გათენდა დილა. მზემ ამოაშუქა და ფარნაოზ-მაც ამ დროს შეალო ჩუქურთმით ნაკეთები კარები დედის საწოლ ოთახში. იმან თვალი გაახილა და, რაკი თავის შვილი, ჭაბუკი გმირი, ისევ უვნებლათ დაინახა, წამოვარდა და ჩაჩქანმოსილი შვილი გულ-ში ჩაიკრა. ერთხანს მოყვარული დედა და შვილი იყვენ ასე გარინდულნი. შემდეგ დედამ შეწირა არ-მაზს საკმევლის კმევით ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი. მერე დაჯდა შვილთან ოქროს ტახტზე და გამოჰკითხა ნადირობის ამბავი.

ფარნაოზმა მოუთხრა დედას, ქვაბში რომ სიმ-დიდრე ჰნახა, იმის ამბავი. ბატონის რძალმა იგრძ-ნო, რომ შვილს ამ სიმდიდრის წყალობით დიდე-ბული ბედი მოელოდა და, როგორც ჰჩვევია გამო-ცდილს დედა-კაცს, ისეთი რჩევაც მისცა: — „შვილო, ეგ სიმდიდრე სულ ღამით უნდა გადმოვაზიდვინოთ ჩვენს ერთგულს სეფას და სამეუფო ხაროებში დავ-ფლათი.“.

— რაკი ეგრეა, მაშ, დედილო, ეს სიზმარიც ამიხსენი, რომელიც კლდე-კარის გამოქვაბულში მე-ზმანა: ნადირობისგან დაღალულს, კლდის ფილა-ქანზე, ცეცხლა-პირს ტკბილათ ჩამეძინა. ვითომც ერთ ბნელ ოთახში ვიყავი. არსაით გამოსვლის

ლონე არ მქონდა. ვიყავი ამ ბნელ საპყრობილეში ჩასმული და ძლიერ ვწუხდი. ამ დროს გაკეთდა სარკმელი და მზის შუქი შემომენათა. ეს შუქი შემომერტყა გარშემო და გარეთ მინდორზე გამიტაცა. აქ ჩემ ფეხ-წინ თვით ნათელი მზე დაეცა ცვარ-შემოსილი. მე მოვწმინდე მზეს ეს ცვარი და მითი პირი დავიბანე.

— შვილო, ეგ სიზმარი მოასწავებს შენს მეფეთ გახდომას და საქართველოს გათავისუფლებას შენი ხელით მტარვალის აზოსაგან. ამ საქმეში შენგან ნაპოვნი სიმდიდრე ძლიერ დაგეხმარება. დროს ნულარ ვკარგავთ, სიმდიდრე გადმოზიდონ ღამით.

— კარგი, დედილო, — უთხრა ფარნაოზმა ბატონისრძალს. მაშ მე ახლავე კაცს ვაფრენ მამი ჩემის მეგობართან, ქუჯთან, რომელიც არის ეგრისის (სამეგრელოს) მთავარი, შევატყობინებ ყოველსავე ჩვენს განზრახვას; შენ კი ასპანის (ისპაანის) მთავარს, შენ ძმას, მიჰწერე წიგნი, რომ ჯარი შეგვიმზადოს.

ამსახით დედამ და შვილმა დაიწყეს მზადება. ამდროს მეტათ შეწუხებული იყო მთელი საქართველოს ერი აზოსგან. მეორე მხრით ეგრისიც, ლიხის (სურამის) მთას იქითი ქვეყანა, შავ-ზღვამდე, საბერძნეთის მეფეს ეჭირა და ძლიერ ავიწროებდა დასავლეთის საქართველოს ხარჯისა და მრავალნაი-

რი ბეგრის კრეფითა. ისინიც ელოდენ, მარჯვე დრო ეშოვნათ, რომ ბერძნებს განდგომოდენ და დანარჩენს საქართველოს ერს შეერთებოდენ. ეგრისის მთავარს ქუჯს რომ ფარნაოზის წერილი მიუვიდა, მეტათ განიხარა და ასე მოწერა: „ეგ სიმდიდრე, რომელიც შენ გინახავს, საკმაო იქნება ჯარების დასამზადებლათ. რომ აზო მტარვალმა არ გიგრძნოს, ჰჯობს, ჩემთან მოხვიდე და ეგ სიმდიდრე თან გადმოიტანო; აქ დავემზადოთ, მოვიწვიოთ ოსის ჯარი და ლეკისა“.

ამ ამბავს შემდეგ ფარნაოზი შეემზადა თავის სიმდიდრით ქუჯთან წასასვლელათ. დედა კი ასპანს გაგზავნა მის ძმასთან, რომ იქიდანაც ჯარი მოეშველებინა.

აზო იყო მეტათ ფიცხი კაცი, ასე რომ თვით მისი ჯარიც არ ემადლიერებოდა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს მისთვის დაეტოვებინა სასამსახუროთ. თუმცა ეს ჯარი ბერძნულს წესზე იყო გამოწყობილი, მაგრამ ბერძნები კი არ იყვენ. ისინი უფრო მდინარის ეფრატის მხრის სომხებიდან იყვენ შემდგარნი. ისინიც დროს უცდიდენ, რადგან ფარნაოზის სახელი, როგორც კარგი გულისა და ყველასგან საყვარელის კაცისა, იმათ შორისაც განთქმული იყო.

ცოტა ხანს შემდეგ აზოს მოესმა ამბავი, რომ

ქუჯსა და ფარნაოზის დედას სპარსეთიდან მოჰყავთ ჯარები ქართლის მოსაშველებლათო. ოსეთიდან და ლეკეთიდანაც ამათი მომხრენი მოდიანო. რადგან ოსებიც და ლეკებიც შეწუხებული ჰყავდა აზოს მომეტებული ხარჯის გამორთმევით.

აზომ საჩქაროთ მოუწოდა ბერძნულს წესზე გაწყობილ თავის ფროტათელ ჯარს, ის კი არ იცოდა, რომ პირველ შეტაკებასთანავე ათასი რჩეული ცხენოსანი მისი ჯარისა ემზადებოდა აზოს ღალატს და ფარნაოზის მიმხრობას.

გადმოვიდენ თუ არა ლიხს (სურამს) აქეთ ფარნაოზისა და ქუჯის ჯარები, მაშინვე ის ათასი რჩეული ცხენოსანი აზოს ჯარი ფარნაოზიანებს შეუერთდენ. ამასთანავე მთელი ქართლის ერიც ადგა აზოს წინააღმდეგ. მეტი რა ღონე იყო, რაკი აზომ თავის ჯარის ნაწილსაც შენიშნა ღალატი, დანარჩენსაც ველარ მიენდო, დაადგა მცხეთა და გამაგრდა კლარჯეთის ციხეებში, რომელნიც მდებარებდენ საბერძნეთის სამფლობელოს საზღვრებზე მდინარის ჭოროხის სათავეში. იმას უნდოდა, საბერძნეთის ხელმწიფის შემწეობით ზურგი გაემაგრებინა. ფარნაოზი და ქუჯი შევიდენ დედა ქალაქს მცხეთას და დაიჭირეს ოთხი ძველი ციხე ქალაქისა. ამ ოთხ ციხეთაგანი ერთი იყო არმაზის მთაზე აგებული, იქ, საცა ახლა ჯვარის ეკლესია არის, არაგვს გაღმა. ეს

იყო დიდი მთავარი ციხე. მეორე იყო ამ მთის ცხვირის ბოლოზე, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის, მესამე მცხეთის მთას ზემოთ მტკვრის მარჯვნით, მეოთხე მტკვრის პირათ დასავლეთისკენ. ამას შემდეგ ფარნაოზმა გაგზავნა ასურეთის ხელმწიფესთან ანტიოქოსთან, მოციქულები და თხოვა შემწეობა საბერძნეთის წინააღმდეგ. ანტიოქოსმა გამოუგზავნა ფარნაოზს მეფის გვირგვინი და უბრძანა სომხითის ერისთვებს, ფარნაოზს მისცენ ხოლმე შემწეობა ჯარებით, როცა დაჭირდესო. ამ სახით ფარნაოზი გახდა პირველი მეფე საქართველოსი.

მეორე წელიწადს აზოს მოუვიდა საბერძნეთიდან ჯარები და წამოვიდა ფარნაოზთან საბრძოლათ. ფარნაოზს დაეხმარა ქუჯი მთელი იმერ-სამეგრელოს ჯარებით. სომხითის ერისთვებიც წამოვიდენ მასთან თავის ჯარებით, ანტიოქოს მეფის ბძანებით; ლეკი, ოსი და ხაზარიც ფარნაოზს მიეშველენ. მეფე ქართლის ჯარით და თავის მოკავშირეებით გაემართა აზოსკენ და მიუხდა არტანის ნაქალაქევს, რომელსაც მაშინ ქაჯეთის ქალაქს ეძახდენ, უფრო ძველათ კი ჰ ურ ი ეწოდებოდა

ფარნაოზმა ჰძლია ბერძნის ჯარი, მოჰკლა აზო და მთელი მისი სიმდიდრე ხელში ჩაიგდო. მერე შეესია თვით საბერძნეთის ქვეყანას და დაიპყრო ა ნ ძ ა ძ ო რ ი, ახლანდელი ე რ ზ ი გ ი ა ნ გ ი, აზრუ-

მის სამხრეთით რომ მდებარებს; ამასთანავე გაათავისუფლა საბერძნეთის ხელიდან მთელი დასავლეთის საქართველო: იმერეთი, გურია, სამეგრელო მდინარე ენგურამდის, რომელსაც მაშინ ეძახდენ ეგრისის წყალს. აქ ერისთავათ დასვა თავის მეგობარი და მოკავშირე ქუჯი. მისი საზღვარი იყო აღმოსავლეთით და სამხრით მდინარე რიონი. დანარჩენი საქართველო რვა საერისთაოთ გაჰყო, ეგრისს გარდა. იმიანათ კი ცხრა საერისთაო იყო.

მეორე ერისთავი დასვა მარგვისს (არგვეთს) და მისცა გასამგებოთ ლიხის მთას იქით არგვეთის ქვეყანა, რაჭა, ლომსიათ ხევი (ესე იგი შორაპნის მაზრა) და გურია მდინარე რიონამდის. ფარნაოზმა აუშენა მას შორაპნის ციხე და დიმნა (ახლა აქ დიმის სოფელია, ბაღდადის მახლობლათ).

მესამე გაგზავნა არაგვზე და მისცა არაგვიდან მოკიდებული ქვეყანა კახეთამდე, (რომელსაც მაშინ ერქვა ჰერეთი). ამ საერისთვოს საზღვარი სამხრეთით იყო მდ. მტკვარი და ჩრდილოეთით მთა.

მეოთხე გაგზავნეს საშშვილდეს. ამის საზღვარი იყო აღმოსავლეთით სკვირეთის მდინარე (ახლანდელი ვერის წყალი თფილისის მახლობლათ), სამხრეთით აბოცის მთა (თრიალეთის მთა). ეს საერისთვოს ქვეყანა იყო მთელი საციციანოსა და საბარათიანოს მამული ალგეთისა და ზემო ხრამის ხე-

ობა, დასავლეთით ტაშირი (ბორჯომის ხეობა) და ჩრდილოეთით მდ. მტკვარი.

მეხუთე გაგზავნა ხუნანის ერისთავათ. ეს ქვეყანა არის ახლანდელი ყაზახ-ბორჩალო და ლორე, უწინ კი გაჩიანი და გარდაბანი ერქვა.

მეექვსე გაგზავნა წუნდას (ახალქალაქის მაზრა). ეს საერისთვო ქვეყანა იყო ფარვანის ტბიდან მოკიდებული მტკვრის სათავემდის: ჯავახეთი, კოლა, არტაანი (ახლანდელი არდაგანის მაზრა და ჩილდირის ხეობა).

მეშვიდე გაგზავნა ოძრხის ერისთავათ, ტაშის კარიდან არსიანამდე. ეს ქვეყანა შეიცავს ადგილებს ბორჯომის ხეობიდან ახალციხის მაზრას, ზემო აჭარის მთამდის. ამასთანავე არსიანიდან ზღვამდე სამცხე და აჭარა (ზემო და ქვემო აჭარა ბათუმიანათ).

მერვე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავათ (ჭოროხის ხეობა, ისპირი, ტრაპიზონამდის)

მეცხრე დაადგინა ერისთავთ ერისთავათ და მისცა ქვეყანა ტფილისიდან მოკიდებული ტაშის კარამდის. ეს იყო ყველა ერისთვებზე უფროსი და მთელი სამეფო ჯარიც ამას ებარა. ამის საბძანებლო იყო ტფილისიდან მოკიდებული მტკვრის გაყოლება ბორჯომის ხეობამდის, ქსნის ხეობა, ფცისა, ალის წყლის ხეობა და ეწოდებოდა შიდა ქართლი.

Библио

ჯარის რიგი იყო ასე დაწყობილი: იყვენ დადგენილნი ასის თავნი, ათასის თავნი და ბევრეულნი, ესე იგი, ერთი ბევრის უფროსნი. ერთი ბევრი შეადგენდა რვაათას კაცს.

ფარნაოზმა ის ათასი რჩეული ცხენოსანი, რომელიც განუდგენ აზოს, გახადა ასისა და ათასის თავებათ; მისცა მათ პატარ-პატარა ხეობები და მათ ადგილ-სადგომებში ციხეები და კოშკები დააკეთებინა, რომ ხეობების შესავალი კარები დაეცვათ მტრის წინააღმდეგ. ამ ჯარის კაცებს ეწოდა აზონაურნი, ესე იგი, აზოს ხლებულნი. თითოეულს მათგანს მიუჩინა მუშაკნი, გლეხნი, სასამსახუროთ.





II.

კათათვე დადგა. კარსნისა, კოდ-
მანის, წიწამურის და არმაზის გა-
რეთუბნელები ემზადებოდენ მცხე-
თის გარემინდვრებში ოქროს ფე-
რათ მღელვარე ყანების მკას. სა-
მთავროს სასახლეში ბატონის რძა-
ლი ფარნაოზის დედა, დიდებუ-
ლი სპარსეთის მეფის დარიოზის
ასული, გულ-აღელვებული უცდი-
და თავის შვილის ამბავს ასული მისი, ფარნაოზის
დაჲ ეს ერთი კვირა იყო, რაც შინ არ დაბრუნე-
ბულიყო. ის იმყოფებოდა არმაზის მთაზე ღმერთე-

ბის დიდებულ ტაძარში დედაქურუმათ. იმას იქ მარ-
მარილოს სახლიც ედგა განსასვენებლათ.



ფარნაოზის დის სასახლე.

სახლის გვერდით შვიდ-სართულიანი ოთხ-კუთ-
ხი გოდოლი (დიდი კოშკი) აიმართებოდა. ამ გო-
დოლს ოთხივე კუთხე მიქცეული ჰქონდა ქვეყნის
ოთხი მხრისაკენ, ასე რომ აღმოსავლეთს, დასავ-
ლეთს, ჩრდილოეთს და სამხრეთს იმ გოდლის კუთ-
ხეებით შეიტყობდენ. თითოეულს სართულს გოდ-
ლისას თითო გვერდზე თითო ლანძვი[1]) (სანათური)

[1]) ლანძვი—ვიწრო და მაღალი ფანჯარა. იხილე ,,დი-
ლარიანი''

ჰქონდა დატანებული. ყოველ სართულში თავთავისი შესაფერი მოწყობილობა იყო. კედელზე სხვადა-სხვა კერპთა ღმერთების ბრძოლა, ან მეგობრული ურთიერთობა იყო გამოხატული. ყოველის სართულის გუმბათი ცისფერათ იყო შეღებილი და ზედ ის ვარსკვლავები იყვენ გამოხატულნი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება და კავშირი ჰქონდათ თვით სართულში დაყუდებულ ღმერთების ანდრიატებთან[1]).

პირველ სართულში იდგა ხუთი ადლი ალებასტრის ანდრიატი ანცასი, ანუ ნანა-ღმერთისა[2]). ამას ჰქონდა დედა-კაცის სახე, ტანი თევზისა და ზედ თევზის თავი ეხურა. ცალ-ხელში ეჭირა სიმრგვლე ქვეყნისა, რომელსაც გარშემოხვეოდა გველეშაპი, მაგრამ ანცას მისთვის კისერში ხელი წაევლო, თითქოს არ ანებებსო გველვეშაპს დედა-მიწის შთანთქმას. წინ ედგა მარმარილოს ტაბლაკი და ზედ

---

[1]) სურათი გამოჭრილი ან მარმარილოსაგან, ან ლითონისაგან: ოქროსა, ვერცხლისა და სპილენძისაგან.

[2]) იხილე აფხაზური ლეგენდები „ივერია". ერთი ამ გვარი პატარა ანდრიატი სპილოს ძვლისა მე ვნახე მღვიმევის მონასტერში საწინამძღვრო ჯოხზე დაგებული. ჩემი აზრით ეს ანდრიანტი უძველეს დროიდან უნდა იყოს აქამომდე მოღწეული. ავტ.

მოხაზული იყო სივრცე ოკეანესი სხვა-და-სხვა მხრით მიმდინარე. ცის გუმბათზე გამოხატული იყო მნათობი იუნონა.

მეორე სართულში იდგა კაცის სიმაღლე ორი ვერცხლის კერპი გაცისა და გაიმისა[1]) ერთს ჰქონდა მამა-კაცის სახე და მეორეს დედა-კაცისა.

მესამე სართულში იდგა მარიხის[2]) კერპი რვალისა (სპილენძისა), რომელსაც თავს ეხურა ოქროს მუზარადი, ცალ-ხელში ეჭირა ბრწყინვალე შუბი ფოლადისა და მეორე ხელში ჰქონდა ოქროს მუგუზალი თავმონაოჭებული, თითქოს ცეცხლის ალი ეკიდებაო. თაღით შეკრულ ცაზე იყო მოხატული მნათობი მარიხი. ცოტა მოშორებით იდგა მარმარილოს გრგვალი და განიერი ტაბლაკი[3]), რომელზედაც ჩვეულებრივ იდვა დიდი სქელი საგულთმისნო წიგნი ნებროთისა. ამ წიგნის ფურცლები ხის წმინდა და მეტათ თხელი ფირფიტებისაგან იყო შემდგარი. ეს შეიცავდა საგულთმისნო წიგნს, რომელშიაც ალმოიკითხავდენ ქურუმები სხვა-და-სხვა საწინასწარმეტყველო მცნებას ომიანობის შესახებ.

მეოთხე სართულში იმყოფებოდა შვიდ ხელია-

---

[1]) იხილე „ქართლის ცხოვრება“.

[2]) მარსი

[3]) სტოლი.

ნი ბრინჯაოს (თითბრის) კეკრპი—ბოჩი, რომელსაც თანასწორათ ჰქონდა წინ წამოწვდილი ხელები, თითქოს ითხოვსო, ყმაწვილები მომაწვდინეთ დასაწველათაო. სახეზე მოგძო წვერი ჰქონდა ვაცისებურათ ჩამოშვერილი. ფეხებ შუა ედგა ღუმელი (საცეცხლე) და ღუმელს გარშემო მუხლ მოდრეკილი და ხელაღპყროჰილი რამდენიმე ყრმათა სურათები იდგენ ვერცხლით გამოქანდაკებულნი, თითქოს წმინდა თეთრი ტანსაცმელი ცმოდესთ. ისინი ვითამც გამზადებულნი იყვენ დასაწველათ, როგორც შეწირულნი მსხვერპლნი ბოჩოსადმი გუმბათ გადართხმულ ცაზე გამოხატული იყო ამომავალი ვარსკვლავი, რომლის წარმომადგენელიც დედა-მიწაზე იყო ბოჩო-ღმერთი[1]).

მეხუთე სართულში იყო დადგმული ალაროდელების ხალდე-ღმერთის ანდრიატი შავი ბრინჯაოსი, ანუ თუთფრისა, რომელსაც ჰქონდა თვალები ბივრიტისა (ლაჟვარდის თვლისა). იგი იჯდა კლდეზე და ხელები მუხლზე ჰქონდა დაწყობილი, თითქოს განისვენებსო. თავზე უჯდა ჭოტის ანდრიატი, რომელიც ნიშნავდა ღვთის სიფხიზლეს ღამეში და მის მფარველობას გამოქვაბულებში მცხოვრებთა. მას

---

[1]) ასირიულათ ბელი, ანუ ბელტის — ღმერთი, ფინიკიურათ—მელკარტი.

ერქვა აგრეთვე ხალდეველთა ღმერთი სერობისი[1]), ესე იგი, ღამის მფარველი. შეკრულ გუმბათში კი იყო მისი ვარსკვლავი რ ვ ი ლ ი[2]), მუდამ ჩრდილოეთის მხარეზე მანათობელი.

მეექვსე სართულში იჯდა კლდეზე თეთრი მარმარილოს ანდრიატი შვენიერი დედა-კაცისა გრძელ ორ ნაწნავებ-ჩამოშვებული კლდეზე, თითქოს ჰსურსო ახალ-შობილი პაწია ყრმა ზევით აღიტაცოსო. ყმაწვილის მარმარილოს ანდრიატი იყო კლდის ძირში განართხული. მოშორებით მგელი იდგა გამოქანდაკებული კლდეზე, რომელსაც დაეღო პირი და თითქოს ჰსურდა ის ყმაწვილი მოეტაცნა. მეორე მხრით იდგა ანდრიატი გმირის კოპალესი[3]) რომელსაც მხარზე ვერცხლის გრძელი კაპარჭი (ისრის ბუდე) ჰქონდა გადაკიდებული და წინ ირემი უდგა, მარმარილოს სურათით შექმნილი გუმბათში იყო ალიონის (განთიადის) ვარსკვლავი გამოხატული. ქალს ანდრიატი მოასწავებდა დალსა[4]), ანუ

---

[1]) სერაპისი —Серапись.

[2]) Полярная звѣзда.

[3]) ბერძნების აპოლონი. იხილე ფშავური და ინგილოური ლეგენდები.

[4]) ბერძნების დიანა. იხილე სვანური ლეგენდა დალზე, აგრეთვე ფშაური ლეგენდა.

დინას (თინას), რომელიც იყო ნადირთ პატრონი ღმერთი და მონადირეთ შემწყნარებელი.

მეშვიდე სართულში ორ ოქროს სელზე ისხდენ ორი კერპი ოქროსი: ერთი კაცისა და მეორე ქალისა. კაცს ეჭირა ხელში ელვარე მახვილი და ქალს ვერცხლის რგვალი ფირფიტი წარმომადგენელი დედა-მიწისა პირველი კერპი იყო აურამაზდა ანუ არმაზი, მეორე კი ზადენი. ესენი ქართველების აზრით იყვენ შემოქმედნი ცისა და ქვეყნისა, ყველაზე უფრო დიდი ღმერთები. სართულის ლაჟვარდის გუმბათზე დახატულნი იყვენ მზე და მთვარე, რომელნიც ქართველებს მიაჩნდათ ნამდვილ დიდ ღმერთებათ, ცა და ქვეყნის გამჩენათ და დედა-მიწის განმანაყოფიერებელათ[1]).

გოდლის მეშვიდე სართულს ზემოთ იყო სწორი ბანი გაკეთებული, სხვა-და-სხვა ფერ მარმარილოთი იატაკ-მოგებული. მათი ნაპირები სხვა-და-სხვა ზომის რგოლებს წარმოადგენდენ, სადაც ქვები იმ გვარათვე იყვენ დალაგებული, როგორც სხვა-და-სხვა ფერის ბწკალები ჭადრაკის სათამაშოზე.

---

[1]) იხილე „ქართლის ცხოვრება".



ვარსკვლავთ-სამრიცხველო შვიდ-სართულიანი კოშკი.

ამ ბანის სიგანე იყო ექვსი ადლი და გარს რვალის (სპილენძის) მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული მოოქროული წვეტებითა. შიგ იდგა ორი ოქროს სელი. მოაჯირს შორის ოთხი მაღალი რვალის სვეტი აღიმართებოდა; ბანის შუაგულზე კი

რვალის მაღალი შუბი იყო დასმული ოქროს წვეტიანი. ამ ოთხ რვალის ბოძებზე ურთხვლის ძელები იყო ჯვარედინათ გადებული და იმათ ბოლოებზე დამაგრებული იყო წითელი აბრეშუმის ფარდა ოქრო-მკედის არშიითა. ეს ფარდული მზისა და წვიმისაგან იფარავდა ოქროს სელში მჯდომარეთა. ისრის წვერზე გაკეთებული იყო ოთხი ფროა ქარის მაჩვენებელი. თვით ისარზე მოწყობილი იყო ასაწევ-დასაწევი და მისაწევ-მოსაწევი მანქანა. ამ მანქანიდან ყოველ სართულში გადიოდა რვალის მართულები, რომელთ ბოლოზედათ ლერწმის კალმები იყო მიკეთებული და კალმების ბოლოზე რვალის ბუშტები, მელნით სავსე. ბანზე მდგომი კაცი მანქანითა და ამ მართულების შემწეობით ყოველ სართულში, როგორც უნდოდა, ისეთს ფიგურებს მოხაზავდა იატაკზე ეს გოდოლი იყო ვარსკვლავთ-სამრიცხველო კოშკი და აგრეთვე დიდებული ტაძარი საქართველოს ღმერთებისა.

მთელი დღეები და ღამეები იმა კვირისა გოდოლის ბანზე გაეტარებინათ მთავარს ქურუმსა და ფარნაოზის უფროს დას, რომელიც აგრეთვე დედა-ქურუმათ ირიცხებოდა იქა ეს ახალგაზდა ქალი ისეთივე დახელოვნებული იყო ვარსკვლავთ-მრიცხველობაში,

როგორც თვით მთავარი ქურუმი და ბევრს შემთხვევაში ამ მოხუცებულ ქურუმსაც გადაამეტებდა ხოლმე მახვილ-გონიერებით და გულთმისნობით.

პარასკევს საღამოს მთავარი ქურუმი და ფარნაოზის დაჲ ემზადებოდენ არმაზის ტაძარში ლოცვას, რადგან მეორე დღეს შაბათს, როგორც უკანასკნელ დღესა უქმესა, ემზადებოდენ მსხვერპლის შეწირვას. მზე დიდი ხნის ჩასული იყო დღე და ღამე იყრებოდა, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ფარდული ჩამოხსნა ქურუმმა. იგი შეუდგა ვარსკვლავების დაკვირვებას ცაზე. ფარნაოზის დაჲ კი იმაზე კიდევ უფრო ადრე ადეკნებდა თვალს სულ-განაბული მარიხის ვარსკვლავს. უცბათ მან წამოიძახა: ეს კარგი ნიშანია. ასე ბრწყინვალე მარიხი ჯერ არ მინახავს. იმან თითქოს სამხრეთისკენ უფრო გააგდო სხივი. აი, ეს შუა სხივი შუბის ტარსავით დაგრძელდა. სწორეთ ჩემ ძმას გაუმარჯვნია. შუქმა ზევით მოიგდო სხივის რკალიც. მიუცილებლათ ანტიოქოს მეფე მას მეფურ საჩუქარს უგზავნის.

— სწორეთ ეგრე უნდა იყოს — წარმოთქვა მხიარულებით მოხუცმა ქურუმმა. აბა, შევანძრევ მარიხის მართულს, ვნახოდ, რა მოხაზულობა დაეფინება მარიხის ტაძრის იატაკზე...

— კიდევ... ეგ არ კმარა, — გაუსწორა დედაქურუმმა. დახარე მართული ჩრდილოეთისკენ... კმა-

რა ვნახოთ, რა გამოვიდა? ახლა კი დროა, დავეკითხოთ ნებროდის წიგნის ფირფიტებს.

ქურუმი და ფარნაოზის და.

ამ სიტყვაზე ფარნაოზის და ადგა სელიდან. მთავარმა ქურუმმა გააღო მოაჯირის კარები და ჩაეშვა გოდლის გარემო შემოგრაგნილ კიბეს. მას უკან გაჰყვა ფარნაოზის და. ისინი ჩავიდენ მარიხის ტაძრამდის და შეაღეს კარი. ახლათ ამომავალმა მთვარის შუქმა სხივი შეაგდო ლანძვიდან ტაძარში და ააპრიალა მარიხის ოქროს მუზარადი. მთავარმა ქურუმმა დაჰკვესა, აანთო გოგირდის წუმწუმა, რომელმაც გამოიღო მკრთალი ცისფერი ალი და მოუკიდა მითი ხომლს, რკინის ლანგარზე დასხმულ შავ ნავთს, რომელსაც უცბათ მოედვა ცეცხლი და ძალზე გაანათა მარიხის ტაძარი. ფარნაოზის და მივიდა მარმარილოს ტაბლაკთან, გადაშალა ნებროთის წიგნი და ელოდა მთავარი ქურუმის გამოკვლევას, რომელიც ამ დროს დაცქეროდა იატაკზე მოხაზულობას.

— ფრიად ჩინებული გამოხატულება გამოსულა. თქვენ უნდა გადაშალოთ ნებროდის წიგნში მეფეთა გულ-უხვობის ამბავი — მოახსენა დედა-ქურუმს.

— ვაშა, ვაშა! — წამოიძახა ფარნაოზის დამ.

სამხრეთის ძლიერი მეფე უცხადებს ჩრდილოეთის გმირს კავშირს და უგზავნის მეფურ ძღვენს — ამოიკითხა წიგნიდან დედა-ქურუმმა.

— ფრიად ჩინებულია — დაისვა ქურუმმა გძელ ჭალარა წვერებზე ხელი.

— აწ მიბრძანდით, დიუფალო[1]), სასახლეში მოსასვენებლათ. — ფარნაოზის დამ მოუკიდა ხელ-საჭერ ოქროს ხომლს, რომ წინ გზა გაენათებინა ჩასასვლელ კიბეზე. მთავარი ქურუმი იქ დარჩა, მუხლი მოუყარა მარიხის კერპს და ჩაღრმავდა ლოცვაში. ფარნაოზის დას მოესმა შვენიერი გალობა დედა-ქურუმებისა, რომელნიც გოდლის ძირში კიბიდან გამოსასვლელ კარებთან უცდიდენ ფარნაოზის დას. ისინი იყვენ სეფე ქურუმები, რომელთაც გააკეთეს წრე, ამართეს ოქრო-ქსოვილი ფარდული. ჩაიყენეს შუაში ფარნაოზის დაჲ და სერობის გალობით წაუძღვენ განსასვენებელ სასახლეში.

შაბათ დილას სარანგმა[2]) ალაყაფის კარებზე ბრინჯაოს ურო დაჰკრა გრდემლზე. ამ დროს ფარნაოზის დას დილის ლოცვა გათავებული ჰქონდა

---

[1]) დიუფალს ეძახდენ ერისთავთ ერისთავის მეუღლეს და გაუთხოვარ მეფის ასულს. იხილე ზეწარწერა ხატებზე მღვიმის ნონასტრისა ყვირილის ხეობაში. ავტ.

[2]) ბოქაულთ-ყარაული.

კიდეც, იმან კარგათ იცოდა, რომ ურუს დაკვრა მოასწავებდა შიკრიკის მოსვლას სამთავროდან. ცოტა ხანს შემდეგ მართლაც სეფე დედა-ქურუმმა მოართვა სპილოს ძვლის ფირფიტი, რომელზედაც სოლისებურათ იყო წარწერილი. ფარნაოზის დედა უცხადებდა მხიარულს ამბავს, რომ ფარნაოზს დაეპყრო ანძაძორი, ჯარით უკან დაბრუნებულიყო და დღეს, თუ ხვალ კიდეც შემოვიდოდა სამთავროში დიდი ნაშოვრით მას მოჰყვებოდა ეგრისის მთავარი ქუჯი. ამ სახელის ამოკითხვაზე ფარნაოზის და შეკრთა, ლოყებზე წითელმა ფერმა გადაჰკრა. მან უბძანა ოქროს როლები[1]) შეებათ. ნახევარი საათიც არ გამოსულა, რომ ჭრელ არანელ კვიცებ-შებმული როლით მიჰქროდენ სამთავრო სასახლისკენ მთავარი ქურუმი და ფარნაოზის და; მათ მიდევდენ უკან ექვს როლებში ჩამსხდარნი, ორ-ორი ერთათ, სეფა-დედა-ქურუმები, რიცხვით თორმეტნი. ქვა-ფენილზე დაყრილი იყო ბზისა და დაფნის ტოტები. არა თუ ხალხი, არამედ ერთი მგზავრიც აღარავინ ჩნდა მიდამოს, რადგან შიკრიკს ბუკის დაკვრით უკვე განეცხადებინა ყველასთვის, რომ ფარნაოზის და, მთავარი დედა-ქურუმი, მობძანდებაო და მისი დანახვა საყოველთაოთ აკრძალული იყო.

---

[1]) ორთვალიანი ეტლი. იხილე დილარიანი.

ფარნაოზის დის როლი მიუახლოვდა თუ არა სამთავროს ალაყაფის კარებს, მაშინვე დაჰკრეს ნალარა. ალაყაფის კარებთან რომ სარანგები იდგენ, ისინი მაშინვე თავქვე დაემხვენ. ჭრელი არანის კვიცები ოფლში იყვენ გაწურული. ალაყაფის კარებიდან გამოცვინდენ სეფის ქალები, რომელთაც ხელში ეჭირათ ზოგს ოქროთი მოჭედილი გძელი ფარშავანგის მარაოები, ზოგს ოქროს ტაშტი და თუნგი ვარდის წყლით სავსე ბატონის ქალის ხელწასაბანათ და გასაგრილებლათ, ზოგს ოქრო-ქსოვილი ხაოიანი ტილო ხელ-პირის შესაწმენდათ; ოთხ სეფის ქალს მოჰქონდა ოქროს ტარებზე გაშლილი ფარჩის საჩრდილობელი. ფარნაოზის დაჲ გადმოხტა როლიდან, შედგა საჩრდილობელში; მას გარე-შემოეხვიენ სეფა-ქალები და წაუძღვენ მარაოების ქნევით სასახლეში.



ფარნაოზ მეფის სასახლე.

მაშინვე მეჯინიბეთ უხუცესმა გასცა ბძანება, ეს შვიდი როლი თავის ცხენებიანა დაებინავებინათ სამთავროს საჯინიბოში. დედა აღტაცებით მიეგება თავის ქალს სასახლის დერეფანში და გადაჰკოცნა კარგი წინასწარმეტყველობისათვის. იმან დაახვედრა თავის ქალს კიდევ უკეთესი ამბები: ფარნაოზს თავისი ჯარით ჩამოუწევია უფლის ციხემდის და მეორე დღეს ელოდენ. ამასთანავე უამბო, რომ ანტიოქოს მეფეს დესპანის ხელით მიურთმევია იაგუნდით შემკობილი სამეფო გვირგვინი და ერთი ოქროს სამეფო ტახტი. დესპანს თავისი ხელით უნდა დაედგა ფარნაოზისთვის გვირგვინი, ასე ჰქონდა ანტიოქოსისაგან დაბარებული. იგი თავისი ამალით უცდიდა ფარნაოზის მობძანებას.

რაკი ძლევა-მოსილ მეფეს ელოდენ თავისი ჯარით, სასახლეში და სასახლის გარემო წალკოტში დიდი მზადება იყო. არაგვის პირათ გამწკრივებული წისქვილები ყველანი სამეფო საფქვავისათვის გრიალებდენ. მოვიდა რემა-ჯოგი არანიდან საკლავათ. დიდ-დიდი სპილენძის ძრო-პტყელი ქვაბები სამზარეულო უბანში ჩამწკრივებულნი ჩუხჩუხებდენ. სანადიმოთ ლუდსა და ჭირნახულის ოტკას ხდიდენ. თითო ამისთანა ქვაბში ჩავიდოდა ოთხასი ქართული კოკა ოც-და-ოთხ თუნგიანი. ეს ქვაბები ისეთი მაღლები იყვენ, რომ ზედ კიბეებით ადიოდენ; სამზა-

რეულოში წმენდენ და ხეხდენ გძელ რკინის შამ-ფურებს, რომლებზედაც დიდ-დიდი ალვანიის მოდგმის ხარები მთლათ წამოეგებოდენ შესაწვავათ. მზარეულთ-მოძღვარი სასწორს აწმენდინებდა და ამართვინებდა, რომელზედაც უნდა აწონილიყო თითოეული ჯარის კაცების ულუფა[1]) ხორცი და პური. „ეზოს მოძღვარი განაგებდა ყველა სამოხელო სახლებსა, მეფის ხარჯს და წარსაგებელს (საჩუქრებს), აძლევდა წესსა და რიგს დარბაზისას, მეფის ტაბლისას (სუფრისას) და სანოვაგისას (მასპინძლობისას)". იმან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დიდ სამეფო წალკოტს, რომელიც სასახლიდან ორ უტევანზე[2]) იყო მოშორებული.

ამ წალკოტს სიგრძე-სიგანით ჰქონდა ოც-ოცდა-ათი უტევანი. ჩვენი ახლანდელი ანგარიშით ეს წალკოტი თითქმის სამი ვერსი ოთხ-კუთხათ გამოვიდოდა. ამ წალკოტს გარშემო ჰქონდა ოთხი ადლი სიმაღლე ქვითკირის გალავანი შემოვლებული და მის ზემოთ რკინის მესერა ყვითელი წვეტებიანი. წალკოტს შიგნით იყო შვიდი აუზი ქვითკირისა. შიგ შედიოდა ერთი ტოტი მტკვრისა კასპიდან გამოყვანილი. არხს ჰქონდა ექვსი ადლი განი და ორი

---

[1]) წილი.

[2]) უტევანი ოც-და-ხუთი საჟენია.

ადლი სიღრმე. სადაც რომ შედიოდა, იქ დიდი რკინის ბორბალი ჰქონდა მოწყობილი, რომელიც ტრიალებდა და სხვა-და-სხვა წალკოტის რუებში გადაჰყავდა წყლის ნაკადულები. იყო შვიდი წალკოტის მთავარი რუ ჩაკირული თიხის მილებით გაყვანილი მიწას ქვეშ. წყლის გადასაშვებ ჩარხს ზემოთ იყო შვენიერი თაღი გადაყვანილი და ზედ ოქროს თალარი[1]) მოწყობილი საგრილობლათ. ამას გარდა ბორბალს უკან უზარ-მაზარი რკინის ცხრილი იყო წყალში ჩაშვებული, რომ არხიდან წამოღებული ხეები და ჯირკები ზედ მოდებოდენ და ჩარხის ბორბალი არ გაეტეხათ. ამ ცხრილს ის დანიშნულება ჰქონდა, რომ წყლის დენა უმთავრესს არხში ცოტა შეეჩერებინა, რომ დაწმენდილი წყალი გასულიყო აუზებში. აქ იყვენ მერუეები დაყენებული და იმათ მოვალეობათ ჰქონდათ ნაკისრი არხის გაწმენდა და წალკოტის ჩარხის ყურის გდება. თითოეულ წალკოტის აუზზე გადადგმული იყო სამეუფო თალარი, რომლის ქვემოთ ზოგში ფრთოვანი უზარმაზარი ბრინჯაოს ხარი იდგა და ნესტოებიდან ისვრიდა მაღლა წყლის ნაკადულებს; მის გვერდით ზღაპრული ცხოველების და დევების ანდრიატები იყვენ ჩადგმული, რომელნიც ერთმანეთს ესროდენ შადრე-

[1]) თალარი—ფანჩატური.

ვანათ გადმომჩქეფარე წყალს ზოგში უზარმაზარი ლომის ანდრიატი იყო ჩადგმული და პირიდან გადმოჩქეფდა წყალი, ზოგში ცხრა-თავიანი დევის ანდრიატი იყო ჩადგმული და თითო თავი ხუთ-ექვს ნაკადულებს ისვრიდა პირიდან. ისინი შხეფისაგან მრავალ ნაირს, ერთმანეთში გადახლართულს წყლის რკალებს აკეთებდენ და როცა მზე გადიხრებოდა დასავლით, ამ ნაკადულებში გატარებული მზის შუქი ათას ნაირს ცისარტყელას წარმოადგენდა თვით აუზებში იყო შვენიერი ფერის წყლის ფრინველები: სპარსეთიდან, ინდოეთიდან, შავ-ზღვიდან და ეგვიპტიდან მოყვანილები. ყოველი აუზის იატაკი მრავალ ფერი ქვით იყო მოგებული და იმათზე მოზაიკურათ გამოყვანილი იყო სურათები ჭინკებისა, ალებისა, წყლის ქალებისა და ქაჯებისა. იმათ შორის იყო სურათი ანცა-ღმერთისა, რომელსაც ტანი თევზის ჰქონდა და თავი ქალისა. ვინც კი თალარებიდან გადიხედავდა ამ აუზებში, როცა შიგ მრავალნაირი თევზები და წყლის ფრინველები დაცურავდენ, როცა ისინი ოდნათ ააღელვებდენ აუზს, მაშინ აუზის იატაკზე გამოყვანილი წყლის ფერიების სურათები, თითქოს გაცოცხლდებოდენ, შეინძრეოდენ და თრთოდენ[1]).

---

[1]) იხილე „ყარამანიანში" ბაღის აღწერა.



მეფის დარბაზი, შიგნით.

ეზოთ მოძღვარს ბძანება გაეცა წალკოტის ზე-
ადამხედველისათვის, რომ ყველა აუზების ძირები მო-

ეკრიალებინათ. რომ სურათები კარგათ გამოჩენილიყვენ, აგრეთვე გაეწმინდათ შადრევანის მილები და თუ სადმე იქნებოდა რამე წამხდარი, ყოველივე გაესწორებინათ; ამასთანავე მთელს აუზში ყოველი უბანი წალკოტისა დილიდანვე ირწყვებოდა, რომ ახალი მრავალფეროვანი და მრავალსუნნელოვანი ყვავილები გაფეთქილ იყვენ. წალკოტს ეხვია მრავალი მუშები და მოხელენი. იქ დიდი მზადება და მოძრაობა იყო.

მთელი მცხეთის ქალაქი ემზადებოდა ბატონის ფარნაოზის დასახვედრათ. კოდმანის უბნის ტრიალ მინდორზე მუშაობდა ხუთასი კაცი; ისინი აკეთებდენ სეფას სამოცი ათასი ჯარის კაცის დასატევათ და იმათ სამასპინძლოთ.

თვით სამთავრო სასახლეში დიდი მოძრაობა იყო. ბევრი არ იყო იმ დროს არც სპარსეთში და არც ასურეთში ამ სასახლეზე უკეთესი. იგი წარმოადგენდა უზარმაზარ ორ სართულიან შენობას, რომელსაც წინადერეფანი სამოცი დიდრონი მარმარილოს სვეტით ქონდა მორთული. დერეფნის სართულის არშიაზე იყო მხატვრობა და ქანდაკი მრავალ ნაირ ბრძოლისა საქართველოს ექვსი გმირებისა. აქ თქვენ შეხვდებოდით ნებროდის ბრძოლას ჰაოსთან, ქართლოსთან, ლეკოსთან, კავკასოსთან და სხვ. აგრეთვე იყო სხვა-და-სხვა ბრძოლის სურათი ხაზარებ-

თან და ალექსანდრე მაკედონელთან. ერთგან გამოყვანილი იყო ქალაქი ბარდა, ანუ რუსთავი, რომელსაც შემდეგ უწოდეს ხაზარებმა ბოსტან-ქალაქი ქალაქს გარშემო ადგას საბერძნეთის ჯარი, ბერძნული ფალანგა, ციხის გალავნის გასატეხ მანქანებით: ერთგან ალექსანდრე მაკედონელი იჯდა თავის სახელ-ჯანთქმულ ცხენზე, ბუცეფალზე; ის გადახრილი იყო, გული წასვლოდა და ცხენიდან ვარდებოდა. მას მოხვედროდა ქალაქიდან ნატყორცი ქვა მეშურდულისა[1]). დერეფნიდან პირდაპირ სამეფო დარბაზში იყო შესასვლელი თაღი. ამ დარბაზს ჰქონდა სიგრძე ერთი უტევანი და სიგანე ორი მესამედი უტევანისა. კედლებს გარშემო ჩაუყვებოდა ოთხ-კუთხივ მთელის დარბაზის სიგძე-სიგანეზე ტახტები ძვირფასი ხალებით და ოქრო-ქსოვილებით დაფენილი. ერთ კუთხეში სამს მარმარილოს დაკიბულს საფეხურზე იდგა ამაღლებული ოქროს მაღალ ზურგიანი სელი; ზედ ძოწეულის[2]) მუთაქა ეგდო ოქრო-ქსოვილი ფოჩებით. აქ მთავრის საჯდომი იყო. ამ დარბაზში დიდებულნი, ერისთავნი, მხედართ-მთავრები, მოგვნი[3]), ქურუმნი[4]) და მეფის ამალა დას-

---

[1]) იხილე კვინტეკურციის ისტორია.

[2]) ალისფერი, წითელი.

[3]) კერპთაყვანის-მცემლების მღვდელ-მთავარნი.

[4]) კერპების მსახურნი და ვარსკვლავთ-მრიცხველნი.

ხლებოდენ სანადიმოთ (სალხინოთ), როცა მათ მეფე მოიწვევდა. დარბაზს მარჯვნით და მარცხნით მიშენებული ჰქონდა სახლები, მრავალ ოთახებათ დაყოფილები, საცა ცხოვრებდენ მეფის სახლეულებანი და სეფე-ქალები. დერეფნის თავსა და ბოლოში უზარმაზარი ბრინჯაოს ხარები იდგენ, ისეთები, როგორც არგონავტიკაში არის კოლხიდის მეფის აეტესის ხარები აწერილი.

დარბაზს ზემოთ მხოლოთ დარბაზის სიგძე-სიგანეზე აღიმართებოდა მეორე სართული. მარმარილოს სვეტები ამ ზედა სართულს გარშემობწკაროდენ და თვით სართული გოდლის მგზავსათ იყო ნაგები, შვიდ მცირე ოთახათ გაყოფილი. ამ სართულში ცხოვრებდენ მეფის ასულნი თავის სეფე-ქალებიანა[1]).

რადგან იმ დროს არანელი ქართველები და მთელი საქართველოც დიდ პოლიტიკურ და აღებმიცემობითი დამოკიდებულებაში იყვენ მიდიელებთან და ხალდეველებთან, ამისთვის საქართველოს ხუროთ-მოხელეობა და ჩუქურთმა-ქანდაკის ხელობა სულ იმათებური იყო. მომეტებული ნაწილი კერპებისაც იმათგან იყო გადმოტანილი.

---

[1]) იხილე აღწერა ქალდეველთ და ასურელთა სასახლეებისა ლეიარდის არხეოლოგიურს წერილებში.

მეფის წალკოტის აღმოსავლეთისაკენ, იმ კუთ-ხეში, საცა მტკვარი და არაგვი შეერთდებოდენ, იყო შვენიერი ღმერთების ტაძრები და მოგვთა სამყოფელი აგებული. აქაც დიდი ამბავი იყო: ქურუმნი გულთმისნობდენ, მოგვნი ეევედრებოდენ ღმერთებს და მსხვერპლებს უმზადებდენ. უმთავრესი მოგვის სასახლის გვერდით იყო ერთი შვენიერი მარმარილოთ ნაგები ოთახი, სადაც განისვენებდა სახელგანთქმული და ხანში შესული ქადაგი, რომელიც უნდა შეწირულ იყო მსხვერპლათ მარიხისა გამარჯვების გულისთვის. თვით ქადაგს სრულებით არ ეშინოდა ამისი. წინააღმდეგ ამისა ის ნეტარებით მოელოდა იმ წამს, როცა მთავარი მოგვი ესროდა მას მარიხის ლახვარს და გაუპობდა გულმკერდსა. იმას ჰგეროდა, რომ იგი დაჯდებოდა საიქიოს ნათელმოსილი მარიხის ტახტზე. იქვე იყო მეორე ოთახი, სადაც პირმშო შვილები დიდებულთა, რიცხვით შვიდი, გამოყვანილ იყვენ, ბოჩო-ღმერთის შესაწირავათ. ერთი მათგანი თვით ფარნაოზის ნათესავი იყო. ისინი დიდებულათ ჰყავდათ შენახული; იმათ იცოდენ კიდეც, რომ ბოჩოს მკლავებზე უნდა დამწვარიყვენ, მაგრამ ამისი სრულებითაც არ ეშინოდათ, რადგან მათი გონება სულ ზეცისკენ იყო მიმართული და შეჰხაროდენ იმ წამს, როდესაც ისინი ზეცის ანგელოზებათ გადიქცეოდენ და დაიწყებდენ

ნათლით მოსილნი ჰაერში ფრენას და გალობას. იმათ ჰქონდათ ჩაგონებული, რომ გახურებულ ბოჩოს მკლავებზე ტკივილის მაგიერათ იგრძნობდენ მხოლოთ სამოთხის ნეტარებას[1]).

მთავარი მოგვი სამი დღის განმავლობაში მიცემოდა ლოცვას და მარხულობას, რომ ზეგარდამოწინასწარმეტყველობის ნიჭი მომადლებოდა და გამოეცნო ნამდვილი მომავალი, როდესაც ქადაგის გულ-ღვიძლს დააკვირდებოდა. მოგვთა ეზოში აღიმართებოდა შვიდ-ხელიანი ბოჩოს ანდრიატი, რომელიც სიმაღლით ცხრა ადლი იყო. იმას ედგა ფეხები ქვითკირით ნაშენ უზარმაზარ ღუმელზე. ამ ღუმელს ჰქონდა სიმაღლე ექვსი ადლი და ძირს ოცდა-ოთხი ადლი გარშემო. იგი ზევით თანდათან ვიწროვდებოდა. ღუმელის ტანში იყო ცეცხლის დასანთები გვამი მოწყობილი და შიგ ორი საჟენი შეშა ჩაეტეოდა. მას ქვეშიდან შეუკიდებდენ ცეცხლს და ალი ღუმელის ზედა-ნახვრეტში ამოხეთქდა და თვით ბოჩოს ანდრიატს შემოედებოდა. ამისგან ბოჩოს კერპი ისე გახურდებოდა, რომ ნაკვერცხალს დაემზგავსებოდა ექვსი ადლის სიშორეზე. მარჯვ-

---

[1]) იხილე ისტორიული რომანი „სალამბო“ ფლობერისა, მელკარტისა და ანაიტის მღვდელთ მსახურება. ლენორმანისა.

ნით და მარცხნ-თ აიმართებოდენ ქვითკირით ნაგე-ბი კიბეები იმ სიმაღლეზე, რომ დაუპირდაპირდებო-ღენ ბოჩოს გაძოწვდილ ხელებს. მსხვერპლის შე-წირვის დროს, როცა ბოჩოს კერპი სიმხურვალისა-გან გაწითლდებოდა, ქურუმები ავიდოდენ კიბეებ-ზე, აიყვანდენ შეწირულ ყმებს და იქიდან გადი-სვრიდენ ბოჩოს მკლავებზე. ყმებს მეტის სიმხურვა-ლისაგან უცბათ ამოხდებოდათ სული და მკლავებიდან მაშინვე ჩავარდებოდენ ღუმელის ცეცხლში.

გათენდა ხუთშაბათი დილა. კიდევ მოვიდა ფარ-ნაოზის შიკრიკი, რომ ფარნაოზი და მისი ჯარი სა-დილობამდის ქალაქში არ შემოვლიანო. მცხეთიდან დაეწყვენ გუნდებათ შემდეგნი წოდებანი: მთავარი მოგვი თავის სამღვდელოებით, ქურუმთა კრება, სა-სახლის მოხელენი: სახლთუხუცესი, მსახურთუხუცე-სი, მანდატურთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ეზოს მოძღვარი და მზარეულთუხუცესი თავთავისი დრო-შებით მათ მიდევდენ გუნდნი მოხელეთა, მცხეთის დიდებული წოდება, მოქალაქენი და მონანი თავ-თავის სამუსიკო საკრავებით. მთავარს მოგვს ეცვა გძელი თეთრი სარდონის ტილოს კაბა. რომელიც მზადდებოდა კოლხიდის ქარხნებში. წელზე ერტყა ბრტყელი ოქრო-მკედით ნაკერი სარტყელი ძვირფა-

სი იაგუნდებით, ფირუზებით, მარგალიტებით და საფირის ქვებით შემკული. ამ სარტყლის ბოლოები წინ ჰქონდა ძირს კოჭებამდის დაშვებული; თავზე შემოკრული ჰქონდა ორი ხელის დადება სიგანე ოქრო-მკედით ნაკერი ფარჩა, რომელზედაც იყო გამოყვანილი სურათი ანცალმერთისა, მარგალიტებით და ძვირფასი თვლებით შემკობილი. ეს თავსაკრავი ოქროს ზონრით შემოხვეული, თავს უკან ჰქონდა დამაგრებული. კაბაზე ნაბადსავით მოსხმული ჰქონდა ოქროს ქერქლებიანი მანტია ამ მოსასხმელზე ქერქლები ისე იყო დაწყობილი, როგორც თევზის ტანზე, ქვევით მოსასხმელს ჰქონდა თევზის კუდი, ისიც ოქროსი. შორიდან რომ შეეხედა კაცს, ასე იფიქრებდი: მოგვს ოქროს თევზის ტყავი ასხიაო. იმას წინ მიუძღოდენ საღვთო დროშები, რომელთ შორით განირჩეოდა განსაკუთრებით კოპალე გმირის დროშა თავის ჟღარუნებით. ამ დროშაზე იყო დაკიდებული ათას

მაგვი.

ნაირი პაწია ოქროსა და ბრინჯაოსაგან დაკეთებული სურათები გარეულ ირმებისა, თხებისა, ქურციკებისა და დათვებისა[1]); ისინი ერთმანეთს ხვდებოდენ და ჟღარუნობდენ. დროშების წინ მიდიოდენ მოსაკრავენი გრძელი ბრინჯაოს ნალარებითა, წინწილებითა, დოლებითა და ჩხარუნებითა[2]).

გავიდა თუ არა კოდმანის უბანს იქით მცხეთის დიდებულება და ერი, შორს დიდი სიმღერითა და ნალარის კვრით, დაინახეს მომავალი ფარნაოზი თავის ჯარით. მდიდრულათ გაწყობილ ცხენებზე ისხდენ ფარნაოზი, ერისთავი ქუჯი და სხვანი მოსოხტაოხების (თუშების) დიდებულნი. ყველაზე წინ მოდიოდა ბოქალთ უხუცესი თავისი სარანგვითა და ტაოხის (თუშის) რაზმითა ისინი ისხდენ შვენიერ ცხენებზე, რგვალი ფარები, ხარის ტყავ-შემოკრულები და ვერცხლის წვრილი ლურსმებით ზედ დაკრულები, ზურგზე ეკიდათ კაპარჭს[3]) ზემოთ. ცალხელში გრძელი შუბები ეჭირათ, წელზე ორ-პირი დაშნები (დიდი პრტყელი ხანჯლები) ჰქონდათ შემორტყმული. ტანზე ეცვათ წითელი მოკლე კაბები

[1]) იხილე ბაიერნის არხეოლოგიური ნაშთები, აღმოჩენილი სიონის (დარიალის ხეობაში) სასაფლაოებში.

[2]) იხილე ფშავ-ხევსურების დროშები ლაშარის წმინდა გიორგისა.

[3]) ისრების ბუდე.

და თავს ეხურათ რკინის ჩაბალახები[4]), პირი მოპარსული ჰქონდათ. ეს ტაოხთა რაზმი ფარნაოზის საკუთარი ჯარი იყო და მუდამ თან ჰყავდა სასახლის მახლობლათ დაბანაკებული; მეტათ მხნენი და თავგანწირულნი იყვენ მეფისათვის. მათ წინ მოუძღოდათ მესაკრავენი. ამათ უკან შორი-ახლოს მობძანდებოდა ფარნაოზი. მარჯვნით უდგა ეგრისის ერისთავი ქუჯი და მარცხნით მთელი ჯარის მხედართ მთავარი. სამნივე იყვენ გამოწყობილნი ბერძნული არხისტრატილის ტანისამოსში ეს ტანსაცმელი საბძედრო ჯარისა შემოიღეს საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლის დროს. მათ მოდევდა უკან მთელი ჯარი, რაზმებათ დაწყობილი. პირველათ მოდიოდა მოსოხების რაზმი. ამათ ეხურათ ბრინჯაოს მუზარადები, ტანზე ეცვათ მოკლე შალის კურტაკები, მოკლევე ყურთ-მაჯებიანი; ისინი იყვენ ძალიან მოსული ვაჟკაცები, დიდ წვერ-ულვაშებიანი. ეცვათ პაჭიჭები და მუხლის თავები კი ტიტვლები ჰქონდათ ისინი ძალიან მარჯვეთ ხმაროობდენ გრძელ შუბებს და ორ-პირ თითბრის ნაჯახებს.

მათ უკან იყო რაზმი ალვან-არანელებისა და შიდა ქართლისა, ფეხმალ ცხენებზე მსხდომარენი.

---

[4]) იხილე პომპეოსის ლაშქრობა ივერიელებთან, არრიენის მიერ შედგენილი.

თითოეულს ჰქონდა შურდული და ზურგზე გადაკიდებული პარკი გასასროლ კენჭებით სავსე. ჰქონდათ გრძელი ხანჯლები და ოროლები (მოკლე სასროლი შუბები) თავზედ ეხურათ ბანჯვლიანი ტყავის ქუდები, ტანზე ნაბადსავით ესხათ სხვა-და-სხვა ნადირის ტყავები: ზოგს დათვისა, ზოგს ვეფხისა, ზოგს მგლისა, ზოგს აფთრისა და ზოგს მელისა. ხელში ეჭირათ გრძელი და განიერი ფარები კაცის გულის მზგავსათ გამოჭრილები

შემდეგ მოდიოდა მეგრთა რაზმი რგვალი წნული ფარებით. თავზე მომეტებულ მათგანს ეხურა ხის მუზარადი, ტანს ეცვათ სარდონის ტილოს პერანგები და ზევიდან ესხათ მოკლე ნმბდები[1]). რკინის შვილდები ცხენის იარაღების გვერდზე ჰქონდათ დაკრული, ზურგზე ეკიდათ კაპარჭები მოწამლული ისრებით გატენილი.

ამათ უკან ერთი დღის სავალზე ჩამორჩენილიყო ქვეითი ჯარი სხვა-და-სხვა თემისა. მომეტებულ ნაწილათ მათ ჰქონდათ გრძელი ხანჯლები და დიდი ფარები. ფეხზე ეცვათ ტყავის ხამლები (ქალამნები) თომით[2]) დატენილი. ზოგი იყო, როგორც მაგალითათ შიდა ქართლის ქვეითი ჯარები, რკინის

---

[1]) იხილე სტრაბონის აწერილობა.

[2]) თომი ბალახია ქალამნებში ჩასატენი.

წვრილთვალა პერანგებით მოსილი და რკინის ჩაბალახებიანი, ზოგს ეცვათ მოკლე კურტაკები, როგორც აჭარელებს დღეს აცვიათ.

მიუახლოვდა თუ არა მეფე უმაღლესს მოგვთა ბრბოს და მცხეთის დიდებულთა კრებას, მაშინვე ააყვირეს ნაღარები, საღვთო დროშები ააჟღარუნეს და შეიქნა დიდი ხმა სამხიარულო ზარისა და სიმღერისა. ფარნაოზი ცხენიდან გადმოხტა. მას მიეგებენ მოგვნი და ამთხვიეს საღვთო დროშებსა. შემდეგ შემოვიდენ ქალაქის ალაყაფის კარებში. ფარნაოზი თავის დედა-ქალაქის კარებს ემთხვია. ახლა წინ მოექცენ მოგვნი და ქუერუმნი დროშებით; მათ შემდეგ უმაღლესნი ხელის-უფალნი მოდიოდენ, შემდეგ ფარნაოზი და მისი მხედართ-მთავრები, მათ უკან ცხენოსანი ჯარი.

ფარნაოზი თავისი ამალიანა და ცხენოსან ჯარიანა გაემართა ბოჩოს ტაძრისაკენ მოგვთა უბანში, სადაც ბოჩო უკვე გავარვალებულიყო ანთებულ ღუმელის ალით. ცეცხლის სახმილი მძვინვარებდა და ღუმელის მოვიწროებულ ხვრელიდან ამოდიოდა გიზგიზით ცეცხლის ალი, წელქვეით შემორტყმოდა თვით ბოჩო ღმერთის კერპს. იგი ითხოვდა ყრმათა მსხვერპლსა.

ბოჩო ღმერთს გარშემოადგენ დიდებულნი მუ-ხლმოყრით. თვით ფარნაოზს თავი დაეხარა მოწიწებით. კიბეზე იდგენ ქურუმნი და ისროდენ შეწირულ ყმაწვილებს გავარვალებულ ბოჩოს მკლავებზე...

აქედან ფარნაოზმა მიჰმართა ბოჩოს ტაძარს, რომლის მარმარილოს სვეტებს შუა იჯდა სამფეხა ოქროს სკამზე თეთრით მოსილი ქადაგი. მისი დამ შვიდებული და თვალებ-დახუჭული ფერ-მკრთალი სახე სრული სათნოების გამომეტყველი იყო. მას შეეხო ფარნაოზი ხელით და მარჯვენა ფეხით, შემდეგ მივიდენ ყველა წარჩინებული კაცები და იმგვარათვე მოიქცენ.

— მშვიდობა შენდა დიდებულო მთავარო... მეფე არან-ქართველთაო. — გალობის ხმით წამოიძახა ქადაგმა — შენდამი იშვებენ ქართლოსიანნი. შენ გშვენის მხიარულება, ქორწილი და ნადიმი.. მაგრამ, ვაი, ბნელო უფსკრულო, მალე მოგცილდება ალმზრდელი და შთახვალ ბნელით-მოსილ ლორულსა[1])...

ამ დროს მოხვდა მას მკერდში მთავარი მოგვის გამონატყორცი ლახვარი. ქადაგი გადავარდა ოქროს სკამიდან და დაეცა ტაძრის იატაკზე[2]). მივარდენ

---

[1]) რგვლათ მოწნული საჭირისუფლო ადგილი.

[2]) იხილე თემურაზის ისტორია საქართველოსი.

მოგვნი, გაუპეს მკერდი, ამოაცალეს გულღვიძლი და დარწმუნდენ მისი უნაკლულობით საქართველოს ბედნიერ მომავალზე.

ამას შემდეგ ფარნაოზი თავის ამალით წამოვიდა სასახლეში დედისა და დის სანახავათ. ჯარი წავიდა კოდმანის მინდვრის სეფაში ნადიმის გასამართავათ. ეგრისის ერისთავი ქუჯი, მხედართ მთავრები, ხელის-უფალნი და დიდებულნი შევიდენ დიდ დარბაზში და ჩამოსხდენ ტახტებზე რიგისა და წესისაებრ. ამ დროს გამოვიდა ფარნაოზი საქალებო ოთახიდან და დაჯდა ამაღლებულ ოქროს სელზე. მოვიდა ანტიოქოს მეფის დესპანი თავისი ამალით და მოართვა ოქროს ლანგარზე ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს გვირგვინი, მეფის ღირსების დასამტკიცებლათ მორთმეული. დესპანმა თვითონ დაადგა თავზე ფარნაოზს გვირგვინი. დიდებულთა შეჰქმნეს ხმა-მღალი მხიარულება და თავს გადააყარეს თვალ-მარგალიტი. იხმეს მგოსნები (მომღერალნი), მსახიობები (აკტიორები და აკტრისები), მასხარები (მასკები) და საკრავების დამკვრელნი. აქ მოგროვდა ყოველნაირი საკრავი: ნაღარა, ქნარი, დოლი, სტვირი, სასწრაფო, სალამური, ჩანგი, ჩონგური, ბარბითი, დაფი, ჟღარუნა, წინწილა და სხვა მრავალი.

გამართეს ნადიმი. სუფრაზე დაალაგეს სამეფო

სახმარებელი ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ძვირფასი თვლებით შემკობილი. ბევრი სურები და აზარფეშები იყო ოქროჲს და ვერცხლის ქანდაკითა, რომელთაც შიგნით სარჩულსავით ჰქონდა გამოფენილები სხვა-და-სხვა ფერის შუშა. თვით სურებზე იყო მოჭრილი სხვა-და-სხვა ნადირობები გმირის კვირიკესი და კოპალესი[1]. დასხდენ ნადიმათ და ამ საზოგადო ლხინს ატკბობდენ მგალობელნი, მომღერლები, მემუზიკეები და მოთამაშენი გაგრძელდა ნადიმი შუალამემდის... მეორე დღე ლხინი დანიშნული იყო სამთავრო წალკოტში.



[1]) ერთი ამნაირი ვერცხლის სურა, შუშაგამოფენილი, ნახა ბაიერნმა სამთავროს სასაფლავოში. ეს ნივთი ახლა პეტერბურგის ერმიტაჟშია.

III.

ფარნაოზი არაფერს საქმეს არ დაიწყებდა თავის დედის უკითხავათ. როდესაც მან დილმის გამოქვაბულში სიმდიდრე ნახა და განიზრახა ეგრისის მთავართან კავშირი აზოს წინააღმდეგ, პირველათ ამის შესახებ მან დედას ჰკითხა რჩევა. ბატონისრძალი წავიდა ღმერთების ტაძარში შვიდ-სართულიან კოშკზე და შეუდგა ლოცვა-მარხულობას. იმან გაატარა რამდენიმე ღამე ნანა-ღმერთის ანდრიატის წინაშე. ის დაემხობოდა ხოლმე პირქვე, ტიროდა ცხარი ცრემლით და თან შეჰკითხავდა, თუ რა ბოლო ექნებოდა ფარნაოზის განზრახვას. ბოლოს, მესამე ღამეს,

როცა ბატონისრძალი, ლოცვით და მარხულობით მოქანცული, გამოვიდა ანცას საყდრიდან და შევიდა იქვე აგებულ სასახლეში, რომელიც იყო მისი ქალის ადგილ-სამყოფელი, იმას მაშინვე მოუვიდა ძილი და დაწვა ტახტზე. მეორე ოთახში განისვენებდა შრომისაგან მისი ქალი, რომელიც ქურუმთან ერთათ ვარსკვლავთ-მრიცხველობდა, რომ ცაზე გამოეცნო აგრეთვე კეთილ-საიმედო ნიშნები. შუაღამისას ბატონისრძალმა იხმო ქალი, რომელიც მხიარული სახით შევიდა დედასთან და უთხრა:

— ჩემ ძმას ბედნიერება მოყლის. ეს ექვსი დღეა, რაც მარიხის ვარსკვლავი ერთხელაც არ შეფარებულა ღრუბლებში, მისი სხივი თანდათან მატულობდა ამ საღამოს მაინც საკვირველება მოხდა. იგი ამოვიდა ჩვეულებრივზე ადრე და როდესაც კოშკის წვერს გაუსწორდა, უეცრათ ორმა წითელმა შუქმა ამოჰყო ზედ თავი და ბრწყინვალე რქებათ გაუკეთდაო.

— შვილო, ფარნაოზის ბრწყინვალე ბედი სიზმრითაც გამოვიცანი. ნანა ღმერთი გამომეცხადა და მითხრა; „მე ძალიან კმაყოფილი ვარ შენიო შენმა მხურვალე ცრემლმა გული დამილბო და მე ვიშვილე ფარნაოზიო. აზოს დავამხობ ფარნაოზის ფეხთა ქვეშე და აღვამაღლებ მის რქას მტერსა ზედა იგი

იქნება ნიადაგ ჩემ ფრთებს ქვეშე შემოფარებული და მტრის ისარი მას ვერ ეწევაო“. შემდეგ მან მოჰკიდა ხელი ერთ ჭაბუკს, რომელიც ისე განსხივებული იყო, რომ თვალი ვერ გავუმართე, და დამიყენა წინ. ჭაბუკი არმაზ-ღმერთის მგზავსი იყო და განვიზრახე მის წინაშე მოწიწებით მუხლი მომეყარა. ნანა-ღმერთმა შემაჩერა და მითხრა: „არა, შენ არ გმართებს ამის თაყვანისცემა, არამედ ამას ჰმართებს შენ წინაშე მუხლის მოყრა. ის შვენიერი ჭაბუკი მართლაც დაეშვა ჩემ წინაშე და თაყვანი მცა“.

„ეს ჭაბუკი არის ჩემი არჩეული შენ შვილათ და ძმათ ფარნაოზისა“—მითხრა დიდებულმა ნანამ...

— მე მაშინვე გამოვიღვიძე, გულ-მხურვალეთ დავვარდი ტახტზე და მადლობა შევწირე ნანა-ღმერთს მისი უსაზღვრო მოწყალებისათვის. მივხვდი, ვინც უნდა იყოს იმისი ნაბოძები შვილი ის უნდა იყოს ქუჯი, შენი მომავალი საქმრო.

ამ სიტყვებზე მისი ქალი უცბათ დაეშვა ტახტზე, თავი დახარა და არა თქვა რა. დედამ შეატყო ქალს შეკრთომა, მოხვია ხელი და გულზე მიიკრა ამ სიტყვებით: ,,ჰოი, დიდებულო ანცა, არ ვლირსვარ შენ მოწყალებას. შენ ორი შვილი ერთათ გამიბედნიერე, შენ გადაგიწყვეტია ორისავე შვილის ერთათ გაბედნიერება, ორივესი ერთ დღეს დაგვირგვინეთ“. ამას შემდეგ მთელ საქართველოში გა-

ნითქვა საიდუმლოთ ხმა ბატონისრძლის ბედნიერი სიზმრისა. ამან ხალხი უფრო ააღელვა და შეაკავშირა აზოს წინააღმდეგ. მას უფრო მიეცა იმედი მტარვალის ხელისგან გათავისუფლებისა. ფარნაოზი და მისი მომხრენი ამ წინასწარმეტყველებამ კიდევ უფრო განამხნევა..

ამას შემდეგ ფარნაოზის დას ჩაუვარდა გულში ქუჯის სახელი. ის მუდამ მის ფიქრათ იყო გადაქცეული და ხშირათ ესიზრმებოდა ის განსხივებული ჭაბუკი, რომელიც დახატა დედა მისმა. როდესაც ფარნაოზის და კოშკზემოთ იყო და ვარსკვლავებს ადევნებდა თვალს მის აღფრთოვანებულს წარმოდგენას გამოეხატებოდა ხოლმე ცაზე სხივით შემოსილი ჭაბუკი, რომელიც ჯერ არ ენახა. ამ შვენიერ ქალწულს მაინც ღრმათ ჩარჩა გულში თავის საქრმოს სურათი. ამიერიდან, როცა ვინმე სასახლეში ქუჯის სახელს ახსენებდა, ფარნაოზის დაჲ მაშინვე აენთებოდა და სახეზე უმანკოების გამომხატველი სიწითლე გადაჰკრავდა.

ერთ თვეს არ გაუვლია მას აქეთ, რაც ფარნაოზი თავისი ნაპოვნი სიმდიდრით ჩუმათ გაიპარა ეგრისის ერისთავ ქუჯთან და მართლაც ბატონისრძალს შიკრიკი მოუვიდა შვილისგან, რომელიც

წერდა: ,,მე და ქუჯი შევთანახმდით და შევკავშირდითო. ჩვენი ერთობის დამამტკიცებელი საბუთი დამოყვრება შეიქნაო. ქუჯმა ითხოვა ჩემი უფროსი დაჲ და ჩვენ უკეთეს სიძეს ვერც ვიშოვნიდითო''. ბატონისრძალს დიდათ იამა ეს ამბავი, მით უფრო, რომ მისი სიზრმის წინასწარმეტყველობა თანდათან მართლდებოდა.

ახლა მხოლოთ ერთი ღა აკლდა იმის და იმისი ქალის ბედნიერებას. უნდა გამოეცნოთ, რომელ მთვარეზე, ან რა ვარსკვლავზეა დაბადებული მისი სასიძო. ბატონისრძალი ავიდა საშთავრო სასახლის მეორე სართულში, სადაც მისი ქალი ცხოვრებდა.

იქ ქალის სადგომს გვერდით ორი მოდიდო დარბაზი სულ ხელნაწერებით იყო გავსებული და ზოგი პაპირუსის ფურცლებზედაც იყო ნაწერი. აქ ქალმა მიაგნო და გადმოიღო ასურულ წესზე შედგენილი სამთავრო წიგნი. თვით ამ წიგნ-საცავის გასაღები მის ქალს ჰქონდა შენახული. დედა და შვილი გაერთვენ ამ წიგნის კითხვაში და გადმოიწერეს რამდენიმე ალაგი, მაგრამ ყველაზე უფრო ის ალაგები მოეწონათ, რომელნიც აცხადებდენ: ,,თიბათვესა, კირჩხიბსა თავსა ზედა, რომელი გავათა ზედა იშვას: კაცი კეკელაი სახითა და ბუნებითა, იხსნას მრავალი ჭირისაგან, იყოს მდიდარი, კაცი სრული, ესხ-

ნეს მტერნი მრავალნი და ვერაი ავნონ, ბარკალსა და წვივსა ნიშანი იყოს''[1].

მეორე: ,,მკათათვესა, ლომისა თავსა ზედა რომელი იშვას, კაცი ძლიერი, ღამე მავალი, სახით კეკელაი, ხელმწიფეთაგან მოთვალული, ხარბათ მჭამელი, მბოძებელი, ერისა უფალი, შვილ მრავალი, პირსა და თავსა ნიშანი იყოს''.

ფარნაოზის დედამ გადმოწერა ეს ორი დაკვირვება სპილოს ფირფიტზე და ასე მიწერა ფარნაოზს: „თანახმა ვარ ქუჯის სიძობაზე, თუ რომ იგი დაბადებულია: ან თიბათვის კირჩხიბის თავსა ზედა გავიოა, ან მკათათვეს ლომისა თავსა ზედაო". — შიკრიკს მისცა ეს წერილი და გაისტუმრა.

ფარნაოზსა და ქუჯს ძალიან გაეხარდათ დედის წერილი, რადგან აღმოჩნდა, რომ ქუჯი ივლისს ლომისა თავსა ზედა დაბადებული იყო და მიზეზი აღარა ჰქონდა რა ქორწილის დამაბრკოლებელი, თუ კი რომ ნანა-ღმერთი მათი შემწე იქნებოდა და ლაშქრობიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდენ; მა-

---

[1]) ეს ქვემო მოყვანილი ალაგები მართლაც გადმოწერილია ერთ ჩემ ძველ ტყავზე ნაწერ ეტრატიდან. პალეოგრაფიით. ეს ხელ-ნაწერი უნდა იყოს მეათე, ან მეთერთმეტე საუკუნისა და თვით უეჭველათ ძალიან ძველი დროის მეცნიერებიდან უნდა იყოს გამოკრეფილი. ეტრატი სვანეთიდან არის მოტანილი. ავტ.

გრამ აქაც დედის ნახული სიზმარი ძალიან ამხნევებდა მათ, რადგან ბეჯითათ დარწმუნებული იყვენ, რომ ნანა-ღმერთი მათ მფარველობდა

როცა ქუჯი და ფარნაოზი გამარჯვებული დაბრუნდენ, იმათ მაინც ქუჯის სამფლობელოზე უნდა გამოევლოთ; კლარჯეთიდან სამხედრო გზა იმ დროს ეგრისზე მოდიოდა.

ქუჯმა მოახდინა განკარგულება და თავის ქვეყნის დიდებულნი მახლობელნი და ნათესავნი მაყრებათ წამოიყვანა ფარნაოზის ჯართან ერთათ. ამას გარდა, როგორც ჩვეულება იყო, მან მრავალი თვალმარგალიტი და მამა-პაპეული ნივთები წამოუღო თავის სასიდედროს და საცოლოს; აგრეთვე წამოიღო სარდონის სელის ქსოვილები, ძოწეული ფარჩები, ოქრომკედით ნაქარგი სტავრა, ძვირფასი თვლებით გაწყობილი სარტყელი და მარგალიტით ნაკერი ქოშები თავის საცოლოსათვის; დანარჩენი ძვირფასი ხალათები კი ფარნაოზის კარის კაცებს და ხელისუფლებსა. ამ სიმდიდრით სულ ორმოცი ჯორი იყო დატვირთული. ბარგს უკან მოდევდა ცხენისა და ხარის ჯოგები მოყვრის საჩუქრათ. იმ დროს, როცა ვინმე შეერთავდა ცოლს, მზითევი ქმარს უნდა მიეტანა საცოლოსთვის და მზითვის აღრიცხვა ძროხებით იცოდენ. ძროხას, ანუ ხარს ერქვა იმ დროს ხვასტაგი. სხვასტაგი აგრეთვე მაშინდელი ოქროს

ფულის სახელი იყო, რომელიც უდრიდა ახლანდელ სამ მანეთს. ამისთანა ფულზე გამოხატულია ძროხის თავი და ფულსაც ამისთვის ხვასტაგი[1]) ერქვა...

იმ დღეს რომ მეჯლიშათ დასხდენ სამეუფო დარბაზში, დღე და ღამის გაყრამდის სუფრა არ აუღიათ ამ მეჯლიშში ქალები არ ისხდენ; მაგრამ იმათ ნება ჰქონდათ მღორე სართულის დერეფნიდან ეცქირათ იქ, სადაც ქალების სადგომი იყო, მის გვერდით რამდენიმე საფეხური ძირს ჩამოეშვებოდა და დარბაზის საჭვრეტში ჩამოვიდოდა ეს კიბე, ჭერის მახლობლათ. აქ გრძელი დერეფანი იყო მარმარილოს სვეტებზე აშენებული და შიგ იყო ტახტი გაკეთებული, მოფენილი ძვირფასი საფენებით. ამ დერეფანს წინ აფარებული ჰქონდა საჭვრეტი ფანჯრები

იმ დერეფანში ისხდენ ფარნაოზის დედა, მისი ქალი და სეფა ქალები. ისინი ყოველსავე ხედავდენ, რაც დარბაზში ხდებოდა, ესმოდათ საკრავების ხმა, მაგრამ თვითონ იმათ კი ვერავინ ხედავდა. ფარნაოზის დაჲ გულაფეთქებით უცქეროდა ქუჯს და მხიარულებდა მისი გმირული თვალტანადობით.

ბოლოს მორჩენ მეჯლისს. თითქმის შუაღამე

---

[1]) იმერეთში ძროხას ახლაც ხვადაგი ჰქვიან.

შეიქნა, ძილის დრო მოვიდა, პატივცემული სტუმრები დაემზადენ მოსასვენებლათ. გვერდით ერთი წყება სასტუმრო ოთახები იყო, სადაც მოასვენეს ქუჯის მახლობელი ნათესავები; სხვანი კი სასახლეს გარეშე სახლებში წაიყვანეს. ჩვეულება იყო, სასიძოსთვის თვით სარძლოს უნდა დაეგო ლოგინი და შემდეგ ფეხი დაებანა საქრმოსთვის![1]) მას თან გაჰყვენ სამი სეფა-ქალი, რომელთაც ეჭირათ: ერთს ოქროს ტაშტი და წყლით სავსე ჭურჭელი, მეორეს არდაგი (ფეხის საწმენდი) და მესამეს სუნნელოვანი ზეთის და მუშკის ჭურჭლები. ფარნაოზის დაჲ და მისი ხლებული ქალები რომ შევიდენ ქუჯის საწოლში, ქუჯმა მაშინვე მუხლი მოუყარა ფარნაოზის დას, როგორც მეფის ასულს და თაყვანი სცა, შემდეგ ჩამოჯდა ტახტზე.

მივიდენ სეფა-ქალები და დაბანეს ფეხები. ფეხის ბანა რომ გაათავეს და არდაგით შეამშრალეს, შემდეგ მუხლი მოიყარა ფარნაოზის დამ, გადაასხა ქუჯს ფეხებზე სუნნელოვანი ზეთი და მუშკი, გაუმშრალა არდაგით და წამოდგა. წამოდგა აგრეთვე ქუჯი, რომელიც აღტაცებული იყო მისი სიშვენიე-

---

[1]) ეს ჩვეულება დღემდის დარჩენილა სამეგრელოში და ზოგიერთ კავკასიის მთის ხალხში. ყოველს უცხო სტუმარს ფეხს დაბანს ოჯახის ასული

რით. ქალ-ვაჟმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ფარნაოზის დას ღიმილმა გადურბინა სახეზე, რადგან შენიშნა ვაჟს პირზე ხალი, რომელმაც სრულებით დაამშვიდა მისი აღელვებული გრძნობები. ქუჯი მოეხვია მოწიწებით და უთხრა: „შენ ცოლი და მე ქმარიო“, დაჯდა ტახტზე და მოისვა იგი გვერდით. ისინი ისხდენ ისე, რომ არც ერთს ხმა აღარ ამოუღიათ.

სეფე-ქალები მოშორებით დადგენ და კრძალვით უცქეროდენ მათ. ცოტა ხანს შემდეგ ადგა ფარნაოზის და; ქუჯმა კვლავ მუხლი მოუყარა გამოთხოვების ნიშნათ. ფარნაოზის დაჯ ავიდა მარმარილოს კიბეზე ზედა სართულში, სადაც უცდიდა დედა მისი შესვლისათანავე დედა მიეგება მხიარულათ და ჰკითხა, ხალი აქვს თუ არა სახეზეო. ფარნაოზის დამ ღიმილით თავი დაუქნია და დედამ სიხარულით ჩაიკრა თავისი ქალი გულში:

„მადლობა არმაზს, რომ ყოველივე ჩვენის სურვილისამებრ ახდაო“.

იმ ღამეს იყო საიდუმლო პირნახვა მეფესა და დედოფალს შორის, რომელზედაც არავინ არა იცოდა რა და არც არავის უნდა ცოდნოდა გარდა შინაურებისა. ასე იყო მაშინდელი ჩვეულება.

მეორე დღეს გავარდა ხმა ქუჯისა და ფარნაოზის დის ქორწილისა. მოუწოდეს მეფის საუკეთესო ტაოხის (თუშის) ჯარს, ქუჯის ცხენოსან ჯარს და მეფის წალკოტში გამართეს მხიარულება. ჯერ ტაოხის ჯარს უნდა მოეხდინა კენჭნაობა[1]) (ხმლით შებმა ერთმანეთთან); შემდეგ ცხენ-და-ცხენ ჯირითი, ბოლოს ნიშნის ჩამოგდება (ყაბახი). პირველი ნიშანი, რომელიც დადგეს შორს, მაღალ ალვის ხეზე, ჩამოაგდო ისრით ქუჯმა და გამოიწვია დიდი მხიარულება შემდეგ წამოვიდენ დარბაზში, სადაც იყო ორი ოქროს სელი დადგმული მარჯვენა სელზე დაჯდა ქუჯი, გრძელ ტახტებზე ჩამოსხდენ დიდებულნი ფარნაოზი იდგა სელს უკან. მარცხენა სელი იყო ცარიელი. ელოდენ დედოფალს. ამ დროს განის დარბაზის კარებში გამოჩნდა ფარნაოზის დედა, რომელსაც მოჰყავდა ქალი. მას ეცვა სარდონის სელის კაბა, მკლავებზე და მაჯებზე ჰქონდა ოქროს სამაჯურები და სამკლავეები თვლებით მორთული. თავზე ეხურა ტრედის ფერი თაკსაფარი, ოქრომკედით ნაკერი, რომელზედაც შემოკრული ჰქონდა ძვირფასი თავსაკრავი. თავსაკრავზე იყო ოქრომკედით და თვლებით შემკული ნანა-ლმერთის

---

[1]) იხილე არრიენის მოთხრობა პომპეოსის ლაშქრობისა,

სურათი; მსხვილი და გრძელი შავი კავები ყურთ უკან ჰქონდა გადაგდებული ეგვიპტურათ.

ზურგზე ჰქონდა წამოსხმული ძოწეული (წითელი) ფინიკური გრძელი მოსასხამი, რომელიც გულზე ოქროს საბნევით ჰქონდა შეკრული. წელზე ერტყა ძვირფასი თვლებით მორთული სარტყელი, რომლის ფოჩები წინ კოჭებამდის ჰქონდა დაშვებული. ძოწეულის მოსასხამის კალთები უკან სეფე-ქალს ხელში ჰქონდა მოკრეფილი და ისე მოჰყვებოდა,

შემოვიდა თუ არა დედოფალი, ქუჯი წამოდგა სელიდან. დაუკრეს საკრავები, დედოფალი დადგა მეფის გვერდით და ამ დროს იქ მყოფთა დიდებულთა ერთ ხმათ შეძახეს: „ბედნიერი ჰყოს". შემდეგ სასახლის მოსამსახურეებმა შემოიტანეს დიდი ტაბაკი, დაუდგეს მეფესა და დედოფალს წინ და ზედ დადგეს შვიდი ლანგარი თვალ-მარგალიტით და ოქრო-ვერცხლით სავსე თითოეულ ლანგარზე იყო პატარა ანდრიატი სხვა-და-სხვა ღმერთისა.

შემდეგ შემოვიდა უმთავრესი მოგვი. მას შემოჰყვენ ქურუმნი და მოგვნი, რომელთაც ააბოლეს სუნნელოვანი გუნდრუკი (ძველი საკმეველი) და მუშკი. იმათ დაიწყეს გალობა, რომლითაც ადიდებდენ არმაზს ფარნაოზის სახლის ბედნიერებისათვის. უმთავრესს მოგვს ეჭირა ორი ოქროს თასი ღვინით, რომელიც იყო მაჩვენებელი ცხოვრების სიტკბოები-

სა. ეს თასები უნდა დაეცალათ მეფე-დედოფალს და თუ ერთი წვეთიც არის გადარჩებოდა, ისიც მოგვს მეფე-დედოფლის ზურგს უკან უნდა გადეღვარა. ეს ამბავი რომ გათავდა, შემდეგ ყოველმა დიდებულმა მეფე-დედოფალს გადააგდო თავზე მრავალი თვალ-მარგალიტი, სათითოვოთ მიულოცეს მათ მეფე-დედოფლობა. დიდ ტაბაკზე ძვირფასეულება ზვინებათ დაგროვდა. ბოლოს, როცა გათავდა ყოველივე, მოიწვიეს ჯარი წალკოტში, სადაც ოქროს თალარი იყო გამართული. იქ მაღალ საკიბურზე იყო აგრეთვე ტახტი დადგმული, სადაც ქუჯი და ფარნაოზის და აღვიდენ დასაჯდომათ. მათ ქვეით, წალკოტში, იდგა ჯარი, მოსული საქორწინოთ. რაც რომ თვალ-მარგალიტი გადააყარეს თავზე მეფე-დედოფალს, სულ ყველა იქ, ოქროს თალარში მიზიდეს. მეფე და დედოფალი იღებდენ ამ სიმდიდრეს მუჭებით და უყრიდენ ქვემო მდგომარე ჯარს, სანამდის საუნჯე არ დაიცალა.

ჯარი მიეცა მხიარულებას. ყველანი აქებდენ მეფე-დედოფლის სიუხვეს და გულკეთილობას. შემდეგ წამოვიდენ დიდებით მეფე და დედოფალი ისევ დარბაზში და როცა კარებში შევიდენ, იმათ უნდა დაედგათ ფეხი ძირს დაგდებულ მახვილზე (ხანჯალზე) და ამ დროს მათ ზემოთ ხმლებით კამარა გაუკეთეს. ეს ნიშნავდა მახვილით განათვლას მათი შე-

ულლებისას. ისინი დასხდენ ოქროს სელებზე. ამას შემდეგ გაიმართა მეჯლისი, რომელიც გაგრძელდა ერთ კვირას. მთელი ჯარი, შინაური და გარეული, აღივსო საჩუქრებით.

მეშვიდე დღეს დანიშნული იყო ქალის წაყვანა. საზარელი წამი დადგა. ფარნაოზმა მისცა თავის დას დარიგება, როგორც ჩვეულება იყო ქალის გასტუმრების დროს. ფარნაოზის დამ მოართო ტირილი, მის ტირილს აყვენ სეფე-დედა-ქალები, განსაკუთრებით გულამომჯდარი ქვითინებდა დედა მისი, რომლის მდუღარე ცრემლებმა დიდებულნიც შეარყია და ფარნაოზს ხმა აუკანკალდა დარიგების მიცემის დროს[1]).

ფარნაოზის დას თითქოს არ უნდოდა ქმრის წაყოლა და ეკვროდა დედას, ხელით ჩაჰფრენოდა სამოსელში. ბოლოს ქუჯმა მოჰკიდა ხელი თავის ცოლს, თითქოს ძალას ხმაროობსო და გაიყვანა სამეფო დარბაზიდან. სეფე-ქალებმა უფრო მაღლა შეჰქნეს ტირილი გამოთხოვების ჟამსა. ქუჯი და მისი მეუღლე ჩასხდენ ოქროს როლში. მათ გაჰყვენ, ქუჯის ჯარსა და ხლებულებს გარდა, კიდევ დიდებული კაცები ფარნაოზისა მაყრებათ და მისი ერთ-

[1]) იხილე ასურეთის ჩვეულება — მასპეროსი. იმერეთში ზოგიერთ მთის კუთხეებში ეს ჩვეულება დღემდის არის დარჩენილი.

გული ჯარი ტოიხები (თუშები). გააყოლეს ბარგი ასი ჯორკიდებული, ორმოც-და-ათი მოახლე და ორმოც-და-ათი მონა ხელზე მოსამსახურე.

IV

ოდესაც ფარნაოზმა დააყენა ერისთვები სხვა-და-სხვა მხარეს და ყველას სამხედრო და სა-მოქალაქო წესი მისცა, შემდეგ იწყო თა-ვის ქვეყნის გამაგრება. იმან იცოდა, რომ მისი ქვე-ყანა თუმცა ბუნებით ძალიან მაგარი მდებარეობისა იყო: ყოველი მთა, კლდე და გორაკები ბუნებით ციხეებათ გამოიცქირებოდენ; მაგრამ ეს კიდევ არ კმაროდა. ყოველ ხეობაში გორა-შინდვრები ჩაუყვე-ბოდენ მდინარეებს და საცა მდინარე მდინარეს შე-უერთდებოდა, იქ ხეობის კარი ღია იყო. სამხედრო გზებიც ამ მდინარეების პირათ მიემართებოდენ. მა-შასადამე გარეშე მტერს ადვილათ შეეძლო ამ ღია ხეობებში შემოსეულიყო. ალექსანდრე მაკედონე-

ლიც ამ გზებით შემოესია საქართველოს. ის შემოვიდა საქართველოში რასხისა (არაქსისა), მტკვრისა, ალაზნისა და არაგვის ღია ხეობების გზებითა. განსაკუთრებით სპარსეთის ძლიერი სახელმწიფოს საზღვარზე იყო ქვეყანა კარ-დაფეილილი, გაუმაგრებელი. იქ მტკვრის პირათ თვალ-გადუწვდენელი ვაკეები რანისა შირაქისა და მოვაკანისა ხელის-გულსავით სწორ მინდვრებათ გადაშლილიყვენ, აგრეთვე შავი ზღვის პირათ რიონისა და ინგურის ჭალები ღია იყო, საიდანაც რომისა და საბერძნეთის ჯარები ადვილათ შემოესეოდენ საქართველოს. იმ დროს კი ეს ორი დიდი სახელმწიფო სპარსეთისა და საბერძნეთისა ერთმანეთს ეჭიშპებოდენ: არა მე უნდა ვიუფლო საქართველოზე და არა მეო. რა წითელი კვერცხი შეიქნა იმათთვის საქართველო, რომ მისი გულისათვის თავებს იმტვრევდენ?..

თვითონ საქართველოს ქვეყანა ბუნებით ძალიან მდიდარი იყო: „ერი პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა". ამას გარდა საქართველო იყო ყელი დედა-მიწისა და რომელ სახელმწიფოსაც ის მიუდგებოდა, იგი უსათუოთ გამარჯვებული იქნებოდა ყოველ ბრძოლაში და დაჩაგრავდა თავის მოპირდაპირეს. ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძლიერ სახელმწიფოებისთვის ძველი დროიდან მოკიდებუ-

ლი ღღემდის. ძველათ სპარსელებსა, ბერძნებსა და რომაელებს სულ ამ ჩვენი ქვეყნის გულისათვის ჰქონდათ ერთმანეთში ბრძოლა.

ფარნაოზმა ზედმიწევნით იცოდა, რაც უბედურება დაემართებოდა საქართველოს ყოველთვის, როცა ეს ორი ძლიერი სახელმწიფო: სპარსეთი და საბერძნეთი ერთმანეთს დაეტაკებოდენ. „აქლემები წაიკიდენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო“, არის ქართული ანდაზა. რომ ამისთანა ბედი აეცილებინა საქართველოსთვის, ფარნაოზი შეუდგა თავის ქვეყნის გამაგრებას ორ ნაირათ: ერთი, რომ უნდა აეშენებინა ციხეები ყოველ ხეობების შემოსასვლელ კარებში და მეორე—შიგ უნდა ჩაესახლებინა მეომარი წოდება, რომელსაც მხნეთ უნდა დაეცვა ეს სიმაგრეები. ასეთი სამხედრო წოდება იყო აზნაურთა გვარი. ამათთვის უნდა დაერიგებინა სამკვიდრო მიწა-წყალი. როგორც ვიცით, აზნაურნი შეადგენდენ საუკეთესო მხედრობას: მხნესა და კარგათ გაწაფულ ჯარის-კაცებს. იმათ საშუალებით ფარნაოზმა სძლია მტარვალი აზო, დაამარცხა ბერძნები და განდევნა იგინი ქვეყნიდან. აი, ამის გულისთვის ეს ჯარი მეფემ ძალიან მოიმადლიერა. სამხედრო საშოვარი, რაც თვითონ არ ჰირდებოდა, იმათ დაურიგა, გახადა ისინი საქართველოში მაღალ-

წოდებათ და დაურიგა მათ მთელი საქართველოს თავისუფალი ადგილ-მამული, რაც რომ საუფლის-წულოთ და სასეფე-წულოთ არ იყო დანიშნული; მიუჩინა მათ სოფლები, მსახურნი გლეხნი და მიწის მუშაკნი. იმან განაწესა ერისთვებათ სეფე-წულები, რომელნიც იყვენ მეფის გვარის კაცები, იცავდენ მეფეს და წინამძღვრობდენ საერისთავო ჯარს ომის დროს. ყოველ ერისთავს უნდა ჰქონოდა თავის საკუთარი დროშა, ციხე-ქალაქი და გალავანი. ერისთვებს შემდეგ იყვენ ხევის ბერები. თითოეულს ხევის ბერს ებარა რომელიმე ხეობა იგი უნდა დასახლებულიყო ხეობის გამოსავალში და იქ აეშენებინა ხევის კარი. ანუ დაბა-ქალაქი, ანუ მაზრის უბანი ციხე-გალავნით. ხევის ბერებს ჩამოდალმა იდგენ აზნაურნი თითო აზნაურს უნდა ჰქონოდა კოშკი გორაზე. ანუ მთის მწვერვალზე და მის გარშემო სოფელი მუშა-გლეხებით დასახლებული. ყოველი აზნაური თავის სოფლის ბატონი და პატრონი იყო.

ომის დროს იმას გამოჰყავდა სოფლის რჩეული ბიჭები და წინამძღვრობდა; წყობაში ის ემორჩილებოდა ხევის ბერს, ანუ იმის ხელ-ქვეით ნაცვალს. ხევისბერი წინამძღვრობდა, რაც ხეობაში სოფლები იყო, იქიდან გამოყვანილს ჯარს. ხევის ბერების თავში იდგა ერისთავი, ხოლო ერისთავების უფრო-

სი იყო თვით მეფე. მშვიდობიანობის დროს ერისთვები, ხევის ბერები, ნაცვლები და აზნაურები განაგებდენ თავის ქვეშევრდომებს. ისინი იყვენ მათი მოსამართლენი, განაბჭობდენ ხალხს და გაჭირვების დროს კიდეც მფარველობდენ. მაგიერათ მიწის მუშა ხალხი მშვიდობიანობის დროს კისრულობდა იმათ რჩენას, აძლევდა მოსავლის მეათედს, ან მეხუთედს და ოჯახშიაც ემსახურებოდა.

ამ სახით წარმოდგა სამხედრო წოდება, მეფის ერთგული მხედრობა, რომელიც მშვიდობიანობის დროს განაგებდა ქვეყანას და ომიანობის დროს თავ-განწირულათ იცავდა თავის სოფლებს და სამკვიდრო მიწა-წყალს.

ფარნაოზი შეუდგა სამეფო ქალაქების შენებას, ციხე-გალავნების შეკეთებას, რომელნიც დაენგრია ალექსანდრე მაკედონელს. სამეფო ქალაქები იყვენ: მცხეთა, ხუნანის ქალაქი, ანუ არანის დედა-ქალაქი, წუნდის ქალაქი, კასპი, ურბნისი, უფლის-ციხე, რუის-პირი, ქვათათისი, ეგრისი და ფაზის ქალაქი შავი ზღვის პირათ მდინარე რიონზე. ყველა ეს ქალაქები შეაკეთა და გააშენა, შიგ დიდი ციხეები ააგო, ქალაქებს მაღალი ქვითკირის გალავნები შემოავლო და განამაგრა. მეფის წახედვით ერისთვებმაც თავ-თავისი ციხე-ქალაქები ააგეს, ხევისბერე ძ

მა ხევის კარები ჩადგეს და აზნაურებმა კოშკები გადმოჭიმეს.

ამგვარათ მთელი საქართველოს არე-მარე, მთები და ხეობები და ხეობაში შესასვლელი კარები, ციხე-გალავნებით და კოშკებით მოიჭედა. ამ შეუვალს სიმაგრეებში ჩასხდენ მხნე და გაწრთვნილი სამხედრო წოდების კაცები:—მთავარნი და აზნაურნი, რომელთაგან ყოველი ცალკე და ყველა ერთობით იცავდენ უკანასკნელ სისხლის ცვარამდის თავის მიწა-წყალს, სახლ-კარს და ცოლ-შვილს შემოსეულ მტრისაგან. ეს ისეთი დაწყობილება იყო, რომ მთელი ერი შეიარაღებული მუდამ ციხე-გალავანში შეფარებული იყო საბრძოლველათ და სამკვიდროთ დაშენებული იყო თავის მიწა-წყალზე; იმდენათ განებივრებული და გამტკბარი ჰქონდა შინაური ცხოვრება, რომ ამისთანა ცხოვრების გულისთვის ყოველი ერისთავი, ყოველი ხევისბერი და აზნაური თავის შინა-ყმებიანა და მუშა-ხალხიანა, თავგანწირულათ იგერებდა, უტევებოდა მტერს.

ყოველი ამისთანა ერისთავი და აზნაური თავის ციხე-კოშკში შეადგენდა თითქოს პაწია დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ახდენდა შიშიანობის დროს შესაფერ განკარგულებას. ამისთანა გულადს მებატონეებს საერთო მთავარი და მეფე რომ კიდეც წართმეოდათ, თვითონ მაინც თავს არ ჰკარგავდენ,

ცხვრებსავით აქეთ-იქით არ იფანტებოდენ; არამედ ერთი მეორეს ზურგს აძლევდა და საერთო მოგერეგ ბით ქვეყანას იცავდა. აი, ამითი აიხსნება, რომ სხვა ქვეყნებში, როცა მეფე დაეცემოდა ბრძოლის ველ-ზე, ან მეფის გვარი ამოწყდებოდა შემოსეულ მტრი საგან, მისი ჯარი და ხალხი ცხვრებსავით გაიფანტ-გამოიფანტებოდა, უპატრონო ქვეყანა ადვილათ უვარდებოდა ხელში შემოსეულ მტერს. საქართველოში კი ხშირათ მომხდარა, რომ მეფეები თავიანთ სახლობიანა მტერს წაუყვანია, მაგრამ ამითი ქვეყ-ნის მოთავეებს:—ერისთვებს და თავად-აზნაურობას გული არ შესუსტებიათ და თავ-განწირული ბრძო-ლა არ შეუჩერებიათ მტრის განსაძევებლათ.

აი, ამ დაწყობილების წყალობით. მცირე სა-ქართველოს ერმა გაუძლო და გადურჩა აქამომდე ქვეყნის აურაცხელ მტრებს, მაშინ, როდესაც მრა-ვალი უძლიერესი ხალხი შეიმუსრა ქვეყანაზე. მოი-სპო ასურეთი, ეგვიპტე, დაეცა რომი, დაეცა საბერ-ძნეთი, ათასმა და ორი ათასმა წელმა განვლო ამ მღელვარებაში; მაგრამ საქართველო ისევ ისე დიდ მუხის ხესავით დგას შეურყეველათ თავის ნიადაგზე, ჯერ ისევ ცოცხლობს და არც იმედი დაჰკარგვია მომავლისთვის.

ალექსანდრე მაკედონელის შემოსევამ დიდი ცვლილება შემოიტანა აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელდა საბერძნეთის სამხედრო წყობილება, მისი ბრძოლის წესი, საბერძნეთის მეცნიერება, ბერძნული ენა და მწიგნობრობა, გავრცელდა აგრეთვე ბერძნულ ენაზე წერა-კითხვა. საქართველოც არ აცილებია ამ გავლენას.

უწინ, როგორც ასურეთში, ისე საქართველოში თავისებური ანბანი იყო წერისათვის შემოღებული. ამ ანბანის ნიშნები პაწია ლურსმებს, ან სოლებს ჰგავდა ეს სოლები რიცხვით და წყობით ერთათ დაწერილი გამოხატავდენ აზრს. ამიტომაც ამ გვარ მწერლობას ეძახოდენ სოლისებურ მწერლობას. საქართველოში რომ ფარნაოზზე უფრო ძველათ იყო შემოღებული ამ გვარი ანბანები, ამას ცხადათ ამტკიცებს ვანის ქალაქის მახლობლათ ნახული ქვებზე აღბეჭდილი სოლისებური ნაწერები, რომელსაც მეცნიერები ეძახიან ალაროდიულ ენის ნაწერებს როცა ეს ნაწერები გაარჩიეს და ამოიკითხეს, გამოდგა. რომ ამ ნაწერებს ქართული ენის კილო, თვისება და გრამატიკული ფორმები აქვს. აქედან ცხადათ მტკიცდება, რომ საქართველოში ასურეთლებისა და ეგვიპტელების დროს ცოდნიათ წერა-კითხვა, ყოფილა მწიგნობრობა და მეცნიერება გავრცელებული, გარდა სოლისებური ან-

ბანისა საქართველოში ყოფილა მხატვრობითი ქარაგმული ნიშნებიც შემოღებული[1]). ასეთი ქარაგმული ნიშნებით წერა განსაკუთრებით ცოდნიათ ეგვიპტელებს და იმათ გავლენას ქვეშ შემოუღიათ ქართველებს მათებური წერა; ამ გვარ მხატვრობითი ნაწერებს ეძახიან გიეროგლიფის მწერლობას.

საბერძნეთის გავლენამ ამ ორსავე გვარ მწერლობას ბოლო მოუღო, რადგან ბერძნული წერა-კითხვა უფრო ადვილი გამოდგა სახმარებლათ და ამ წერა-კითხვის შემწეობით უფრო ზედმიწევნით და მოკლეთ იწერებოდა ყოველი აზრი. რადგან იმ დროს მხედრობის წესი ძალიან განვითარებული იყო, ამისათვის მისი შესაფერი საწერი ნიშნებიც უნდა შემოეღოთ. ამ წერის ნიშნები, ანუ ასოები, უნდა ყოფილიყვენ ადვილი, ჩქარი დასაწერი და აზრის მოკლეთ გამოსათქმელი.

ფარნაოზმა შემოიღო საქართველოში საბერძნეთის სამხედრო წესი; მაშასადამე იმან ისიც საჭიროთ დაინახა, რომ სოლისებური წერა-კითხვა და მძიმეთ დასაწერი მხატვრობითი ნიშნები გადასხვაფერებულიყვენ ისე, რომ ყოველ მხედარს ადვილათ, ჩქარა და მოკლეთ შეძლებოდა ტყავზე თავისი აზრის

---

[1]) იხილე მოსე ხორენაცის ისტორიაში დამატება მეოთხე—ემინისა. გვერდი 377.

დაწერა და გადაცემა. ამას მოითხოვდა თვით მხედ-
რობის წესი, საცა ყოველივე განკარგულება სამხედ-
რო რაზმებში სწრაფათ უნდა გადაცემულიყო ერთი
მეორედან, რომ დაგვიანებით საქმე არ წამხდარიყო,
მტერს არ ეჯობნა.

ამისგამო ფარნაოზმა შეჰკრიბა მწიგნობართ-
უხუცესი მოგვები მცხეთას და უბრძანა, რომ იმათ
სოლისებური და მხატვრობითი ასოების მაგიერათ
ადვილი საწერი ნიშნები შემოეღოთ, მგზავსათ ბერძ-
ნული წერისა. მწიგნობართუხუცესნი მოგვნი შეუ-
დგენ ამ მძიმე საქმეს, მოიღეს სოლისებური ნაწე-
რები, მხატვრობითი, ანუ ქართული გიეროგლიფუ-
რი წერილები, ქანანეველი ნაწერები ტირისა და სი-
დონისა, ბერძნული ასოები და იმათ გეგმაზე შეად-
გინეს ახალი ქართული მხედრული ასოები, რომელ-
საც დაერქვა მ ხ ე დ რ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი. ამის შესად-
გენათ მოგვებს დედნათ უფრო მხატვრობითი წერის
ნიშნები გამოადგათ, ვიდრე სოლისებური.

მხატვრობითი წერა ისეთი რამ იყო, რომ
რაიმე აზრის გამოსათქმელათ ისეთ ნიშნებს ხა-
ტავდენ, რომელნიც ემზგავსებოდა სულიერს, ან
უსულო საგნებს. მაგალითათ კაცს, ხეს, წყალს,
ცხოველს, ქვას, მიწას და სხვ. მაგრამ წერაში ასე-
თი ნიშნების ხმარება მეტათ მძიმე იყო და მწერა-
ლიც დიდხანს უნდებოდა იმათ გამოხატვას. ამას გა-

რდა აზრი ამ გვარი წერით სრულიად ვერ გა-
მოითქმოდა. ბევრ შემთხვევაში მკითხველი თვითონ
უნდა მიმხვდარიყო დანარჩენ აზრს, რაც რომ მხა-
ვტრობით ვერ დაწერილიყო. ყველას ის ემჯობი-
ნებოდა, რომ ყოველი ხმისათვის თავის შესაფე-
რი ნიშანი, ანუ ასო მოეგონებინათ. რადგან ყო-
ველი ლექსი, ანუ სიტყვა შედგება რამდენისამე
ხმისგან, ამისათვის თუ ყოველ ცალკე ხმას თავის
შესაფერი ასო, ანუ წერის ნიშანი ექნებოდა მოგო-
ნილი, მაშინ ყოველი აზრიც ზედმიწევნით დაიწე-
რებოდა. აი, მწიგნობარ მოგვებს ჰქონდათ მხედვე-
ლობაში ეს და იმიტომაც საფუძვლიანათ აასრუ-
ლეს მეფის მინდობილობა; იმათ შეთხზეს ქართული
მხედრული ანბანი უწინდელი მხატვრობითი წერის
მიხედვით. ამიტომაც მგონია, რომ ქართული მხედ-
რული ანბანი ხუცურზე ადრე უნდა იყოს შემოღე-
ბული. ამას ამტკიცებს ბევრი მხედრული ანბანის
ასო, რომელსაც საგნის გამომხატველი მხატვრობი-
თი მოყვანილობა დღემდის შერჩენია, მაშინ, რო-
დესაც ხუცურ ასოებს ეს თვისება არა აქვთ. მაგა-
ლითათ ასო ა წარმოადგენს გაღებულს პირს ასო
ბ წარმოადგენს კაცის გვამს, ანუ მუცელს, რო-
მელსაც კაცის თავი უზის ზემოდან; ასო დ წარმო-
ადგენს მდინარეს, რომელიც ერთვის ტბაში, ანუ
ზღვაში; ასო პ წარმოადგენს დამუწულს კაცის პირს;

ასო ლ წარმოადგენს ლომს თავის დაკლაკნილი კუდით; ასო ფ წარმოადგენს კაცის ჩამოშვებულ წვერს და სხვ.

მწიგნობართუხუცესმა მოგვებმა წარუდგინეს მეფეს ახალი შეთხზული მხედრული ანბანი. ფარნაოზს ფრიად მოეწონა და მეფურათ დაასაჩუქრა ისინი; იმან ვასცა ბრძანება ამიერიდან სამთავრო და საერისთო სასწავლებლებში ახალგაზდობა აღეზარდათ ამ ანბანზე, ესწავლებინათ ახალი ასოებით წერა-კითხვა სეფე-წულებისათვის; აგრეთვე ბრძანა ყოველი მეცნიერება დაწერილიყო მხედრული ასოებით და ამით დააგვირგვინა თავისი მეფობა. ამიერიდან მწიგნობრობა კიდევ უფრო გავრცელდა საქართველოში.



V.

ბარნაოზის დროს მოხდა დიდი ცვლილება წელიწადების თვლაში. პონტოს მეფემ მირდატ პირველმა დაამარცხა საბერძნეთის მეფე და გაათავისუფლა სამხრეთ-დასავლეთის ქართველთა ერი, რომელიც პონტოსა და კაპადოკიაში ესახლა. ეს ქართველი ერი დაყოფილი იყო მრავალ გვარებათ და უძველეს დროიდან ცხოვრებდა შავიზღვის პირათ. თითოეულ ამ გვარებს თავთავის მეფეები ჰყავდათ. ეს მეფეები იწოდებოდენ მამასახლისებათ; მაგრამ მცხეთის მამასახლისი იმათაც უფროს მამასახლისათ მიაჩნდათ. მირდატ პირველმა, მაკრონების მამასახლისმა, შეაერთა ყვე-

ლა იქაური გვარები და წინააღუდგა ანტიპატროსს მეფეს, რომელსაც მანამდის ემორჩილებოდენ კაპადოკიისა და პონტოს ქართველთა გვარებიც. ამ სახით ფარნაოზმა რომ აზოსაგან გაათავისუფლა აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის საქართველო, რომელიც შდებარებდა მტკვრისა, რახსისა (არაქსის), ჭოროხისა და რიონის ჭალებზე, მირდატ პირველმაც იმ გვარათვე გაათავისუფლა მაკედონელებისაგან დანარჩენი ქართველთა ტომის გვარები, მცხოვრებნი კაპადოკიაში და პონტოს ქვეყანაში. ეს ამბავი ისეთი სასიხარულო იყო საქართველოს ერისათვის, რომ ეს წელიწადი, სრულიად ქართველთა ერის გათავისუფლებისა, დადვეს ქორონიკონათ და ამ დღიდან დაარსდა ქართველების ხუთასეულ წელიწადთა თვლა, ანუ ქორონიკონი. ეს მოხდა 284 წელს ქრისტეს შობამდის. ამ წლიდან დაიწყო ქართველთა ერის მოდგმამ წელიწადების აღრიცხვა. აქაც ქართველებმა მიჰბაძეს ეგვიპტელებს, რომელთაც დიდი ხნიდან ჰქონდათ დადგენილი ხუთასი წლის მოქცევა. ქართველების ხუთასეული შეიცავდა ხუთას-ოც-და-თორმეტ წელს. ეს რიცხვი შემდგარი იყო მთვარისა და მზის მოქცევით. მთვარის მოქცევას ანგარიშობდენ ოც-და-რვა წლით და მზის მოქცევას ცხრამეტი წლით. ცხრამეტი რომ ოც-და-რვა ჯელ გაამრავლო, გამოვა ხუთას-ოც-და-თორმეტი. ეს ხუთასეული რომ

გავრდოდა, მერე ხელახლა შეუდგებოდენ წელთა თვლას. ამ სახით თუ ვიანგარიშეთ მირდატის გამარჯვებიდან, ჩვენ ვდგევართ მეოთხე ქორონიკონის მოქცევაში, რომელიც დაიწყო 1844 წელს და თუ ვიანგარიშეთ სოფლის დასაბამიდან, მაშინ ჩვენ ვიდგებით მეთოთხმეტე ქორონიკონის მოქცევაში.

მირდატ პონტოელმა და ფარნაოზ მცხეთელმა სხვა-და-სხვა დროს ძალიან გააძლიერეს საქართველოს ერი. მათ შემდეგ ეს ორი სამეუფო ტახტის მეფეები ერთათ მოქმედებდენ საბერძნეთისა და რომაელების წინააღმდეგ. ამათმა ძალამ შეასუსტა რომის ძლიერება. ამ დროსვე გავრცელდა პართელების სამეფო, რომლის მეფე არშაკ პირველი სომხეთის მეფეც შეიქნა და საკუთრათ სომხეთში გაამეფა თავისი ძმა ვაჰარშაკი. ეს იყო ფარნაოზის მედროვე გმირი, სომხეთის გამაძლიერებელი. ის შეუკავშირდა საქართველოს მეფეს ფარნაოზს და პონტოელ მირდატებს, ანუ მიტრიდატებს. უკანასკნელათ მან სულ ბოლო მოუღო მაკედონელების ბატონობას პონტოსა და კაპადოკიის ქვეყნებში. მაშინ მაკედონელების წინამძღოლათ გამოჩნდა ერთი ბერძნის გმირი. ვაჰარშაკმა, დაამარცხა რა იგი ბრძოლაში, თავის ხელით მოჰკლა. ამ დროებში ისეთი საშინელი ჟლეტა-მუსვრა შეიქნა კაპადოკიაში, რომ მხეცი და ნადირიც კი გაფთხა იმ ქვეყნიდან. ურიცხვი ტყის

ბეცი: ირემი, შველი და ველური ღორი გადიხვეწა კაპადოკიის მდინარის ჭალებიდან ჩრდილოეთისკენ. იმის გამო უანგარიშო ჯოგი ველური ღორებისა მოვიდა ჭოროხისა და რიონის ჭალებზე. ეს მოხდა მეორმოცე წელიწადს ქართული ქრონიკონის პირველ მოქცევისას, ანუ 244 წ. ქრისტეს შობამდის.

არე იყო გაზაფხულისა. მთვარის მეცხრამეტესა დღესა მცხეთის სატახტო ქალაქში შეიქნა დიდი მოძრაობა. მოვიდა ჯარი მეფის ბრძანებით. სიმღერა, ბუკ-დაფის ცემა და წინწილის ხმაზე ჩაკვურის თამაში ამხიარულებდა სამთავრო ქალაქს. მეფის საგავაზოში ისმოდა არწივების ყივილი, რომელნიც თითქოს გრძნობდენ სანადიროთ გამგზავრებას. ამათ უერთდებოდა მეძებრებისა და მწევრების ყეფა-წკმუტუნი. ხან-და-ხან მოისმოდა სხვა-და-სხვა ხმით ფხუილი ღვეპარდისა, ანუ კატა-მწევარასი. ეს ცხოველი შეხედულობით ნამდვილ კატას მოაგონებდა კაცს, მაგრამ ტანითა და კუდით ჰგავდა დიდ ძაღლს. იმათ ასწავლიდენ ნადირობას და მუდამ ჯაჭვებით ებათ. მეფე ფარნაოზის საგავაზოში იყო ორმოცდა-ათი გაწვრთნილი ღვეპარდი, ანუ კატა-მწევარა. ამ ცხოველს არ მოურჩებოდა არც ირემი, არც ჯეირანი, არც ველური ღორი წაუქცეველი, თუ რომ

თათს შემოკრავდა. ეს ცხოველი ზნით ავი იყო. ჰქონდა ვეფხსავით ბასრი კბილები და ბრჭყალები. ამისთვის სანამ ნადირს არ დაანახვებდენ, მანამ პირი ჰქონდა თასმებით შეკრული. როცა დაანახვებდენ ნადირს, მაშინ პირიდან მოხსნიდენ თასმებს და ღვეპარდი იმ წამსვე კატასავით გაინაბებოდა, ცოცვით მიეპარებოდა ნადირს და შეახტებოდა ზურგზე, დაჰკრავდა თათს და ძირს დასცემდა.

ამ მონადირე ცხოველებისთვის ფარნაოზს ჰქონდა თავის საგავაზოში ორმოც-და-ათი მსუბუქი ეტლი, ორ-ორ თვლებიანი. იმათში გაუბამდენ თითოს ან ორ ცხენს, ზედ შედგებოდა მონადირე, წინ ეტლში ანუ როლში, როგორც მაშინ ეძახდენ იმისთანა ეტლებს, ჩაისვამდა ღვეპარდს, ანუ კატა-მწევარას, ჯაჭვით როლზე მიბმულს, და გაემგზავრებოდა სანადიროთ.

ფარნაოზს ძალიან უყვარდა ე-თი ამ კატა-მწევართაგანი, რომელიც სიდიდით მგელზე მეტი იყო და ტანზე ლამაზი ხატაველი. ბევრჯელ გაემხიარულებინა მეფის გული ამ ცხოველს. იმას ჰყავდა დაჭერილი თავის სიცოცხლეში ორმოც-და-ათი ირემი, ასი ღორი, სამოცი ჯეირანი და ოცი შველი.

მეფეს ისე ჰყავდა ეს მხეცი მოთვინიერებული, რომ ხშირათ პირ-შეუკვრელი ძალლსავით უკან და-

ჰყვებოდა. როცა მეფისთვის შეაბამდენ სანადირო როლს, კატა-მწევარა წინ-და-წინვე ჩახტებოდა შიგ ფხუილ-ღრუტუნით; ის მეფის მოფერებაზე აიქოჩებოდა და კატასავით ფეხებზე ეხახუნებოდა კუდ-აბზეკილი. ამ კატა-მწევარას მეფე ეძახოდა „ყურშავს“[1]), რადგან ცალი ყური შავი ჰქონდა.

ფარნაოზ მეფეს მოსვლოდა წერილი თავის სიძე ქუჯისაგან, რომელიც წერდა: მრავალი ღორი და ირემი მოვიდა და სანადიროთ წავიდეთო. ფარნაოზს შეეკრიბა ჯარი: აზნაურნი ოთხი ათასი კაცი სხვა-და-სხვა მხრიდან: ტაოსხიდან, კოხეთიდან, ალანეთიდან, არანიდან და ოსეთიდან.

ტაოხები ძალიან გაწაფულნი იყვენ შვილდ-ისრით ნადირობაში. იმათ ჰქონდათ მოკლე სანადირო შვილდ-ისარი. ტაოხელი მონადირენი იწოდებოდენ გამრეკლებათ, რადგან მათი დანიშნულება იყო, შემოდგომოდენ სანადირო ველს, ანუ ტყეს, ყვირილ-კიჟინით დაეფთხოთ ნადირი და წინ გაერეკათ. იმათ თან დაჰყავდათ სამეფო ძაღლები; მათი უფროსები ისხდენ სანადირო როლებში და თან ჰყავდათ ღვეპარდები, ანუ კატა-მწევარნი. როცა მორეკდენ ტყეს და ნადირი ადგებოდა, ისინი,

---

[1]) სვანეთში დღემდის დარჩენილია სიმღერა „ყურშავ“ მონადირე ძაღლისა.

საცა კი თვალს მოჰკრავდენ, თითო-ოროლა ნადირს, მაშინვე ესროდენ ისარს და ძვირათ დააცდენდენ. ტრიალ ველზე თუ შენიშნავდენ ან ჯეირანს, ან ირემს, მაშინ კი ხმას გაიკმენდდენ, ჩამოასხამდენ როლიდან ღვეპარდებს, მოხსნიდენ პირიდან თასმებს და დაანახვებდენ ნადირს. ღვეპარდებიც კატასავით გაინაბებოდენ მიწაზე და ცოცვით მიეპარებოდენ ნადირს. თუ სამ გადახტომაზე ვერ დაიჭერდენ, მერე კი ალარ გამოუდგებოდენ და ღრენით დაბრუნდებოდენ პატრონისკენ.

კოხელი მონადირენი, ალაზნის ხეობიდან მოსულნი, ძალიან გაწაფულნი იყვენ ღორზე ნადიროობაში; ისინი იყვენ სანადირო შუბებით და გრძელი ხანჯლებით შეიარაღებულნი ღორზე ნადიროობა მეფე ფარნაოზსაც უყვარდა და მრავალი იყო მეფე ფარნაოზის ნადიროობის სურათი იმ დროს ვერცხლისა და თიხის სურებზე გამოქანდაკებული, ან წამლებით დახატული[1]).

ალანეთის მონადირეებს ჰქონდათ ქეიბურები, ანუ შვილდ-შურდულები. ეს იარაღი შედგებოდა

[1]) ერთი ამ გვარი ვერცხლის სურა, სადაც დახატულია მონადირე, რომელიც ველურ ღორსა ჰკლავს, ნახეს მცხეთის სამთავროს სასაფლაოში და ახლა ეს სურა ერმიტაჟში იპოვება.

მოხრილ რკინის შვილდისაგან, რომელსაც თასმა ჰქონდა ფამფოთ გაბმული და თასმას შუა ქვის ჩასადები ქსოვილი იყო მოწყობილი, ქსოვილში რომ ქვას ჩადებდენ, მოუჭიმავდენ ხელით შვილს და იგი შორს გაისროდა. ალანელი მონადირენი დარღისა და თერგის ხეობისანი ისეთი დახელოვნებულნი იყვენ, რომ ნადირს ქვას არ ააცდენდენ თავში, ან თვალში. განსაკუთრებით დიდ ფრინველებს ჰკლავდენ შვილდ-შურდულათი.

არანელი მონადირეები იყვენ შეიარაღებული ჭოლოკებით. ჭოლოკი იყო ხისა; არშინ-ნახევარი სიგრძე, ცოტა შუაზე მოხრილი და ერთ თავზე კომბალი ჰქონდა. ამ ჭოლოკებით ძალიან მარდათ ჰკლავდენ გაფრენილ ფრინველს. ან ფეხებს მიამტვრევდენ გაქცეულ ნადირს, თუ მოხვდებოდა. არანელები ძალიან დახელოვნებული იყვენ ჭოლოკების სროლაში ფარნაოზსაც უყვარდა ჭოლოკით ნადირობა, როცა ტბაზე, ან მდინარეზე დადიოდა ნავით გარეული ბატების, გედების და იხვების სანადიროთ.

ფარნაოზმა წაიყვანა ოთხი ათასი მონადირე ბაზიერთუხუცესის წინამძღოლობით. იმათ აედევნა უკან მეფის ტაძრეული, ანუ ბარგი, წაიღეს ბამბის კარვები, სამზადისი მრავალი, სამეფო ჭურჭელ-იარაღი, სულ ორასი ჯორ-კიდებული. ბაზიერთ უხუცესს თან მიჰყავდა ასი ქორი, სამოცი შევარდენი,

ოც-და-ხუთი არწივი, სამასი ძაღლი, ორმოც-და-ათი ღვეპარდი.



მეფის ნადირობა.

მეფე ფარნაოზი ჩაბძანდა მოჭედილ როლ-ში; მისი საყვარელი „ყურშავი“ წინდაწინ ჩაუხ-ტა. მარცხენა ხელში ეჭირა ჟრუნი შევარდენი და განეწყვენ ასე, ამ წესით გამგზავრებას; წინ მესა-კრავენი ბუკისა და საყვირების კვრით მოდიოდენ ისინი გაეშურენ ლიახვ-წონის ფენექა-გზითა[1], და ჩავიდენ ცხინვალისა და წონის ხეობით ყვირილის ხეობაში ჭოგნარამდის, საცა ყვირილა და რიონი ერთმანეთს უერთდებიან. აქედან მეფე და მისი ამა-

[1]) ფენექა ქვა-ფენილია.

ლა ჩასხდენ რიონზე მოყენებულ კატარღებში, ანუ აფრიან[1]) ხომალდებში და ჩავიდენ ფაზის ქალაქში, სადაც ქუჯი თავის ამალით შემოეგება მეფეს, სანადიროთ გამოწყობილი. აქედან კატარღებითვე წავიდენ მეფე და მისი სიძე, მათი ამალებიანა, შავი ზღვით და შევიდენ ჭოროხის ნავთსადგურში. იმათ დააწყეს ასე, რომ ჭოროხიდან მოენადირათ ქობულეთის ქვეყნები, გადმოსულიყვენ რიონის ჭალებზე და მოსულიყვენ ბედიის სატახტო ქალაქში, საცა ქუჯი ერისთვის ადგილ-სამყოფელი იყო. ნადირობა გაგრძელდა თვე-ნახევარი.

მეფეს შეხვდა ჭაობიან და წყლებიან ადგილებში ყოფნა. ხშირათ მოხდებოდა, რომ ამისთანა მავნებელ ალაგებზე ღამის გათევაც შეემთხვევოდა. მაგრამ ასეთი უსიამოვნობა მეფისა ჯილდოვდებოდა შვენიერი ნადირობის სეირით. არწივებს ერთიც არ წასვლიათ შველი და კანჯარი. მეფის არწივი ერთხელ ხარ-ირემს დააფრინდა თავზე და ორჯელ ნისკარტის დაკვრით კეფის ძვალი გაუხეთქა; ირემი უსულოთ დავარდა მიწაზე და არწივმა თბილი ტვინი ამოჭამა. მეტათ შესაქცევარნი იყო ღვეპარდების ნადირობა და იმათი კატურ-ვეფხური ბრძოლა ლომრებთან და ირმებთან.

---

[1]) აფრა—ტილოს იალქანი.

მეფე მეტათ მხიარულათ ატარებდა დროს; მაგრამ როცა ბედიას მიბრძახდა და დაისვენა, მეორე დღეს რალაც შეუძლობა იგრძნო და თავი მომეტებულათ ატკივდა. ქუჯი ერისთავი ძლიერ შეწუხდა ჯარმაც მოიწყინა. ფარნაოზის დამ, ქუჯის ცოლმა, როგორც განვითარებულმა ვარსკვლავთმრიცხველობაში და მკითხაობის მეცნიერებაში, ვერ ნახა კარგი ნიშნები მეფის ავადმყოფობაში. იგი წამის-წამ შეჰკითხავდა ცასა და თავის სამოგვო წიგნებს; მაგრამ არც ცა უხსნიდა წარბს და არც წიგნები პირს. თუმცა თავის ქმრისა და ძმის წინაშე იგი იყო მხიარულათ და მოცინარე სახით; მაგრამ როცა ცალკე დარჩებოდა, მაშინ შეიკეტდა კარს სასახლეში, მიეცემოდა უზომო მწუხარებას და ცრემლებს ღვრიდა. საეჭვო აღარ იყო, რომ მეფე მოხდომილით გამხდარიყო ავათ და დიდი იმედი აღარ ჰქონდა მისი მორჩენისა. მეფე ფარნაოზი ჩავარდა სიცხეში და ბოდავდა თავზე სველ სარდონის ტილოებს აფარებდენ, მაგრამ სიცხეს მაინც თან-და-თან უმატებდა. ბოლოს მეფის დამ მოიწვია მკურნალობაში განთქმული დედათა-ქურუმნი, დასხდენ მეფის საწოლის თავით და ფეხთით; აიღეს ოქრო-ქსოვილი და აბრეშუმ-ნარევი სარტყლიბი, გაზომეს მეფის ტანი, შეჰკეცეს ოთხ ნაწილათ და შეულოცეს შემდეგი:

„სახელითა არმაზისა, ზადენისა და ანაიტისათა. მოხდენილო დედანო, მოხდენილო მამიანო, შვილიანო. საიდან მოხდომილხარ?. ზეციდან მოხდომილხარ, ჰაერიდან, თუ დედა-მიწიდან?.. შიშზე მოხდომილხარ, თუ სიხარულზე?.. რას ჩადგომილხარ კაცის ტანში, რას ახტუნებ, რას აცხელებ?. გამოდი, გამოეყარე. ძვალში იყო, რბილში გამოდი და რბილიდან სულ გამოეყარე... შენ დედასთან მიდი, შენ მამასთან მიდი. მე ვარ მლოცველი არმაზისა. არმაზის მახვილო დააფრთხე ავი სული. ავადმყოფს არ-გე ამით“.

ამ ლოცვას შემდეგ დედა-ქურუმმა გაზომა ოქრო-ქსოვილი სარტყლით მეფის გვამი ოთხივე კუთხით და კ-დევ დაიწყო საიდუმლოთ ლოცვა.

შემდეგ შეულოცა მეორე დედა-ქურუმმა თვალნაცემისა:

„ალისა, მალისა, შეგილოცავ თვალისასა, შინაურისასა, გარეულისასა, ადამიანისასა; ბელიარისასა და ყოველთა ავთა მტერთა: ტანტალთა და ძაღლთა-პირთა. გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი, გამოჰყვა შავი ცხენი, ზედ ედგა შავი უნაგირი, დაადგა შავსა გზასა და ჩავიდა შავსა ზღვასა. გადუყო შავი ფარჩხი, ამოყვა შავი გველი, გადავკარ ჯოხი სიასა ქვასა; ისემც გამწყვარა, ისემც გამქრალა, როგორც ქვაბში ჯინჭარი, ავადმყოფის

ავად შემომხედავი ვისიც თვალი ეცა, ისე სჭკნებოდეს, ისე ხმებოდეს, როგორც ხის ქერქი. გაიარა ეზო, მოიტეხა თეძო; გაიარა საბძელი, დაევსო თვალი სამზერი. აგრე და!. მოუხდინე არმაზო და მარიხ ლოცვა ჩემი, ნება თქვენი თქვენსა ძესა ფარნაოზსა ზედა".

როგორც რომ ეს ლოცვა გაათავა, მაშინვე შეუბერა სული დედა-ქალუმმა მეფეს სახეზე, მკერდზე, ხელებზე და ფეხებზე. მაგრამ არაფერმა წამლობამ, არაფერმა ლოცვამ ფარნაოზ მეფის ავადმყოფობას არა უშველა-რა მეფე მისუსტდა, მიიბნიდა, ცნობა დაეკარგა. სასახლიდან გამოვიდა ცუდი ამბავი. შიკრიკები აფრინეს მცხეთას დედოფალთან...



VI.

ერ პირველი შიკრიკი არ იქნებოდა მცხეთის სასახლის კარზე მისული, რომ მეორემ მოუსწრო უბედური ამბით: მეფე ფარნაოზი გადაცვლილიყო ბედიას. სასახლიდან საზარელი ხმა გამოვიდა, მოგვთა უბანში ატყდა ქურუმთა მწუხარების გალობა და გლოვის ზარი. არმაზის კოშკიდან ეუწყა დაღონებული გოდების ნაირი ღაღადება გარეშემო სოფლებს და ხეობებს მყივარნი ქურუმნი კოშკიდან კოშკზე აწვდენდენ ერთ ნაირი მწუხარების გალობის ხმას, რომელიც აუწყებდა დიდებულ მეფის გარდაცვალებას სოფლიდან სოფლამდე, რთი ხეობის კოშკიდან მეორე ხეობამდე. ამ სახით ეუცებ მოვლო მწუხარე ამბავმა მთელი მთა და ბარი. ერთი დღე არ გასულა, რომ მთელ საქართველოში, შავი ზღვიდან მოკიდებული დარუბანდამდის, გაისმა ხმა ფარნაოზ მეფის სიკვდილისა. ყოველგან ერი გარბოდა, იყრიდა თავს სამლოცველ ოებზე, თავში

იცემდა, იარაღს იყრიდა, წელს იხსნიდა და ხმა მაღლა ღაღადებით და მოთქმით ტიროდა. სასახლის უბანი დიდებული კარის კაცებით აივსო. ისინი დამწკრივებულიყვენ სამ-სამი ერთათ მთელი ეზოს სიმრგვლეზე, იდგენ მოწყენილნი და თვალ-ცრემლიანნი.

სასახლის კარი დაფენილი იყო. დარბაზში ტახტზე იჯდა ფეხ-მოკეკილი დედოფალი თმებგაშლილი, შავით მოსილი. ცალგნით დიდებული მეფის ნიშანი ოქროს ტახტზე ესვენა. ნიშნათ იყო მისი სამხედრო ტანთ-საცმელი, ბრინჯაოს (თითბრის) მოოქრული მუზარადი, წვრილ-თვალა ტანთ-საცმელი მისივე სახელოებიანი, ხვაფთანი (სამკერდე), საბარკული და ხამლები (ფეხ-საცმელი). ისეთი ხელოვნებით იყო ნიშანი შეწყობილი, რომ გეგონებოდა ტახტზე თვით მეფე ასვენიაო. ცალ-მკლავზე ედვა ფარი კამბეჩის ტყავით გადაკრული და ოქროს წვრილი ლურსმებით შეჭედილი ისე, რომ ლურსმებით მოჭედილობა გამოხატავდა ლომსა. მარჯვნით ჰქონდა დაწყობილი: ხმალი, შუბი, აფთი (ორპირი მოკლე ნაჯახი) და ლახტი (თავში სარტყმევი რკინის კომბალი). მეფის ნიშანთან თავით იჯდა მეფის მემკვიდრე, საურმაგი, დედოფლის გარშემო ტახტზე ირგვლივ ისხდენ დიასახლისები, ყველანი თმა-გაშლილნი და შავით შემოსილნი. ნიშანთან

იდგა მთავარი მოგვი შემოსილი და მასთან მრავალი ქურუმები ისინი სუნნელოვან ამბრას აბოლებდენ. ნიშნის წინ ოქროს სამ-ფეხზე ბრიალებდა წმინდა უშრეტი ცეცხლი. სამ-ფეხის ცალ-მხრით დედა-ქურუმი, თვთრით მოსილი, მსახურებდა ამ წმინდა ცეცხლსა. სასახლის წინ დაყენებული იყო მეფის საჯდომი ცხენი, უკუღმა შეკაზმული და შავით მოსილ მეჯინიბეს ეჭირა. მეორე მხრით იყო გაწყობილი სამხედრო როლი, ანუ ეტლი.

სახლთუხუცესი, შავით მოსილი, განაგებდა ტირილის რიგს. ეზოში კარის-კაცნი, მთავარნი და დიდებულნი თავის ღირსებისამებრ იყვენ ჩამწკრივებულნი. ეზოდან დარბაზში უნდა შესულიყვენ ორ-ორი მათგანი ერთათ წელ-შეხსნილნი, თმა გაწეწილნი, გულ-გაღიაღებულნი ისინი იწყებდენ ვაების ხმით ტირილს, თავში და გულ-მკერდში იცემდენ მუშტს და ისე შედიოდენ დარბაზში. მათ გაჰყვებოდათ მოზარეთა კრებული, რომელნიც შვენიერი შეწყობილი ხმით ჰგალობდენ გლოვის ზარს და თვით ღიდებულთა ტირილს შეუწყობდენ ხმას ისინი დარბაზის კართან შეაჩერებდენ ზარის ხმას, რადგან თვით დარბაზში ამავე ზარს გალობდენ ქურუმთა კრებულნი. მოტირალნი დიდებულნი ჯერ მივიდოდენ წმინდა ცეცხლის წინ, მუხლს მოიყრიდენ, თაყვანს სცემდენ, შემდეგ მოთქმით იტირებდენ ნი-

შანს. ეტყოდენ შესხმას გოდებით, მოიხსენიებდენ ყოველ ფარნაოზის საქველმოქმედო საქმეს, შეამკობდენ, ვისაც როგორ ეხერხებოდა ნიჭისა და ცოდნისა-მებრ, მერე მუხლს მოუყრიდენ დედოფალს და მიუტირებდენ მემკვიდრეს. ამ ტირილის დროს დიასახლისნი ერთ-ხმათ, გულ-მოსაკლავათ, მოზარეთა ხმათა შეწყობით, მკვნესარათ შეძახებდენ: „უი-უი!! .. უი-უი!!...“ მათი მკვნესარი გალობა გულის შემზარავი იყო და რომ არ ნდომებოდა კაცს, მაინც გული აუჩვილდებოდა და ცრემლით იღვრებოდა. როცა ორი დიდებული გაათავებდა დარბაზში ტირილს, თითოეულ მათგანს ორი ხლებული გამოიყვანდა ისევ გარეთ ეზოში, სადაც ეზოს მოზარენი ისევ გამართავდენ ზარით გალობას. მოტირალნი მოვიდოდენ და ეზოში დამწკრივებულ დიდებულებს სათითაოთ მიუტირებდენ მეფის დაკარგვის უბედურებას. ყოველ მათ წარმოთქმაზე მთელი წრე ერთ-ხმათ შეძახებდა მოტირალთა: „ივაი-ივაი!. . ივაი-ივაი!...“ [1]).

როცა ამ სახით ორი მოტირალი გაათავებდა თავის რიგს, მერე განემზადებოდა მეორე რიგი ორი მოტირალისა და ასე ბოლომდის. ამ სახით ასეთი ტირილი და შეცხადება გაგრძელდა მთელ ორმოც

---

[1]) ასეთი ჩვეულება ტირილისა დღემდის დარჩენილა სვანეთში.

დღეს. ყოველ დღეს ახალ-ახალი მოტირალნი დიდებულთა, აზნაურთა, გლეხთა და მოხელეთა მოდიოდენ მეფის ეზოში. დარბაზში კი მხოლოთ სამღვდელოება და დიდებულნი შედიოდენ დედოფლის მისატირებლათ. აზნაურნი, მოხელენი, ვაჭარნი და გლეხნი ცალ-ცალკე წრეს შეადგენდენ და ისე ტიროდენ ეზოში. ისინი აწვდენდენ ვაების ხმას დიდებულთა და იძახოდენ დრო-გამოშვებით: „ივაი-ივაი!... ივაი-ივაი!..“ სანამ ტირილი და შეცხადება გაგრძელდა, ერი სასახლის ხარჯზე იკვებებოდა. ვინც იტირა, ის ისევ თავის ოჯახში ბრუნდებოდა. მაგრამ მის მაგიერათ ახალ-ახალი ბრბო მოტირლებისა მოდიოდა. ეს ამბავი, როგორც მოვიხსენეთ, ორმოც დღემდის არ შეწყვეტილა, სანამ მიცვალებული მეფე მცხეთას არ მოასვენეს

რაც ამთავრო სასახლეში ამბავი მოხდა, იმაზე კიდევ უფრო ზარდასაცემი ტირილი და ვაება შეიქნა ბედიის სატახტო ქალაქში, ქუჯის სამეუფო სასახლეში, სადაც მეფის ცხედარი ესვენა

იქ ოვით მეფეს ცხედარი შეამზადეს, რომ არ

დახრწნილიყო და სუნი არ ადენოდა; მერე სუნნელოვანი წამლებით შემურეს, აი, ამ გვარათ[1]):

ჯერ მეფის გვამი გაწმინდეს შიგნეულობიდან. მოვიდენ მესუდრენი, მარილ-წყალში გაბანეს ტანი; შემდეგ მოვიდა კარის მკურნალი, რომელსაც ზედმიწევნით ჰქონდა კაცის ტანის აგებულობა შესწავლილი. იმან მოიტანა ფოლადის მარწუხი, შეუყო ცხვირის ნესტოებში, გატეხა ცხვირის ძვალი და შუბლისა, გააგანიერა ნახვრეტი შუბლის ძვლისა და გამოიღო მთელი ტვინი თავის სარქველიდან. იმანვე მთავარ ქურუმის თანადასწრებით გაფატრა მეფის მკერდი, ამოიღო ჯიგარი და დაათვალიერა. მკითხავმა ქურუმმა ილოცა და დაასკვნა, რომ მეფის ჯიგარს არავითარი სამეფოს მავნებელი ნიშნები არ ეტყობოდა. შემდეგ შიგნეული ამოიღეს, გაწმინდეს ყოველგვარ მწიკვლისაგან და ჩადვეს წინათვე გამზადებულ შაბისა და მარილის წყალში, ჩადვეს აგრეთვე შაბ-მარილ-წყალში თვით ტანი მეფისა. ორი კვირა ასე ამყოფეს, რომ ტანსა და შიგნეულობას მარილი და შაბი გაჯდომოდა. მერე ამოიღეს მეფის გვამი, ჩაუდეს მკერდში და გვამში თავთავისი შიგნეულობა, შეჰკრეს და წააცხეს მეფის სახეს მუ-

---

[1]) ეს ხელობა ქართველებს ეგვიპტიდან ჰქონდათ გადმოღებული.

შკი, მური და სხვა ისეთი წამლები, რომ მისი პირის სახე დარბილდა და სწორეთ სიცოცხლის ფერი დაეტყო. გეგონებოდა, მეფე მკვდარი კი არ არის, ძინავსო. შემდეგ ჩადვეს ურთხველის კუბოში და აიტანეს „კუბო-კრულში“.

კუბო-კრული იყო შვენიერი ჩუქურთმით გაკეთებული ხის ფარდული, ექვს ბოძზე აშენებული, ერთის ტუზარმაზარის ხის ტანის გარშემო. თვითონ ეს ურთხვლის ხე იყო წმინდა ხე, რომელსაც ქართველები თაყვანსა სცემდენ და ეგონათ, რომ ამ ხეზე ბუდობდა წმინდა ტყის სული. საზოგადოთ ქართველებს იმ დროს ზოგიერთი ხეები წმინდანებათ რწამდათ და ტყესაც თაყვანსა სცემდენ. მთავარს ღმერთს ტყეებისას ეძახდენ წმინდა ტყის სულსა, ანუ „წმინდანსა“ და ის ხეები, რომელნიც წმინდათ მიაჩნდათ, ფიქრობდენ, რომ „წმინდანის“ ადგილსამყოფელი იყო. „წმინდანი“ იმ დროის ქართველების წარმოდგენით იყო ღმერთი, მფარველი მკვდართა. ამ ღმერთს შეეძლო მკვდრის გაცოცხლება და აგრეთვე მკვდრის სულის ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში შეყვანა.

ამისგამო ყოველ სოფელს და ყოველ ქალაქს, იმ დროს თავის წმინდა ხე ჰქონდა ამორჩეული, რომელსაც ერი თაყვანსა სცემდა და წირავდა საქონელს სულიერსა და უსულოს, ავეჯულობას და ყო-

ველნაირ მიწისა და ხელოვნის ნაწარმოებს. ქურუმნი ამისთანა ხეს უკმევდენ გუნდრუკს და სხვა სუნნელოვან საკმეველს. თუ ვისმე დაეკარგებოდა, ან ნადირი შეჭამდა შინაურ პირუტყვს, ის მაშინვე მიაშურებდა ამისთანა ხეს და შეევედრებოდა ტყის წმინდა სულს დაკარგულის საქონლის მონახვას, ან ნადირის კბილების შეკვრას. იმათ რწამდათ აგრეთვე, რომ ყოველი ისრით დაჭრილი ნადირი თუ კი მიაღწევდა ამ ხესთან და ჭამდა მის ფოთოლს, უეჭველათ განიკურნებოდა[1]). საცა კი ამისთანა წმინდა ხე იდგა ქალაქის ან სოფლის მახლობლათ, უშენებდენ ხის ტანის გარშემო ფარდულს, ანუ კუბოკრულს: ექვს ბოძზე და ფარდულის ბანზე დებდენ მიცვალებულის გვამს და ევედრებოდენ წმინდა ტყის სულს, მიცვალებულის გაცოცხლებას, ანუ იმის სასუფეველში შეყვანას. რამდენსამე დღეს შემდეგ, როცა დარწმუნდებოდენ, რომ წმინდა ტყის სულმა არ ინება მიცვალებულის გაცოცხლება, შემდეგ ჩამოიღებდენ მკვდარს და დაასაფლავებდენ. წმინდა ტყის სული, ანუ „წმიდანი" წარმოდგენილი ჰქონდათ ნათელ ბურთის სახეთ. დღემდის ამ „წმინდან-

---

[1]) იხილე „ქართლის ცხოვრება" 93 გვერდი, ნაწილი I.

ზე“ ბევრი მოთხრობაა, იმერეთში, სამეგრელოში და აფხაზეთში დარჩენილი უძველესის დროიდან.

ტირილი რომ გათავდა, ფარნაოზის სიძემ ქუჯმა განამზადა რიგი და წესი მეფის გვამის წამოსაღებათ მცხეთას. იგი ჩადვეს გრძელ ტახტრევანში და რაც ეგრისში დიდებული და ჩინებული კაცი იყო, ყველანი გამოჰყვენ. თითონ ქუჯი და მისი მეუღლე, ფარნაოზის დაჲ, ტახტრევანს უკან შავ მოწნულ კუბოში, ანუ ლოტულში, ისხდენ. იგი იყო ეტლზე მოწყობილი და ბატონის შვილები მოჰყავდა. მთელი წყობა ჭირისუფლებისა შემდეგი წესით მოდიოდა: წინ იყო ეგრისის ჯარი ქურუმების თაოსნობით. შემდეგ მოჰქონდათ ტახტრევანით მეფის კუბო; მას უკან მოჰყვანდათ შავით მოსილ ლოტულში ჩამსხდარნი ქუჯი და მისი მეუღლე. მათ უკან მოდევდენ კარის კაცები, მთავრის ამალა და დიდებულნი. შემდეგ მოჰქონდათ ტაძრეული და ბარგი მეფისა და მთავრისა.

გზა ფენექით (ქვაფენილით) იყო დაგებული. იგი მოდიოდა ბედიიდან ქალაქ დიმს. ფაზის (რიონ-ყვირილას) მდინარეზე, საქსურიასთან, საჯავახოს ზემოთ, იყო ხიდი ქვითკირისა. დიმიდან გზა მიჰყვებოდა მდინარის მარცხნით შორაპნამდის, შემ-

დეგ გზა მიდიოდა ფაზის (ყვირილის) ხეობაში ჩიხის ქალაქამდე, მერე გადვიდოდა პერანგის მთაზე და ჩავიდოდა ურბნისს. ურბნისიდან გაივლიდა უფლის-ციხის ქალაქში და მივიდოდა მცხეთას. ცხენდარს უნდა შეგებებოდენ დიმის ქალაქში წუნდისა და ოძრხეს ერისთავნი დიდებულებით და მათი ერი. შორაპნის ქალაქში უნდა დახვედროდა მარგვისის ერისთავი დროშით, თავის ჯარით და ერით. ურბნისს უნდა დახვედროდა კახეთის და ხორნაბუჯის ერისთავი. უფლის-ციხის ქალაქში უნდა მოგებებოდა საშშვილდის ერისთავი. მცხეთას დედოფლის კარზე იყვენ მთელი ქართლის სპასპეტი და ხუნანის ერისთავი თავის დროშებით, ჯარებით და ერით.

ამას გარდა ბედიიდან მოკიდებული, ყოველ სოფელსა და დაბის საზღვარზე ხვდებოდენ ადგილობრივნი მცხოვრებნი თავად-აზნაურობით, რომელნიც, რაკი დაინახავდენ მეფის გვამს, ჯერ კიდევ შორიდან შეჰქნიდენ ხმა-მაღლა ტირილსა და გოდებას, ზარდაცემით და მწუხარე გალობით. ეგრისის მოტირალთა მაინც განსაკუთრებული ჩვეულება ჰქონდათ; ისინი იყვენ წელ-ზემოთ გაშიშვლებულნი, ხელში ეჭირათ მათრახები, იცემდენ თავ-პირში და ტანში და ტიროდენ. ბევრ მათგანს თავისა და ტანის დახეთქილ კანიდან გადმოჩქეფდათ სისხლი

და ერეოდა ცრემლის ნაკადულს. უფრო დიდი ზარისა და ვაების ხმა იყო ზემოთ მოხსენებულ ქალაქებში, სადაც დანიშნული იყო, რომ ერისთვები უნდა მიჰგებებოდენ მეფის ცხედარს.

მცხეთის ქალაქის გარეთუბნები წიწამურისა და კოდმანის მინდვრები, აგრეთვე არმაზის გარემონი გადიჭედა სულ ახალ-გაკეთებული ხის სახლებით, რომ მოტირალნ შიგ თავი შეეფარებინათ; მაგრამ ვერც მცხეთა და ველარც მისი გარემონი მოსულ ერს ველარ იტევდენ. როცა მეფის ცხედარი შემოიტანეს წიწამურის ველზე, სასახლიდან დაიძრა ლიტანია; წამობძანდა დედოფალი, რომელსაც მოჰყვებოდა თავისი მამა, მოხუცებული დურძუკეთის მეფე და მისი სახლობა. წინ დედათა ქურუმებს მიჰქონდათ ოქროს სამ-ფეხზე წმინდა ცეცხლი. მათ წინ მიუძღოდა გუნდრუკით მთავარი მოგვი და ქურუმთა ბრბო ზარის გალობით. ისეთი ტირილისა და ვაების ხმა ატყდა, ისეთი გოდებისა და ზარის ცემა იყო, რომ თითქოს დედა-მიწა შეიძრაო და განკითხვის დღემ მოატანაო. დედოფალი თმა-გაწეწილი, შავით მოსილი და ფეხშიშველა მოდიოდა და მწუხარებით მოთქვამდა. ქურუმნი მის ხმაზე ზარით გალობას აყოლებდენ. ცხედარი ტახტრევანიდან გადმოიღეს; მას გარშემოადგა ქურუმთა ბრბო, წინ წმინდა ცეცხლი დაასვენეს, ერისთვები თავის დროშებით გარშემოერტყენ.

დედოფალმა როგორც დაინახა თავის ქმრის ცხედარი, იკივლა და სახე გაიპოტნა ისე, რომ მის ლოყებზე სისხლის ნაკადული ცრემლებს ერეოდა. ის მივარდა კუბოს, ზედ დაასკდა და გული შეუწუხდა. მამა მისმა, დურძუკის მეფემ, უცებ მოჰკიდა ხელი, აყნოსა სუნნელოვანი ამბრა, წალმა მოაბრუნა და წამოიყვანა.

მეფის ცხედარი მოასვენეს სამეფო დარბაზში. მისი ჭირისუფლები დასხდენ ტახტზე. გაიმართა ისევ იმ წესითვე ტირილი და მიტირილი, როგორც წინათ. ამგვარმა წესმა გაატანა ერთ კვირას, სანამ სულ მთელი საქართველოს დიდებულნი დაჰსრულებდენ რიგით ტირილს. შემდეგ წაიღეს მეფის გვამი არმაზის კოშკზე და დაფლეს მარმარილოს აკლდამაში არმაზის ანდრიატის წინაშე. ამას შემდეგ დედოფალი, ქუჯი, მისი მეუღლე და საურმაგი ჩასხდენ შავათ შემოსილ სამგლოვიარო შენობაში, რომელნიც მათთვის იყო აგებული სამეფო ეზოში და ერთ წელიზადს იგლოვდენ. ამ დროს განმავლობაში მთელმა საქართველოს ერმა ჩაიცვა შავი, მოუშვა წვერი და თმა დაიწნა, ნიშნათ გლოვისა. მოგვთაში და სამლოცველო კოშკებზე იყო ნიადაგ დღე მწუხარების ზარი და მსხვერპლის შეწირვა ფარნაოზის სულისათვის. ყოველ დღე არმაზის კოშკზე მიჰქონდათ მეფის ულუფა (წილი) სასმელ-საჭმელი და

მრავალნაირი სანოვაგე. ქართველებს რწამდათ, რომ საიქიოს მკვდრის სული ისე იკვებებოდა, როგორც სააქაოს ცოცხლები ცხოვრებენ[1]).

[1]) იხილე საქართველოს ზნე-ჩვეულებანი თეიმურაზისა და ვახუშტის ისტორიაში. აგრეთვე ზნე-ჩვეულებანი სვანეთისა და სამეგრელო-აფხაზეთისა. ავტ.

ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. გამოცემა № 91.

ილია ჭავჭავაძის

სასაღლო ბიბლიოთეკა, № 11.

გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების

სცენები

ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.

ტფილისი
მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა“, მოსკოვის ქუჩა, №5.
1908

ილია ჭავჭავაძე

დაიბადა ს. ყვარელში (თელავის მაზრა) 27 ოქტომბერს 1837 წელს. პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო სახლში; თერთმეტი წლისა მამამ მიაბარა ტფილისის ერთ კერძო პანსიონში, საიდამაც შემდეგ გადავიდა გიმნაზიაში.

1857 წელს გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მეოთხე კურსზე იყო, რომ თავი დაანება უნივერსიტეტს სტუდენტების არეულობის გამო, 1861 წ.

1863 წ. დაარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე", რომელიც გამოდიოდა ერთი წლის განმავლობაში.

1864 წ., მთავრობა რომ გლეხების განთავისუფლებას შეუდგა საქართველოში, ი. ჭავჭავაძე გაგზავნილ იქნა განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელედ ქუთაისის გუბერნატორთან, გლეხებისა და ბატონების ურთიერთობის გამოსაკვლევად.

ამავე წლის ნოემბერში დაინიშნა დუშეთის მაზრის მომრიგებელ შუამავლად, ხოლო 1868 წ. მომრიგებელ მოსამართლედ. 1874 წ. თავი გაანება სახელმწიფო სამსახურს და გადმოვიდა ტფილისში, სადაც მალე დაიკავა სათ.-აზნაურო ბანკის თავმჯდომარის ადგილი.

1885 წ. არჩეულ იქნა წ.-კ. საზოგადოების თავმჯდომარედ და ამ თანამდებობაში დარჩა სიკვდილამდის.

1877 წ. დაარსა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია", რომელიც შემდეგ გადააკეთა ყოველთვიურ ჟურნალად, ხოლო 1885 წ. დღიურ გაზეთად. 1902 წ. „ივერია" გადასცა სხვებს.

მწერლობა ი. ჭავჭავაძემ დაიწყო 1857 წ., როდესაც „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. შემდეგ მისი ნაწერები იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბეში“, „დროებაში“, „კრებულში“, „ივერიაში“, „მოამბეში“. მის კალამს ეკუთვნის პოემები: „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (კაკო ყაჩაღი), „დედა და შვილი“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „მგზავრის წერილები“, „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“, „სახჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, მრავალი პუბლიცისტური, პოლიტიკური და კრიტიკული წერილი: „ცხოვრება და კანონი“, „აი ისტორია“, „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ და სხ.

ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს 1907 წ. აგვისტოს 30-ს, ს. წიწამურის ახლო. დასაფლავებულია მთაწმინდაზე, ტფილისში.

გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები.

(ოთახი მიროვოის პოსრედნიკისა; სტოლი დგას, ზის მიროვოი პოსრედნიკი, რამდენიმე გლეხ-კაცი დგას, ორი მებატონე სკამებზედ სხედან)

პოსრედნიკი. აბა გლახა ჭრიაშვილო! რადგანაც შენ ყველაზედ წინ მოხვედი, შენ უნდა სთქვა, რა საქმე გაქვს ჩემთან.

გლახა ჭრიაშვილი. მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიდამ მეცოდინება. დიდიხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესა, რომ არა ვარ დიდიხნისა. ბატონი ჩემი—აი დამლახვრა ღმერთმა,—სულ არ მავიწყდება, რომ ეხლა ბატონი აღარ არის, მაგრამ ჩუეულება რჯულთ უმტკიცესიაო, კიდონ ბატონი წამცდება ხვალმე. ნუ შემრისხამთ, შენი ჭირიმე.

პოსრედნიკი. მაგისათვის შენ არავინ არ შეგრისხავს.

გლახა ჭრიაშვილი. ნუ შემაცდენ, შენი ჭირიმე, ჩვენ გლეხ-კაცნი ვართ, ყველაფერს მალე დავიჯერებთ ხვალმე. როგორ არავინ შემრისხავს, რომ ბძანებაა—ოც და-ხუთი მანეთი წაერთოს და ორმოც-და ათი როზგი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებსო.

პოსრედნიკი. ეგ ვინ გითხრა შენ?

გლახა ჭრიაშვილი. განა გლეხ-კაცი რომა ვართ, ზაკონის კანონი ჩვენ კი არ ვიცით, შენი ჭირიმე.

პოსრედნიკი. დღეის ამას იქით, იცოდეთ: ვინც მაგისთანა სულელურს ხმებს ჰყრის ხალხშია, თუ ჩავიგდე, ძალიან დავასჯევინებ. შენც გირჩევ, მეორედ მაგისთანა სულელობა არავისთან აღარ გაბედო. ეგ სულ ტყუილია და ამასთანაც საშარცხვინოა, რომ თქვენისთანა ჭკვიანი კაცები მაგისთანა სულელურს სიტყვებს იჯერებენ. მერე? თქვი, რა გინდა.

გლახა ჭრიაშვილი. მენა? შენი მშვიდობა და დღეგრძელობა, შენი ჭირიმე.

პოსრედნიკი. მაგის გარდა?

გლახა ჭრიაშვილი. ღმთისა და ხელმწიფის წყალობა.

პოსრედნიკი. შენ, ჩემო საყვარელო, თუ მარტო მაგისთვის მოსულხარ, მადლობელი ვარ, შეგიძლიან შინაც წახვიდე. ჰხედავ ხალხი მელის, მაგათი საჩივარიც უნდა მოვისმინო.

გლახა ჭრიაშვილი. არა, შენი ჭირიმე, მე-

ნაც მოსახსენებელი მაქვს. აგრემც ღმერთი დიდ დღეს მოგცემს, პატარა მომისმინე. ამათთვის დიდი ბედენა არ არის, რომ ცოტა კიდონ მოიცადონ. მოგახსენო, შენი ჭირიმე?

პოსრედნიკი. გეუბნები, სთქვი-მეთქი და შენ კი ხევის ბერისავით ლოცვა-კურთხევას მეუბნები, თითქო დასამწყალობელად მოსულხარო. აბა რა გინდა, სთქვი.

გლახა ჭრიაშვილი. მენა? ეს მინდა, შენი ჭირიმე, რომ პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა რა ვიცი? დიდიხნის კაცი არა ვარ, რომ ნუგზარ ერისთავი მხსომებიყო, ეს კი ვიცი, რომ სისხლის წვიმების დრო ყოფილა. (**პოსრედნიკი, თითქო მობეზრდა, მხრებს იწევს**) არა, ნუ გამიწყრები, შენი ჭირიმე, ერთი დალაგებით მომახსენებინე ჩემი გულის დარდი, როგორც ზაკონის კანონია.

პოსრედნიკი. ვინ გიშლის? ოღონდ ამას გთხოვ: ძალიან ნუ გააგძელებ, მოკლედ მითხარი.

გლახა ჭრიაშვილი. ოო, გადღეგრძელა ღმერთმა! მაშ ისევ თავიდამ დავიწყებ და ბოლომდინ გავალ, თუ მიბძანებ.

პოსრედნიკი. თუნდა თავიდამ დაიწყე, თუნდა ბოლოდან, ოღონდ კი მალე შემატყობინე, ჩემთან რა საქმე გაქვს.

გლახა ჭრიაშვილი. აი შენ ღმერთს კი ვენაცვალე! მაშ თავიდამ მოგახსენებ.

პოსრედნიკი. ბძანე.

გლახა ჭრიაშვილი. ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე. სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არავის მოუჭამია. მოსამართლე ხელმწიფის ყურია, უნდა ყველაფერი თავიდამ ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის, ამიტომაც მინდა ისევ თავიდამ დალაგებით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდამვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამაებისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხკაცი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არცკი დამინახავს, რა ფერია: წითელია, თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს, მაღალი ღმერთის ღმთის-რისხვა და თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, მართალს მოგახსენებ. აი ამიტომაც მინდა თავიდამ დავიწყო, ისე სჯობია, თავიდამვე დალაგებით მოგახსენო: პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ—ეს დიდი ხნის ამბავი გახლავს—ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო, ასე ამბობენ, თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცოდინება. დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია წვერ-ულვაშში ჭალარა გამომრევია, მაგრამ მაგარი ესა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედამთ, რომ გავთეთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმე, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში

ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოვკრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმერთს რისხვა არა მაქვს. თორემ რა გამტეხდა აგრე მალე. მენა ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო, (ჩაფიქრდეთ) რაღა სიტყვა გაგიგძელო, გაგიგძელდეს სიცოცხლე, იმ დღეს ჩვენ სოფელში რომ ბძანდებოდი, აი პატარა საყდარი არ გახლავთ, აი ხალხი რომ მოაგროვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი იქავ ჩვენებიანთ წინა—ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზედ წინ აშენებული. აბა მას აქედ რა ხანი უნდა იყოს გასული. ჩოტკის კაცი, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მაგას გამოიცნობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული, მაგრამ მაგარი ესა, რომ კაცმა შემომხედოს ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ აკი მოგახსენე, ის საყდარი ხუთის წლით ჩემზედ წინ არის აშენებული-მეთქი. მენა ახლა ასე, რომ მოგახსენებთ საყდარი-მეთქი, საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის ასე, რომა... ეჰ, რაღა სიტყვა გაგიგძელო, გაგიგძელდეს სიცოცხლე, მაინც და მაინც ადამიანი სულ სხვა არის. თუნდ ეგეც არ იყოს, მაინც ხომ საყდარი ქვა და კირია, ადამიანი კი სულ სხვა არის ასე, რომა...

ერთი მებატონეთაგანი. (ფიქრობ მოთმინებიდან გამოვიდა) ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კაი დალაგება გცოდნია.

გლახა ჭრიაშვილი. (დაცინებას ვერ მიხვედრია-ლი) რა ვქნა, შენი ჭირიმე, ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასაო.

იგივე მებატონე. ზოგჯერ, ძმობილო, თქმითაც დაშავდების.

მეორე მებატონე. დაეხსენ, სიტყვას ნუ აწყვეტინებ, თორემ მე რომ მაგისი ამბავი ვიცი, ეგ ისევ თავიდამ მოგვიყვება და შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნება.

ერთი გლეხთაგანი. რა დაგემართა, ადამიანო, ფეიქრის ქსელსავით გააბი და ალარ ათავებ.

გლახა ჭრიაშვილი. (გლეხს) კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო. შენა, შკილო, რა გიჭირს? სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მე კი არა მკითხავ, რა ნაღველი მაწევს.

პოსრედნიკი. კითხვით კი გკითხავთ და რომ არ იქნა ვერ შეგვატყობინე.

გლახა ჭრიაშვილი. ლამაზად კი დავიწყე და რომ არ მათავებინებენ. ჰო, იმას მოგახსენებდი: ის სიყდარი სულ არ იქნება ხუთის წლით ჩემზედ წინ აშენებული, დიდი ხნისა რად ვიქნები? მაგრამ მაგარი ესა, რომ მაინც და მაინც ჩემ წილს წყალს კიდონაც ჩაუვლია. მენა ბევრი, ბევრი, ძალიან ბევრი რომ ვთქვა — ერთი ხუთიოდ წელიწადი იქნება კიდონ ვიცოცხლო, ახლა ხუთი არ იყოს, შვიდი იყოს, შვიდი არ იყოს, ათი იყოს, სიტყვაა. ჯაფამ ძალიან გამტეხა. აი, შენი ჭირიმე, თოვლივით

კი გამათეთრა და,—ღმერთმა ასე თქვენც გაგათეთროთ.

პოსრედნიკი. მადლობელი ვარ დალოცვისათვის, სხვა?

გლახა ჭრიაშვილი. სხვა ისა, შენი ჭირიმე, რომ პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ, დიდი ხნის ამბავს მოგახსენებ—ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო, ასე ამბობენ თორ...

პოსრედნიკი. მე შენ როგორც გატყობ, დღეს შენის საქმის გათავებას არ აპირებ. მოდი ერთ რასმეს გირჩევ: პატარა ხანს იქით მიდეგ: მე ჯერ ამათ გამოვკითხავ თავიანთ საქმეს და მერე მომიყევ შენი ამბავი. შენთვისაც კარგია, უფრო კარგად მოიფიქრებ.

გლახა ჭრიაშვილი. უჰ, დღეგრძელობა მოგცეს ღმერთმა, ეგ ძრიელ კარგად ბძანე. დიდ კარგი გახლდებათ. გულის ყურს მოვიკრებ და უფრო დალაგებით მოგახსენებ. ახლა ხომ მოგეხსენება, გლეხ-კაცი ვარ. მართალია, ჩვენს სოფელში სიტყვა-პასუხიანს კაცს მეძახიან, მაგრამ მაგარი ესა, რომ მაინც კიდევ თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი სად მეცოდინება,—ერთი ბეჩავი გლეხი-ვარ. ასე, რომ ჩვენობაში სიტყვა-პასუხს კარგად გამოვიყენებ, თქვენთან კი მოფიქრება სჯობია. ეგ კაი სიტყვა ბძანე: ჩემთვის ლამაზად გულის ყურს მოვიკრებ, ახლა გლეხ-კაცი ვარ, ბევრი რამ მავიწყდება ასე, რომ ნახევრის ნახევარიც ვერ მოგახსე-

ხე. რომ მოვიფიქრებ და მოვისაზრებ კი ყველაფერს ზღაპარსავით მოგახსენებ, ასე რომა თქვენ. . . .

პოსრედნიკი. კარგი, კარგი. (მეორე გლეხს) აბა, ეხლა შენი რიგია. რას იტყვი? (ამ დროს შემოდგა მოხუცებული აზნაურშვილის ქვრივი).

ქვრივი. (სხაპასხუპით). თქვენმა მზემ ეს მეორედ მოსვლის ნიშნებია, ღმერთო, დაგვიფარე (იწყრს ჯერ ჯვარს). რა ამბავი მოხდა, თქვენი ჭირიმე! სისხლით ნაშოვნი ყმები, მეფე ერეკლის თორმეტის ბეჭდით დამტკიცებული ოქმები თავზედ დაგვახიეს კი და! (გლეხებს) გიხარიანთ განა, თქვე უბედურის შვილებო! ჰი!... (ქოქოლას აურის) მეხი კი დავაყარე თქვენ ტილიან თავებს!.. როგორ კასერ მოღერებულები დგანან გუშინდელი მატლები!.. უუ, უწინამც დღე გაგქროზიათ! . . .

პოსრედნიკი. მე გთხოვთ მაგათ თავი დაანებოთ და თქვენს გაუფთხილებელ სიტყვებსა ცოტაოდენი პატივი დასდვათ, აქ მოედანი არ არის. თუ რამ საჩივარი გაქვთ, მერე მიბძანეთ. ჯერ ამათ უნდა მოვუსმინო, რადგანაც ესენი თქვენზედ წინ არიან მოსულნი.

ქვრივი. (ისევ სხაპასხუპით) სულაც არა თქვენმა მზემ! ვინ მოგახსენათ? მაგათ ჩემზედ წინ უნდა ილაპარაკონ, მაგათ? მაშ მე კეთილშობილის ქვრივი ალარა ვყოფილვარ, მაშ მე. . .

პოსრედნიკი. დამშვიდდით. წესისა და რიგის აღსრულებით თქვენ თქვენი კეთილშობილება არ ჩამოგერთმევათ. სამართალი ამას ითხოვს, რომ, ვინც

წინ მოვა, ყველაზე უწინარეს საქმე იმას უნდა გაუთავდეს.

ქვრივი. სულაც არა თქვენმა მზემ! აზნაურიშვილს, წინ მოვა თუ მერე მოვა, გლეხთან ყოველთვის პირველი ადგილი აქვს, თავადს კიდენ აზნაურთანა. ჩვენც ვიცით კანონები, აქაო და თორმეტი შკოლა არ გამოგვივლია, ასე გგონია, არა ვიცოდეთ-რა. მეფე ვახტანგის კანონი ჩვენც წაგვიკითხავს. თუ ეს კანონებიც შეუცვლიათ, გამოგვიცხადეთ მაინცა (გლეხებს) აი თქვე გველის წიწილებო, გიხარიანთ განა!..

პოსრედნიკი. უმორჩილესად გიხოვთ მაგათ თავი დაანებოთ და იმ ადგილს, საცა ბძანდებით, პატივი დასდვათ და სიტყვა ფრთხილად იხმარეთ.

ქვრივი. (გულგამოგულდარად) აბა ეხლა აგვიშენდა ჩვენ კეთილშობილებს ოჯახები, აი. თქვენც ჩვენი მიწა-წყლის შვილს, კეთილშობილის სისხლსა და ხორცს ამათი მხარე გჭერიათ. აბა თქვენგან რაღას უნდა მოველოდდეთ? (გლეხებს) დახე, დახე ამ ცოდვიშვილებს, რა ღიმილი მოსდით! (მიუბრუნდება მეპატონეებს) რას გაჩუმებულხართ, კაცები არა ხართ, ხმას ვერ ამოიღებთ? ცა თავზედ გვექცევა. (პოსრედნიკს) აბა მე რაღა მეთქმის!.. რაღა სამართალი უნდა მომეცეს თქვენგან, თქვენც ამათი მხარე გჭერიათ, კეთილშობილის ქვრივს მეუბნებით, სიტყვა ფრთხილად იხმარე გლეხ-კაცთანაო. ისღა დაგვრჩენია: გულზედ ხელები დავიკრიბოთ და წყალში ჩავცვივდეთ. სხვა რა გზა გვაქვს. თქვენი ჭირიმე, ეს

რა მესმის: გლეხთან ენა მოიკვნიტეო!.. მაშ ჩვენ რალა ვყოფილვართ. (გლეხებს) გიხარიანთ განა! დაიცადეთ, შხამად ამოგივათ ეგ სიხარული. (ბოსრედნიკს) ამ დალოცვილმა ხელმწიფემ, ვსთქვათ, ყმები ჩამოგვცართვა, კეთილშობილება ხომ არ ჩამოურთმევია, რას გვემართლებით?

პოსრედნიკი. მესამედა გთხოვთ, ღონის-ძიება მომცეთ ამ გლეხებს საჩივარი მოვუსმინო. დაბძანდით, თქვენი რიგიც მოვა.

ქვრივი. რაო? მე განა მაგათი ამხანაგი ვარ, რომ მაგათ რიგში ჩავდგე, მაგ კახურ ღორებშია. უწინამც დღე გამქრობია!..

პოსრედნიკი. (მოთმინებიდამ გამოსული) მე ძალიანა ვწუხვარ, რომ თქვენ თქვენის ურიგო ლაპარაკით იძულებულ გამხდით, გთხოვოთ აქედამ გაბძანდეთ.

ქვრივი. (ბატარად ფიქრ-მიცემული) რადა, თქვენი ჭირიმე, რისთვის? კახური ღორები რომ ვსთქვი, სხვა ხომ არაფერი. მაშ განა ტყუილია? ბატონო, ეგენი არ არიან, რომ ოცდა ხუთ-ხუთ მანეთად დააფასეს! კახური ღორი, თქვენმა მზემ, ზოგჯერ მეტადაც იყიდება. მაგ სულელებს ფიქრადაც არ მოუვიდათ, რომ ერთი ოცდა ხუთ-ხუთიოდ მანეთი თითონ ზედ დაეყარათ, რომ კაცი კაცის ფასად გასულიყო. აი გლეხები მაგისთანა უსვინდისონი არიან, აი, რომ თავის თავის ფასიც არ იციან. თქვენ კი მიბძანებთ, გლეხთან სიტყვა ფთხილად იხმარეო. აბა როგორ ვიხმარო, მაგის ღირსნი არიან განა

ეგენი?.. მშვიდობით ბძანდებოდეთ, ღმერთმა თქვენ მშვიდობა მოგცეთ და ჩვენ კი ჩვენს სიცხლს არ დავკარგავთ. მშვიდობით, მე თქვენთან ღმერთმა დამიფაროს, რომ კიდევ მოვიდე, თქვენ გლეხების მხარე გჭერიათ. მშვიდობით!..

პოსრედნიკი. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ქვრივი. მაშ მითხოვთ რაღა? კეთილშობილის საჩივარის მოსმენა არ გინდათ?

პოსრედნიკი. მე არ გითხოვთ, თუ თქვენს რიგს მოუცდით და რიგიანად ილაპარაკებთ.

ქვრივი. მაგას თავის დღეში ჩემს თავს არ ვაკადრებ. ღმერთმა დამიფაროს, თქვენთან ვიჩივლო როდისმე. აზნაურსა და კეთილშობილს თქვენთან სამართალი არა ჰქონია. (ქვრივი გავა და მეორე ოთახში შეხვდება სხვა მებატონეს. ამათი დაპირკების ხმა ისმის პოსრედნიკის ოთახში).

მებატონე. ჩემო რძალო, სად მიბძანდები?

ქვრივი. ჯანაბას, ჩემო მაზლო, ჯანაბას! ეხლა დაგვიდგა ჩვენ თვალი, რომ მაგისთანა მოსამართლე დაგვინიშნეს!

მებატონე. როგორ?

ქვრივი. ასე რომ შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოდგეო; გლეხთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შიშით უნდა ამოიღოვო; არ უნდა უჩივლო გლეხსაო. თქვენთვის ეხლა სამართლის კარი დახშულიაო; რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო; მე თქვენს საჩივარს

ყურსაც არ ვათხოვებო; ბატონყმობა გადავარდაო და თქვენ ვილა ყრიხართო, სწორედ ამ სიტვით, ვილა ყრიხართო.

მებატონე. (შეკრთომით) არა თუ ღმერთი გწამს?

ქვრივი. თქვენზედ მიწა არ მენახოს.

მებატონე. არა ისე სთქვა, თქვენ ვინა ყრიხართო!

ქვრივი. სწორედ მაგ ლექსით. მერე კიდევ რაო? (ჩაფიქრდება და იგონებს) ასეო, ისეო, თქვენ ვინა ყრიხართო. მერე ვისთან მითხრა? ოთახი სავსეა იმ ძაღლის გავარდნილებითა.

მებატონე. არა მჯერა.

ქვრივი. შედი და დაიჯერებ. მე კი ღმერთმა დამიფაროს, მაგასთან ვიჩივლო, ვილაცა გდებულა ეგ თქვენი მირუა, თუ ვილაცა.

მებატონე. (შედის ბოსრედნიკის ოთახში; ქვრივი ჯუჯრუტანიდამ იყურება ყურებ-აცქვეტილი). პოსლადნიკს ვახლავარ, მე გახლავარ...

პოსრედნიკი. კარგად გიცნობთ დაბძანდით, თქვენი ჭირიმე (სკამს მოუდგამს. მებატონე ჯდება).

მებატონე. (თავის თავად) ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებს! ეს კაი თვალითა ვნახე. (ამდრობს გაიდება კარები და შემოვარდება ისევ ის ქვრივი).

ქვრივი. თუმცა თქვენ არ გინდათ ჩემი საჩივარი მოისმინოთ, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი, ჩემს საჩივარს ვიტყვი. თუ სამართალს არ მამცემთ, დაილოცა ხელმწიფე, თქვენზედ დიდი მო-

სამართლეებიცა ჰყავს; მარტო თქვენს ანაბარად არა ვართ გაშვებული.

პოსრედნიკი. აი სკამი ინებეთ. ჯერ ამ გლეხს უნდა გამოვკითხო თავისი საჩივარი. (გლეხს) აბა რასა სჩივი შენ?

მეორე გლეხი. მენა იმასა ვჩივი, შენი ჭირიმე, რომ ბატონმა ვენახი ჩამომართო, მამა-პაპის აშენებული.

პოსრედნიკი. რამდენი ხანია მას აქედ?

მეორე გლეხი. იქნება ერთი ათი-თორმეტი წელიწადი. მე მაშინ ლამის მეხრეობა შემძლებია, როცა ეგ მომხდარა

ქვრივი. (აწუვეტინებს გლეხს სიტყვას). მე მაგას ვერ მოვითმენ, რომ მაგან ჩემზედ ადრე საჩივარი მოგახსენოს. მე კეთილშობილის ცოლი ვარ, კეთილშობილის სისხლი მიდგა. მე ჩემს საჩივარს მოგახსენებ: ჩემმა გლეხმა ..

პოსრედნიკი. (წურბმით). ბატონო, გთხოვთ ლონის ძიება მომცეთ ჯერ ამას მოვუსმინო. (გლეხს). რაო, რა სთქვი, როდის ჩამოგართო ვენახი?

მეორე გლეხი. ერთი ათი-თორმეტი წელიწადი იქნება, შენი ჭირიმე!

ქვრივი. ჩემმა კაცმა...

ახალი მოსული მებატონე. ჩემო რძალო! დაიცალე, რას გეეხირები ხოლმე ლაპარაკში.

ქვრივი. ვის დავიცალო, ვისა?.. ამ ტყლაპსა!.. ოჰ, დიდი რამ მომხდარა, თუ მებატონეს მაგისათვის ვენახი წაურთმევია. კარგია, რომ ეგ თითონ

ძაღლზედ არ გაუცვლია. ვერ უყურებთ! რა დრო მოვიდა? რაზედ ჩივიან? აი გვცოდნოდა, მე ვიცოდი, როგორც ძაღლის ლეკვებზედ გაგცვლიდით. დააცალე! უკაცრაოდ. მე ის არ გახლავარ, მითხრან: დაჯექ, დავჯდე; მითხრან: ადეგ, ავდგე. კეთილშობილის ცოლს მეძახიან, მე ჩემის თავის პატივი ყველგან ვიცი. (ბოსრედნიკს) არა თქვენგანაც მიკვირს, მაგისთანა ზღაპრებს ყურს როგორ ათხოვებთ? ვენახი ჰქონია და ბატონს წაურთმევია. დიდი რამ მომხდარა, თქვენმა მზემ! როგორ გაუბედნია მებატონეს!.. (გდეხს). მეხიკი დავაყარე თქვენს თავს!.. კიდეც რომ.. სჩივიან. ვერ უყურებთ, ბატონზედ სჩივიან. აი სად არის ის დრო, რომ ეხლა შენი ბატონი მაგისათვის არ გაგაწვენინებს და ფეხებიდამ თავამდე ტყავს არ აგაძრობს. კიდეც რომ სჩივის? უი უწინამც დღე გაგქრობიათ!.. (ბოსრედნიკს). განა მაგათ საჩივარიც შეუძლიანთ მებატონეებზედ! მაგრამ რა? თქვენ მაგათი მხარე გჭერიათ და ყველაფერს ნებას მისცემთ, ვინ არის პატრონი.

ბოსრედნიკი. (მოთმინებიდამ გამოსული). მე იმოდენა მოთმინები ვიქონიე, რომ თქვენს უსაქმო ლაპარაკს აქამდინ ყური ვუგდე. რადგანაც ეხლა ვხედავ, რომ მაგ უთავ-ბოლო ლაპარაკს ბოლო არა აქვს, გთხოვთ ან თავი დაგვანებოთ და შინ წაბძანდეთ, ან დაბძანდეთ და ხმა აღარ ამოიღოთ, მინამ თქვენი რიგი არ მოვა.

ქვრივი. (სხაპასხუპით) ჩემმა გლეხმა ამ ორის

კვირის წინად ქალი გაათხოვა, მღვდელმა უჩემოდ ჯვარიც დასწერა და საჩექმეს არ მაძლევს. მე გთხოვთ საჩექმეც წამირთოთ, როგორც რიგია და კანონია და მღვდელიც გააკრეჭინოთ. (გლეხებს). ოლოლო თქვენ!.. დაგასწარით, თუ არა! ჰი! ეხლა თუნდ საღამომდინ ვიჯდები. მე ჩემი კი შევასრულე და!.. ხმასაც არ ამოვიღებ, ო თქვენმა მზემ, ეხლა ხმასაც არ ამოვიღებ. (ჯდება სკამზედ და გამარჯვებულივით აქედ-იქით იყურება).

პოსრედნიკი. (გლეხს). შენ, ჩემო ძმაო, ის ვენახი ველარ დაგიბრუნდება, რადგანაც შენ თითონ ამბობ, ათი-თორმეტის წლის წინად ჩამომართოვო.

მეორე გლეხი. დიაღ, წინ[illegible] ეგ ამბავი, — კაცმა მართალი უნდა სთქვას.

ქვრივი. (თავის მაზლს მებატონეს). გაიგე, ჩემო მაზლო, ჩემო ძმაო! აი მეხი-კი დავაყარე მაგის კეთილშობილებას, ჩვენ სახლიდამაც გვაგდებს და მაგ ტილიან გლეხს კი „ძმაოს“ ეუბნება.

მეორე გლეხი. მაშ მენა აღარა მეშველებარა, შენი ჭირიმე!

პოსრედნიკი. თუ კანონზედ მივარდა საქმე, ვერაფერი, მაგრამ მე შენ მებატონესთან მოვილაპარაკებ, იქნება შეგებრალო და თითონ თავის ნებით დაგიბრუნოს.

მეორე გლეხი. მადლობელი, შენი ჭირიმე, შენი (გაგა).

ქვრივი. (თავის მაზლს ჩუმად) ვისი კაცია? (მაზლი ჩუმად ეუბნება, ვისიც არის) კიდეც იმიტომ! .

ის დიდი კაცია მაგის ბატონი და იმიტომაც მაგ ტურტლიანს ვერა უშველარა. მეც არ გამიკვირდა, გლეხი როგორ გაამტყუნა-მეთქი, — თურმე ნუ იტ-ყვი, იმისი ჰშინებია.

პოსრედნიკი. (პირველს მებატონეს). აი თქვენი გლეხიც ჩემს დაბარებაზედ გიახლათ, რას უჩივით?

პირველი მებატონე. ვხედავ. მაგაზედ ჩემი ხუთი თუმანი ყალანია და აი რამდენჯერ მითქვამს და არ მაძლევს.

პოსრედნიკი. (ამ მებატონის გლეხს). მართალია, რასაც შენი მებატონე გიჩივის?

გლეხი. ჰაი, ჰაი, მართალია. (მებატონეს). მა-გრამ, ბატონო, მაგისათვის რად შეიწუხეთ თავი. აკი მოგახსენეთ, კავკავს ურმები გავისტუმრე და რაწამსაც ჩამოვიტანენ, მაშინვე მოგართმევ-მეთქი.

პოსრედნიკი. მაშ, შენ თანახმა ხარ, მიართვა ეგ ფული?

გლეხი. ჰაი, ჰაი! მაშ არა? მაგისათვის ჩემს სულს როგორ დავუმძიმებ. რაც თავი შემისწავლია, შენი ჭირიმე, მე ვინახავ მაგათა, მაგათის მადლით ღმერთი მეც ბლომად მაძლევს. მე ჩემს მებატონეს როგორ ვუღალატებ, ღმერთი მაგათ მაგიერ მიხდის. (მებატონეს) ბატონო, შენი ჭირიმე, რაკი ეგრეა და ძალიან გიჭირს, დღესვე ავიღებ ვალადა და თქვენ კი არ შეგაწუხებთ. მეტყოდი, შე დალოცვილო, თუ ძალიან გიჭირდა და ღვთის მოღალატე ვიქნე-ბოდი, თუ თავი ქვას არ მეხალა და არ მეშოვნა.

მაგისთვის როგორ გაჩივლებდი! ვაი შენ, ჩემო თავო!.. საჩივრად საქმეს როგორ გაგიხდიდი.

პოსრედნიკი. ბარაქალა, რომ აგრე მუყაითი ყოფილხარ შენის მოვალეობის აღსრულებისათვის; წადი, უშოვნე და ჩააბარე.

გლეხი. ჰაი, ჰაი, ჩავაბარებ დღესვე; (მებატონეს) წამობძანდები, ბატონო?

(მებატონე ადგება და გაჭიკვება გლეხს).

ერთი მოხუცებული მებატონე. (თავისთავად ხმა-მაღლა) ვინა სთქვა,—გლეხმა ჩვენზედ გული აიყარაო. მიუქარავს, ვინც ამას იტყვის დღეის შემდეგ. კაი კაცი ყოველთვის კარგი იქნება.

პოსრედნიკი. დიაღ, პატიოსანი გლეხი ყოფილა (მოხუცებულს მებატონეს) ახლა თქვენი საქმე უნდა გავარჩიოთ. ეს თქვენი ნაყმევი იაკო შაიაშვილი იძიებს თქვენგან ერთ რაღაც მიწას საკუთრებად; აი ნასყიდობის ქაღალდიცა აქვს (მიაწოდებს ქაღალდს).

მოხუცებული მებატონე (დიმიდით). მე, შენი ჭირიმე, უწინდელი კაცი ვარ, კითხვა არ ვიცი, (გლეხს) იაკო! ეგ რა მიწაა?

იაკო შაიაშვილი. აი, შენი ჭირიმე, ღელის მიწას რომ ეძახიან, ჩვენებიანთ მიწის გვერდზედ, ალმა-დალმა მიწა.

მოხუცებული მებატონე. ის განა ნასყიდია? როდინდელი?

იაკო შაიაშვილი. პაპი თქვენისაგან უყიდნია პაპა-ჩემსა.

მოხუცებული მებატონე. პირველად მესმის. მაშ პაპი-ჩემის ხელი უნდა ეწეროს მაგ ქაღალდზედ. ცხონებულმა წერა კარგად იცოდა. ბიჭო და, თუ ნასყიდი იყო, ღალას რალად მაძლევდი.

იაკო შაიაშვილი ბატონი იყავ და გაძლევდი, მე რა წინააღმდეგობა შემეძლო. მენა და შენა იმისთანა ბატონ-ყმობა არა გვქონია, რომ ამელო თავი და სხვასავით მეჩივლა. ღალას რად გაძლევდი? იმიტომ გაძლევდი, რომ შენზედ მენა ჩემი დღენი არა დამკარგვია რა. ჩვენი ბატონ-ყმობა ბატონ-ყმობა არ იყო, სესხი და ვალი იყო: მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი. ჩვენთვის ბატონ-ყმობა არ გადავარდნილა, ისევ ისე შენ ერთგულ იაკოდ მიგულე.

მოხუცებული მებატონე. მაშ თუ აგრეა, ჩემო იაკო, ეგ ქაღალდი ჯერ ჩემთვის უნდა გეჩვენებინა. მე და შენში სხვა კაცი რა საჭირო იყო? ისეც მოვშველდებოდით. ეგეც რომ არ იყოს, ერთი ორიოდ დღის შავ მიწას როგორ დავიშურებდი შენთვის: შენი დღენი ჩემს ერთგულებაში დაგიღამებია.

იაკო შაიაშვილი. ნუ მიწყენ, შენი კვნესა მე. რა ვიცი! საშვილიშვილო საქმეა. მენა და შენ რომ ცას შევბერებულიყავით, მაშინ არა მენა ღვლებოდა-რა, შენთან არა გამიჭირდებოდა-რა. ვინ იცის, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, რა მოხდეს? ქაღალდს დამტკიცება უნდა. იქნება ტყუილიც არის, ვინ იცის? ნუ მიწყენ, შენი ჭირიმე! საშვილიშვი-

ლო საქმეა, ბატონო, და თუ მართლა წყენულობ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე იაკომ ეს ქალალდი შენის ჭირის სანაცვლოდ გახადოს. ორი დღის მიწისთვის შენ დაგკარგავ?! ამ ფარატინას ჩვენს სიყვარულს როგორ დავარღვევინებ!

ქვრივი. (თავის თავად ბუტბუტებს) ოო, შე ჭრელო გველო, ფარისეველო! რა რიგად უძვრება გულში!.. უი ნეტავი ერთი შენი ბატონი მე ვიყო!..

მოხუცებული მებატონე. მართალი ხარ, იაკო, საშვილიშვილო საქმეა. (ტოტა ადგილებით). მე აღარა მეთქმის-რა. (ბოსრედნიკს) აბა ერთი წაიკითხეთ, რა სწერია. აი, ბატონო პოსრედნიკო, პურმარილობა ბატონ-ყმობაშიაც ყოფილა თურმე! (ბოსრედნიკი ჩკითხულობს ქაღალდს).

პოსრედნიკი. (ბოლოს) „ხელს ვაწერ უთრუთი... შვილი“.

მოხუცებული მებატონე. უთრუთი პაპა-ჩემი გახლდათ. (გლეხს). მაშ რაკი აგრეა, თუნდ შენი ერთგულობა და პურმარილიც არ მახსოვდეს, მაინც და მაინც პაპა-ჩემის ნაფურთხსაც არ ვუღალატებდი. მე, მართალია, ერთი ღარიბი აზნაურშვილი ვარ, ერთი ორიოდ დღის მიწა ჩემის სახლობისთვის დიდი რამ არი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, პაპი-ჩემის სახელს მე მჩვრად არ გავხდი. მომიცია შენთვის, ჩემო იაკო, ღმერთმა კაი კაცობაში გამოგიყენოს!

ქვრივი. (წაბუტბუტებს) მიუცია!.. მუხრან-ბატონი მობძანდა და უწყალობა!.. დიაღ, სწორედ დაგიმადლებს კი!..

მოხუცებული მებატონე. (თითქო ეწყინაო). ყველას, ჩემო დაო, თავისი თავი აბარია. მე მუხრან-ბატონი არა ვარ. მე ერთი ღარიბი აზნაურთაგანი ვარ, რომელსაც ერთი ლუკმა ღარიბული პური აქვს და ჰცდილობს, რომ ის ლუკმა შეერგოს, დამიმადლებს, თუ არა—ეგ თითონ იცის. მე კი როგორც მივლია, საფლავის კარებამდინ ისევ ისე ვივლი. (გლეხს) იაკო! მე და შენ, მგონი, ერთმანეთზედ გულს არ ავიყრით!

იაკო შაიაშვილი. უწინ ჩემზედ მიწა გენახოს! შენი ჭირი მენა ვარ, ჩემი ლხინი შენა ხარ, გულს როგორ ავიყრი.

მოხუცებული მებატონე. (ლმობიერად). დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი: გაუყრელს ვერავინ ვერ გაჰყრის (ბოსრედნიკს). აბა, შენი ჭირიმე, ერთი ქაღალდი დაგვიწერეთ, ხელი მოვუწეროთ, თორემ (სარტყელს ორივე ხელით იბღერტს და ღიმილით) ლამის უჭმელობით გავწყდე.

პოსრედნიკი. ეხლავ, ჩემო ბატონო! (ბოსრედნიკი სწერს მორიგების ქაღალდს და დაწერის შემდეგ ხმამაღლა ჰკითხულობს).

მოხუცებული მებატონე. ძალიან კარგი. (ქვრივის მაზლს). მე წერა არ ვიცი, აი ჩემი ხელი, ჩემ მაგიერ ხელი მოაწერე. (შებატონე ხელს აწერს). ეხლა ხომ შეგვიძლიან, შინ წავიდეთ.

პოსრედნიკი. შეგიძლიან წაბძანდეთ. მადლობას მოგახსენებთ მშვიდობიანად მორიგებისათვის.

გასაგონადაც სასიამოვნოა მაგისთანა სიტკბოებითი მეზობლობა, როგორიც თქვენა გქონიათ.

მოხუცებული მებატონე. მაგას ნუ ბძანებთ, —სასარგებლოა, სასარგებლო, თორემ ჩემს სიტყვას მოიგონებთ. (გლეხს მხიარულად). წამო, იაკო, ერთი ჩვენ კაკალ ქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელ-ახლად დავიძახოთ მე და შენ: „ბატონისა ვარ ლა-ღი ყმა, მტერო, არ შეგეპოვები“-თქო და სხვამ რაც უნდა სთქვას. მშვიდობით! (გლეხიცა და მოხუ-ცებული მებატონეც გადიან).

პოსრედნიკი. (მესამე გლეხს). შენ ამათი (უჩვე-ნებს ქვრივის მაზლზედ) ნაყმევი არა ხარ?

მესამე გლეხი. ჰაი, ჰაი რომ მაგათი ვარ.

ქვრივი. (თითქო თავის თავს ელაპარაკებაო მწუ-ხარებით). უი ამ დღის მნახველს! ნაყმევიო და არა ყმაო!.. ღმერთო! რას შეგვასწარ!..

პოსრედნიკი. ეს თქვენი ნაყმევი მოგახსენებთ, რომ ამ წლის თებერვალში სამის დღის მიწა ჩამო-გირთმევიათ.

ქვრივის მაზლი. მართალია. ჩემია და ჩამო-ვართვი ყოვლად მოწყალე ხელმწიფის ბძანებითა.

პოსრედნიკი. სწორედ ვერ შეგიტყვიათ: გა-მოცხადების დღის აქედ მებატონეს მთავრობამ ნე-ბა არ მისცა, რომ გლეხს ჩამოართოს რამე. ვიდრე დებულების ოქმი დაიწერება, იმ დრომდე გლეხს ის უნდა ეჭიროს, რაცა სჭერია.

ქვრივის მაზლი. ოქმი დიდი ხანია, თქვენმა მზემ, დაწერილი მაქვს და ყუთშიაც მიდევს. მეფე

ერეკლეს ოქმია. რომ გაშალოთ, ამ ოთახს თავიდამ ბოლომდინ გასწვდება, თორმეტი მეფედ მეფის ბეჭედი აზის, ხონთქარსაც ხელი უწერია. აი თორემ ჩემმა რძალმა კარგად იცის.

ქვრივი. როგორ არ ვიცი! იმითი გვიდგა სული, თორემ ჩვენ რა ვიქნებოდით. ის რო არა გვქონდეს, ხომ სულ ყველაფერს ჩამოგვაცლიდით და ამ დასამიწებს მისცემდით.

პოსრედნიკი. მე მაგ ოქმს არ მოგახსენებთ.

ქვრივის მაზლი. სხვა ოქმი კი, სწორედ მოგახსენო, ჩვენ არა გვაქვს. არა, ჩემო რძალო, მგონია, არა გვაქვს.

პოსრედნიკი. რასაკვირველია ის ოქმი, რომელსაც მე მოგახსენებთ, თქვენ არ გექნებათ. ეხლა უნდა დაიწეროს. იმას დებულების ოქმს ეძახიან, რომელშიაც გამოცხადებული უნდა იყოს, თქვენგან რა ერგება გლეხს და გლეხისაგან რა გარდასახადი გერგებათ თქვენ.

ქვრივის მაზლი. თქვენც არ მამიკვდეთ, ჩემგან გლეხს არა ერგოს-რა, და თუ იმისგან მარგუნებთ რასმეს, ეგ თქვენ იცით. ქაღალდის დაწერით რომ არ შეგაწუხოთ, განა უქაღალდოდ კი არ დაგჯერდებით? ერგოს რამე!.. რა უნდა ერგოს ჩემს ყმასა ჩემგანა? რა ჩემი ძმა არის? შენც არ მომიკვდე, მე ახალი ოქმი არ ვინდომო. აბა რა? მეფე ერეკლეს ოქმი იქით მიაგდეო და ახალი დაწერეო. ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ ინება, ყმა გაანთავისუფლა; მიწაო, ბძანა, ბატონისა არისო. მე ჩემი

ჩამაბარეთ, მაგას თავისი თავისუფლება მიეცით. აღარც ოქმი და აღარც დავიდარაბა. მშვიდობით და გამარჯვებით. არა, ჩემო რძალო?

ქვრივი. დიაღ, თქვენმა მზემ! თუ მართალი გნებავთ, მართალიც ეგ არის.

პოსრედნიკი. მცირე მამულიანი მებატონე ხომ არა ბძანდებით? სულ რამდენი დღის მიწა გექნებათ?

ქვრივის მაზლი. (ასე გგონია ეწყინოთ). მცირე მამულიანი რად ვიქნები? (ტრაბახობით). მე, სულ ცოტა რომ ვსთქვა, ერთი ოთხას-ხუთასიოდ დღისა მეტი მაინც მექნება.

ქვრივი. (პოსრედნიკს) წიგნში ჩაწერეთ, შენი ჭირიმე, ჩემის ობლების ნუგეშო, რომ ნახევარი ჩემის ობლებისა არის.

ქვრივის მაზლი ახლა, ჩემო რძალო, რა არი, მაშინვე პირში მივარდები ხოლმე კაცსა. (ჩუმად). ვატყუებ.

ქვრივი. (ჩუმად). მეტყოდი, შე დალოცვილო, ხმას ამოვიღებდი? (ხმამაღლა). დიაღ, მარტო მაგის წილად ხუთასისა რომ არ იყოს, არც კი ბევრით ნაკლები იქნება. მაგრამ მაინც და მაინც კი ერთი მაგოდენა ჩემს ობლებს უნდა ერგოს. წიგნში ჩაწერე, შენი ჭირიმე, რომ მთავრობამ იცოდეს.

პოსრედნიკი. მე იმისთვისა გკითხეთ, რომ, თუ ვინიცობაა სამოცს დღეზედ მეტი არ გექნებოდათ, მაშინ ნება გქონდათ ამ ორის წლის შემდეგ თქვენის ნაყმევებისათვის ჩამოგერთოთ მიწები სრულიად.

და ეხლა კი ჩამორთმევა მაინც და მაინც არ შეიძლება.

ქვრივის მაზლი (წყრომათ). რა არის, ჩემო რძალო, პირში მომვარდები ხოლმე და ადამიანს სიტყვას არ მოაფიქრებინებ. აბა სადა გვაქვს ოთხას-ხუთასი დღისა, რომ მოჰყვები ხოლმე.

ქვრივი. მერე ვინ ამბობს, რომ გვაქვსო? არც ხუთასისა იქნება და არც ოც-და-ათისა, ორივეს წილს მოგახსენებ. ხუ...თა...სი კი არა! ნეტავი იყოს და დაე ამ დასამიწებსაც ჰრგებოდათ.

პოსრედნიკი. მაგას მერეც გამოვიძიებთ. ეხლა კი თქვენ ის სამის დღის მიწა თქვენს ნაყმევს ისევ უნდა დაუბრუნოთ.

ქვრივის მაზლი. რატომ? მიწა ხომ ჩემია. ასე არ ინება ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ?

პოსრედნიკი. დიაღ, თქვენია.

ქვრივის მაზლი. თუ ჩემია, მევე მამეცით; მინდა, რომ ჩემი იყოს. მე მინდა, ჩემი მიწა მევე მოვიხმარო. ხათაბალაა, შენია და შენი კი ნუ იქნებაო, გაგონილა!

პოსრედნიკი. თქვენია, მაგრამ მთავრობამ გლეხის ნაჭერი მიწები ისევ გლეხს მისცა სახმარებლად, რომ თავის ცოლშვილი გამოკვებოს, ხელმწიფისა და მებატონის ხარჯს გაუძღვეს და თქვენ კი, იმის ნიშნად რომ მიწები თქვენია, დაწესებული გარდასახადი უნდა მოგართოს.

ქვრივის მაზლი. არ მესმის. ერთი ეს მიბძანე: მიწა ვისია?

პოსრედნიკი. მოგახსენებთ, მებატონისა-მეთქი.

ქვრივის მაზლი. თუ მებატონისაა, გლეხს რა-ლად აძლევთ? მაშ სახელი ჩემი ყოფილა და სახრა-ვი კი იმისი. ჰო, ეხლა კი მივხვდი, რაღას მაწვა-ლებ, შე დალოცვილო, აგრე მეტყოდი, რომ შე-ნი არ არის-თქო.

პოსრედნიკი. (მოთმინებიდამ გამოსულსავით). ერ-თის სიტყვით, ის სამის დღის მიწა, რომელიც თქვენ, თქვენისავე სიტყვით, ამ თებერვალში ჩამო-გირთმევიათ, გლეხს უნდა დაუბრუნოთ.

ქვრივის მაზლი. მაშ ის მიწა სწორედ უნდა დაუბრუნდეს?

პოსრედნიკი. ყოვლის უარის უთქმელადა და თუ ჩამოსართმევია, თითონ კანონი ჩამოართმევს თავის დროზედ.

ქვრივი. (თავის მაზლს). აკი გითხარ, დაბალი ლობე გნახა-მეთქი. რატომ იმ გლეხს კაცს არ დაუ-ბრუნა ვენახი, თუ აგრეა?

ქვრივის მაზლი. მე, მგონია, კანონი დიდისა და პატარისათვის ერთი უნდა იყოს. წელან იმ გლეხს უბძანე: რაკი ბატონს ვენახი ჩამოურთმევია, არა გეშველება-რაო,—და ეხლა მე მიბრძანებ: რაკი ჩა-მოგირთმევია, უნდა დაუბრუნოვო. ეს სადაური სა-მართალია?

პოსრედნიკი. იქ სხვა გარემოება იყო და აქ სხვა არის.

ქვრივის მაზლი. სულაც არა. იქაც ჩამორ-თმევაა და აქაც. იქ უფრო ძნელიც არის, რომ კაცს

გაშენებული ვენახი ჩამოართოს კაცმა და ჩემს კაცს კი ჩემს საკუთარს ცარიელს სახნავ მიწაზედ რა ოფლი დახარჯვია. არა, ჩემო რძალო?

ქვრივი. დიაღ, თქვენმა მზემ, თუ მართალი გინდათ, მართალიც ეგ არის.

პოსრედნიკი ეგ ხომ აგრეა, მაგრამ ის კი დაგავიწყდათ, რომ იქ უწინვე ყოფილა ჩამორთმეული, აქ კი გამოცხადების შემდეგ.

ქვრივის მაზლი. (თითქო გაუხარდა). დიაღ, კარგი და პატიესანი! ეგ კარგად ბძანე. მანდ დავდგეთ. მე ჯვარზედ და სახარებაზედ დავიფიცავ, რომ, როცა მე ის მიწა ჩამოვართვი, გამოცხადებული არ იყო ბატონ-ყმობის გადავარდნა. ჩვენკენ მაგის ჩამიჩუმიც არა ყოფილა.

პოსრედნიკი. გამოცხადება იყო 1864 წ. გიორგობის რვასა.

ქვრივის მაზლი. აი ქალაქში რომ გამოაცხადეს?

პოსრედნიკი. დიაღ.

ქვრივის მაზლი. მეც მაგას მოგახსენებ, რომ მაშინ მე იქ არა ვყოფილვარ, ის ერთი შვილი მყავს—უკაცრაოდ, რომ თქვენთან ვიფიცავ—ის ერთად-ერთი შვილი არ მომიკვდება, მაშინ მე იქ არა გხლებივარ. აი თუნდა, კარგია მოწამეც აქვე მყავს, ჩემს რძალსა ჰკითხეთ. არა, ჩემო რძალო?

ქვრივი. დიაღ სწორე ბძანებაა. განა არა, მე კიდეც ვუთხარი: ჩემო მაზლო, წავიდეთ-მეთქი, წავიდეთ-მეთქი, ჩემო მაზლო! ჩვენც ყმები გვყავს,

ერთი შევიტყოთ, რა ამბავია-მეთქი. ახლა ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ქართველების ამბავი, დაზარდა, არ წამოვიდა. ბოლოს კი დახე, დედაკაცის ჭკვას რომ არ აჰყვა, რა კარგად გამოვიდა. რაკი რომ გამოუცხადებდნენ, მიწას გლეხს ხომ ველარ წაართმევდა.

ქვრივის მაზლი. (თავმომწონედ). მე კი არ ვიცოდი! კაცს შორმხედველობა უნდა ჰქონდეს!.. განა არა, ზედ გადამაკვდა ჩემი რძალი და მაინც არ წავედი.

პოსრედნიკი. შესაძლოა, რომ იქ არ ჰყოფილიყავთ. მერე მაგით რაო?

ქვრივის მაზლი. ისა, რომ მე არ გამომცხადებია, მგონი ცხადია.

პოსრედნიკი. თქენ გამოგცხადებიათ, თუ არ გამოგცხადებიათ, ეგ კანონისათვის სულ ერთია. მხოლოდ ამას მოგახენებთ, რომ გიორგობის რვას, 1864 წ. აქედ არა მებატონეს ნება არა აქვს გლეხს ჩამოართოს რამე.

ქვრივის მაზლი. ეჰ, თქვე დალოცვილო, კანონი თქვენს ხელშია, და როგორც გინდათ, ისე ატრიალებთ.

ქვრივი. ოღონდაც, ოღონდაც!..

პოსრედნიკი. მე განაჩენს დავწერ და, თუ უკანონობას რასმეს ჰხედავთ, ზედ დააწერეთ, რომ კმაყოფილი არა ხართ და მერე იჩივლეთ.

ქვრივი. ბევრს რასმეს ვხედავთ, მაგრამ გამგონი ვინ არის?

ქვრივის მაზლი. ეჰ შე დალოცვილო, სად ვიჩივლო? ასე გგონია შვიდი შკოლა გამეთავებინოს, ჩემს გვარს ძლივ დავწერ ხოლმე. აძლევთ, მიეცით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. (ქვრივს). შენ კი მიყავ ეს საქმე. ბებრუხანავ! მაშინვე კი მიმოწმა—ხუთასი დღისაო. სადა გვაქვს ხუთასი დღისა? აბა სადა გვაქვს?

ქვრივი. რაო, ბებრუხანაო! უი შენ თვალებს!.. აი კარგია, რომ მოწამე მყვანდა. (ჰოსრედნიკს). ჯერ ამან არა სთქვა, თქვენი ჭირიმე, ხუთასი დღისაო (ჰოსრედნიკს სიტიდი მოსდის). არა, ნუ კი იცინით, სწორედ ბრძანეთ: ამან არა სთქვა? ამ ნიშნით, მე სიტყვა მოვუჭერი კიდეც: ნახევარი ჩემის ობლებისაა-მეთქი. მერე, როცა მაგანა სთქვა—სადა გვაქვს მაგდენიო, აკი მეცა ვთქვი—სადა გვაქვს-მეთქი. ესე არ იყო?

ქვრივის მაზლი. ესე იყო, თუ არ იყო, მე ვიცი შენი!.. (გაჯავრებული გადის).

ქვრივი. (წამოხტება და კარებიდგან მისძახის) შენ იცი, მე ვიცი ყურებზედ ხახვს დამაჭრი, ბაიყუშის ბაიყუშო! (შემობრუნდება და ჰოსრედნიკს) საშინელი ცრუ რამ არის ეგ წყეულ-შეჩვენებული. არ გამოცხადებიაო! სტყუის, თქვენმა მზემ, გამოსცხადებია კიდეც და ყველაფერი. მაგისაგან გლეხ-კაცებს მოსვენება არა აქვთ. მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავასმევინებდი, ერთი ბუნტი კაცია, ავის პი-

რის პატრონი. არ გამომცხადებიაო!.. თქვენც ლამაზად მიუხვდით. მგონი, მე რომ განიშნეთ ტყუისმეთქი, მაშინ მიუხვდით. ვის ატყუებს? თქვენ გატყუებთ! აი ეგ მურტალი, ეგა!.. კარგად უყავით, რომ გაამტყუნეთ. მაგისთანა კაცს ეგრე უნდა. (დაბალ ხმით) ეგ, სწორედ მოგახსენო, ქურდიც არის, საციმბიროა.

პოსრედნიკი. მაგას თავი დაანებეთ, თქვენ თქვენი საჩივარი ბრძანეთ.

ქვრივი. (წამოდგება ფეხზედ სკამიდამ და მოწიწებით). ახლა მე მოგახსენო, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, ბრძენო და ბრძენთა ბრძენო, ქვრივ-ოხრის გამკითხავო, ობოლთა მწყალობელო, მაღალო და სვიანო, უხვო და მდაბალო! ამ ორი კვირის წინად ჩემმა ნაყმევმა თავისი გომბიო გოგო გაათხოვა, ერთ ვიღაც ოხერს მისცა, ერთ თავისთანა მუტრუკს. მივუგზავნე ჩემი გოგო და შევუთვალე: ახლა, ქალს რომ ათხოვებ, საჩექმეს არა ნაღვლობ. მეთქი. ყურიც არ შეებღერტა. ახლა მე თითონ მივუვარდი და ვუთხარი: საჩექმეზედ რას ამბობ? წადიო, საიდამაც მოთრეულხარ, იქავაო, სწორედ ამ სიტყვით მიპასუხა, თქვენზედ მიწა არ მენახოს. აბა ჩემი მაზლი ხომ არა ვარ ან იმისი გომბიო ცოლის ამხანაგი, რომ ტყუილი მოგახსენო: სწორედ ეგრე მითხრა. ეგ კიდევ არაფერი. შემოიყარა, ბატონო, ჩემ წინ დოინჯი მუხრან-ბატონივით, ამიწია ჩემ თვალ-წინ და დამიწია მხრები, ჩემ წინ, ჩემ წინ, თქვენმა მზემ. აბა, თქვენი ჭირიმე, ეხლა რომ მა-

გაებს მეუბნება და მაგაებს სჩადის, მეფე ვახტანგის კანონებს და რჯულს არღვევს, მერე რაღასა იქს, როცა თავისუფლება, ღმერთმა კი ნუ დაასწროს, როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება. არა თქვენვე თქვენის მაღალ გონიერებითა ბძანეთ: მერე რაღასა იქს? მე რომ თქვენი ვიყო, აბა ჩემგან ჭკვა რად გესწავლებათ, მაგრამ მე რომ თქვენი ვიყო, იმას ერთი ლამაზად მივტყეპდი რუსულის წკეპლითა, იმ საჩექმეს ერთი-ორად წავართმევდი და მომიგდებდი მე საცოდავსა, ერთს ქვრივ-ოხერს, ობლების პატრონს. მადლიც მადლად ჩაგეთვლებოდათ და მეც ქვრივ-ოხერს მეფე ვახტანგისაგან დაწესებულს, დაბეჭდილს და დამტკიცებულს კუთვნილს მიბოძებდით და თქვენის გაჩენის დღეს მალოცვინებდით. იმას კი ერთ ლაზათიანად მივჯოხავდი, რომ მეორედ აღარ გაებედნა, თორემ ერთი ბუნტი კაცია. ეგენი, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, ღორის ტილივით არიან, ფეხზედ რომ დაისვათ, თავზედ აგაცოცდებიან. თქვენ მაგათ კარგად არ იცნობთ, ო თქვენმა მზემ. (ამ დროს ქუმოჯა ამ ქვრივის ნაუმეკი. ქვრივი დაინახავს თუ არა, სიტუკას გასწუკეტს და გაკაპასებული შეუტევს გლეხსა) რაო, რისთვის მოეთრიკე, შე ძაღლის ნათრევო! აიდგით განა ენა! დამაცადე, თუ შენი ცოლი, ის გველის წიწილა, ძაღლებს არ ვათრევინო.

გლეხი. აი, შენი ჭირიმე, ამისათვის გრახელ. აღარა გვაქვს, ბატონო, ამისაგან მოსვენება. აქაო და ხელმწიფემ რად გაგანთავისუფლათო, ლამის

ლანძღვითა და თრევით მთელი სოფელი აჰყაროს. ხელმწიფემ გაგვანთავისუფლა, ჩვენი რა ბრალია!..

ქვრივი. მაშ ვისი ბრალია, მაშ ვისი ბრალია! (ჰასრედნიკს) სწორედ ამათი ბრალია, თქვენზე მიწა არ მენახოს! (გლეხს) არზა არზაზედ რომ გააჭრელეთ და ჩუმ-ჩუმად სამართალში დაძვრებოდით — ბატონები აღარ გვინდაო, მითამ არ ვიცით, განა!.. აი შე წუწკის შვილო! რაო? მითამ ჩვენ წავედით და ვითხოვეთ: ყმები ჩამოგვართვითო! (ჰასრედნიკს) მე რომ თქვენი ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგვინებდი. დახე, ჩვენ გვაბრალებს, ქვეყნის ცოდვა ჩვენ უნდა დაგვადვას კისერზედ! ბუნტია, მა რა არის? ო, თქვენმა მზემ, ბუნტია!..

გლეხი (ხვეწნით ჰასრედნიკს) ერთი წამალი რამ დამდევი, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებდეს. ერთი ამას კი მომაშორეთ და, რაც გნებავდეთ, ის მიყავი. ამის წყევლისა და ქოქვისაგან სოფელს კი ველარ უხეირნია და. წამოხტება დილით, გამოვა დერეფანში, ამვლელს და ჩამომვლელს სწყევლის და თან მისძახის ხოლმე: გიხარიანთ განაო, გიხარიანთ განაო! აი თქვე ასეთებო, აი თქვე ისეთებო. მენა ხომ რაღა? დღე არ გავა, ცოლ-შვილი არ დამიწიოკოს. ერთი ღმერთი გადღეგრძელებდეს, გადამასახლეთ საითმე და ამ ჯოჯოხეთს კი მამარჩინეთ.

ქვრივი. (შეტევით) რაო? გადაგასახლონ? ვი-

ნა? ვის შეუძლიან შენ გადაგასახლოს? მაშ მეფე ერეკლეს ხსენება ქვეყანაზედ აღარა ყოფილა; მაშ იმისაგან ბოძებულს თორმეტ მეფეთ მეფის ბეჭდიანს ოქმსა ძალა აღარა ჰქონია. აბა იქა სწერიხარ, რომ შენ შენის შესავლითა და გასავლითა ჩემი ყურ-მოჭრილი ყმა ხარ. თუნდა რომ აქავ შუაზედ გასქდე, ეგრეა.

გლეხი. აღარა ვართ, ქალბატონო, თქვენი ყმები, არა და არა.

ქვრივი. უი, შე ძაღლის ნაშენო, იქ ჩემ საწეხვეში ჩაგარჩობ მურა ძაღლსავითა! (ჰოსრედნიკს) არა, მოწყალეო ხელმწიფევ, თუ ეხლა ეგენი არიან ჩვენი ბატონები, ერთი გვიბძანეთ, თუ არა და, რაზედ მალანძღვინებთ, თქვე დალოცვილიშვილო, ამ დროულს დედაკაცს, პატიოსანის აზნაურიშვილის მეუღლესა. ამ ძაღლის ნაშენისაგან როგორ უნდა მეკადრებოდეს, რომ ეგ მეუბნებოდეს—თქვენი ყმა აღარა ვარო.

ჰოსრედნიკი. (გულზედ მჯსუდი) მე მაგ უშვერისა და ურიგო ლაპარაკისათვის თქვენ, თქვენო კეთილშობილებავ, ჯარიმად სამს მანეთს გახდევინებთ და თუ კიდევ არ მოიშლით, სამართალში მიგცემთ. მოთმინებიდამ გამოგყევართ.

ქვრივი (მართლა შემკრთალი). რადა, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, მე თქვენთვის ცუდი სიტყვა არ მომიხსენებია. მე ამ პირუტყვს ვეუბნები. ნუ ინებეთ გაჯავრება, ჩემო მაღალო ხელმწიფევ! სამი

მანეთი არა ბძანეთ, აი იმ ჩემს გლეხს ერთი სამად საჩექმე წავართვათ, როგორც დალოცვილი მეფე ვახტანგის კანონი ბძანებს,—სამი მანეთი კი არა, ექვსი თქვენ ინებეთ, დანარჩენი მე მიბოძეთ. ღმერთმანი, კანონისა მორჩილი არა ვარ და! ეს გლეხი კი საშინელი მურტალი რამ არის. დახე, მე უნდა მეჩივლა და ამან არ დამასწრო!.. საკვირველია, სად შეიტყობენ ხოლმე. ეს რაც ბატონ-ყმობის გადავარდნის ხმა ჩამოვარდა ქვეყანაზედ მეხად, ეს წუწკას შვილები სწორედ გულთ-მისნები შეიქნენ... იმ დღეს, აი დიდი წვიმები რომ გახლდა,—მიწურმა ბანმა ველარ დაიჭირა. გამოვედი გარედ—ეს ძაღლ. კინაღამ არ წამცდა—ეს გველ-ხოკერა იქავ ჩემთან ახლო დგას, დაუძახე და ისე ტკბილად დედა-შვილურად ვუთხარი: შვილო გიორგი-მეთქი, (გლეხს) გაგიწყრეს წმინდა გიორგი, (ბოსრედნიკს) შვილო გიორგი-მეთქი, თქვენზედ მიწა არ მენახოს, სწორედ ამ სიტყვით: შვილო გიორგი-მეთქი. ჩემო კარგო და პატიოსანო-მეთქი, თქვენმა მზემ, სწორედ ამ სიტყვით, ერთი მოდი და შენის ლამაზ-ლამაზ მადლიან თათებითა ნიჩაბი აიღე და ბანი დამიტკეპნე, შენებურადა, მითამ მე დედა ვარ-მეთქი და შენ ჩემი შვილი-მეთქი, აგრემც ღმერთი ჩემ დროულად შოგყრის-მეთქი. სწორედ ამ სიტყვით, თქვენმა მზემ.

ახლა, რა არის მეთქი! (ჩაფიქრდება და ადერსის სიტყვებს იგონებს და ვერ მოუგონია) ახლა, ბევრი რამ ისე ლამაზ-ლამაზი მარგალიტივით სიტყვები ვუთხარი, ისე დედა-შვილურადა, როგორც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი—დაყვავებით და ლოლიობითა. მაგრამ რა? მგელს სახარება ფუნდა წაუკითხე, თუნდა არა. მომყო, ბატონო, პირი—აი ამოემსოს მაგას შავი მიწით პირი—მომყო, ბატონო, პირი, ასე გამხადა, ასე გამხადა, რომ რაღა მოგახსენოთ. რა ვიცი, რაები არ მაკადრა, თქვენზედ მიწა არ მენახოს. აბა ეგ მოსათმენია, მაგრამ, რაკი სახარებაში (გდეხს)—გაგიწყრეს იმის მადლი—(ჰოსრედნიკს) რაკი სახარებაში სწერია,—მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო, მეც მოვითმინე, ავიკარ პირი. აბა, ხომ მოგეხსენებათ დარბაისელი კეთილ-შობილის დედა-კაცის ამბავი, ჩემს თავს რად ვაკადრებდი, რომ მაგ ძალლ... კიდევ კინაღამ არ წამომცდა—მაგ ორ-ფეხა მუტრუკს სიტყვით შევბმოდი. ავიკარი პირი. ეს კი ვუთხარი; კარგი, შვილო-მეთქი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი—სწორედ ამ სიტყვით, თქვენმა მზემ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი, გაუწყრეს მაგას ღმერთი. როგორც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, ისე დედა-შვილურად ვუთხარი, მშვიდობიანად, მაგრამ რა? განა მაგათზედ

ტკბილი და გულ-მტკივნეული სიტყვა გასჭრის?!. ესე გახლდათ, ჩემო მოწყალევ ხელმწიფევ! ეხლა მე ვიცი, თქვენ ამ უბედურის შვილს დააჭერინებთ, ციხეშიაც ჩასომთ, მაგრამ ამას კი გეხვეწებით — ბევრს ნუ აცემინებთ აზიზადა მყავს გაზდილი, მაგას — ერთი ორმოც საოციოდე რუსის წკეპლა ჭირადაც და ლხინადაც თავ-საყრელად ეყოფა. რა ვქნა? ჩემი გაზდილია, მაინც მებრალება, გთხოვთ უმორჩილესად, მაგაზედ მეტს კი ნუ დააკვრევინებთ. რაც უნდა იყოს მე ეგენი, ეგ გველის წიწილები მაინც ჩუმად მეგულებიან, შვილებსავით დაგვიზდია, დიდი სიბრალული მაქვს. ბევრს ნუ აცემინებთ. თუ სამოცი გეცოტავოთ, ერთი ოცი-ოდე კიდევ მოუმატეთ, არა უშავს-რა. მაგაზედ მეტს კი... აი მუხლ-მოდრეკითა გთხოვ — ნუ გადააჭარბებთ. ეს კია, რომ რუსს უნდა დააკვრევინოთ როზგები, თორემ ქართველი, ხომ მოგეხსენებათ, მაგისთანებში ქალაჩუნა არის, ისე ვერ დაჰკრავს, როგორც ზაკონი და კანონია ამასაც, თქვენმა მზემ, მაგისთვის ვამბობ, თორემ ცემა ცემად ჩაეთვლება და ეგ კი ისევ ისე ვირად დარჩება. კიდევ მეორედაც გაბედავს და იტყვის: დაე მცემონო, ხომ არ მეტკინებაო. და ეგრე გული წაუხდება და მაგის წახდენა მე არ მინდა, შვილივით გამიზდია; ჩემი

ამაგი ფუჭად ჩაივლის. ახლა, არ იქნება, რომ კიდევ ჩვენ მებატონეებმა არ ვიფიქროთ მაგათთვისა. მაგათ ხომ ღმერთმა თავისი ჭკვა არ მისცათ. (გლეხს) აი, დაგიდგა ეგ თვალი, ხომ ყელს გვაჭრევინებთ ჩვენა, შაგრამ ჩვენ კიდევაც იმოდენა გულის ტკივილი გვაქვს თქვენი, რომ ჩვენს ზრუნვასა და ცდას მაინც და მაინც არ გაკლებთ. (ბიჭსრედნიკს) ეგრე თქვენს თავს ვენაცვალე, ოთხმოცი იყოს, მეტი კი არა.

947.922
Б 394